

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

ISSN 1512-0996

გ რ მ ა ბ ი
TRANSACTIONS
T R U D Y

№4(470)



თბილი – TBILISI – ТБИЛИСИ
2008

სარედაქციო კოლეგია:

ა. მოწონელიძე (თაგმჯდომარე), ა. ფრანგიშვილი (თაგმჯდომარის მოადგილე), გ. ელიზბარაშვილი (თაგმჯდომარის მოადგილე), ქ. ქოქრაშვილი, ს. ესაძე, ი. ლომიძე, ალ. გრიგოლიშვილი, გ. სალუქაძე, მ. მაისურაძე, ტ. კვიციანი, ი. მშვენიერაძე, თ. ამბროლაძე, ჯ. ბერიძე, თ. ჟიშკარიანი, შ. ნემსაძე, თ. ომინაძე, ჟ. ზვიადაძე, ა. აბშილავა, ა. აბრალავა, მ. ჩხეიძე, ნ. გაბრიელიძე, დ. ნატროშვილი, ა. გიგინეიშვილი, ნ. ჯიბლაძე, ვ. კოპალეიშვილი, თ. გაბადაძე, თ. გელაშვილი, გ. აბრამიშვილი, თ. მეგრელიძე.

EDITORIAL BOARD:

A. Motzonelidze (chairman), A. Prangishvili (vice-chairman), E. Elizbarashvili (vice-chairman), K. Kokrashvili, S. Esadze, I. Lomidze, A. Grigolishvili, G. Salukvadze, M. Maisuradze, T. Kvitsiani, I. Mshvenieradze, T. Ambroladze, J. Beridze, T. Jishkariani, Sh. Nemsadze, T. Lominadze, U. Zviadadze, A. Abshilava, A. Abralava, M. Chkhcheidze, N. Gabrichidze, D. Natroshvili, A. Gigineishvili, N. Jibladze, V. Kopaleishvili, T. Gabadadze, O. Gelashvili, G. Abramishvili, T. Megreliidze.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

А. Моционелидзе (председатель), А. Прангишвили (зам. председателя), Э. Элизбарашивили (зам. председателя), К. Кокрашвили, С. Эсадзе, И. Ломидзе, Ал. Григолишвили, Г. Салуквадзе, М. Маисурадзе, Т. Квициани, И. Мшвениерадзе, Т. Амброладзе, Дж. Беридзе, Т. Джишкариани, Ш. Немсадзе, Т. Ломинадзе, У. Звиададзе, А. Абшилава, А. Абралава, М. Чхеидзе, Н. Габричидзе, Д. Натрошивили, А. Гигинеишвили, Н. Джибладзе, В. Копалеишвили, Т. Габададзе, О. Гелашвили, Г. Абрамишвили, Т. Мегрелидзе.



საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2008

Publishing House “Technical University”, 2008

Издательский дом “Технический Университет”, 2008

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



მეცნიერი, აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე



დაბადებიდან 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წელი შეუსრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გია არაბიძეს.

დაიბადა ქ.ზესტაფონში 1949 წლის 18 იანვარს. ქ.ჭიათურის მეორე საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1967 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე თბოენერგეტიკის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1972-73 წლებში მუშაობდა რუსთავის

მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალში ცვლის უფროსად. 1973 წლის ბოლოს იგი დაუბრუნდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და 1974 წლიდან სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა თეორიული და ზოგადი თბოექნიკისა და თბოენერგეტიკული დანადგარების კათედრაზე, სადაც ცნობილი ქართველი მეცნიერების აკადემიკოს ვახტანგ გომელაურის, პროფესორების ალექსანდრე ხიდაშელის, ნიკოლოზ ნინუას, შალვა ლომინაძის, მალხაზ ყიფშიძის გვერდით მან სახელოვანი გზა განვლო ლაბორატორიის გამგიდან პროფესორის მაღალ თანამდებობამდე.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1987 წელს აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამ პერიოდიდან მოყოლებული გ.არაბიძე აქტიურად არის ჩაბმული ინჟინერ-თბოენერგეტიკოსების მომზადების საქმეში. მისი ლექციები მაპროფილებელ დისციპლინებში: „თბოენერგეტიკული დანადგარები”, სამრეწველო საწარმოთა საქვაბე დანადგარები”, „საქვაბე დანადაგრები და ორთქლგენერატორები”, „თბოენერგეტიკული დანადგარების გავლენა გარემოზე და მისი დაცვა” მაღალი პედაგოგიური კულტურის ნიმუშია. სასწავლო პროცესის წარმართვასთან ერთად გ. არაბიძე 1998 წლიდან შვიდი წლის მანძილზე ენერგიულად მოღვაწეობდა ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო 2005 წელს იგი ერთსულოვნად აირჩიეს ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანად, ხოლო 2007 წელს, ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის ფაკულტეტის გაერთიანების შემდეგ – ახლად ჩამოყალიბებული ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანად, რასაც წინ უძლოდა პროფესორ გარაბიძის არჩევა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს პირველ შემადგენლობაში.

აღსანიშნავია პროფესორ გ. არაბიძის დვაწლი ქვეყანაში მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმების განხორციელების საქმეში. იგი 1996 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა TEMPUS-TACIS-ის T-JEP-10224-96 საერთაშორისო პროექტის განხორციელებაში, რომლის მიზანი იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საინჟინრო-სასწავლო გეგმებისა და პროგრამების რეკონსტრუქცია საერთაშორისო საგანმანათებლო სტანდარტების შესაბამისად. მისი აქტიური მონაწილეობით ქნერგებიკის ფაკულტეტზე ინტენსიურად განვითარდა ბოლონიის პროცესი და ფართოდ გაიშალა მუშაობა უნივერსიტეტის ქარტის, ლისაბონის, სორბონის, ბოლონიის, გიოტებორგის, პრაღის, გრაცის, ბერლინის კომუნიკაციებისა და დეკლარაციების დებულებათა განსახორციელებლად. შემუშავდა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისი საბაკალავრო და სამაგისტრო მომზადების სასწავლო გეგმები, დაინერგა სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და მართვის სრულიად ახალი მეთოდოლოგია, რაც ეგროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემაზეა (ECTS) და ფუძნებული.

დღეისათვის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე ეფექტიანდ ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებისა და დიპლომის ხარისხის მეთოდიკა, საგამოცდო ტესტების შედგენის მეთოდოლოგია, დიპლომის დანართის გაცემა დადგენილი საერთაშორისო ნიმუშის მიხედვით და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონ გიას, როგორც ფაკულტეტის დეკანის, კეთილმოსურნე და, ამასთან, უაღრესად პრინციპული ურთიერთობა სტუდენტებთან. მის მიერ გაწეული დიდი დვაწლი ახალგაზრდობის აღზრდისა და მეცნიერების განვითარების საქმეში „დირსების მედლით“ აღინიშნა.

თავდაუზოგავად მუშაობს პროფესორი გ.არაბიძე ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ბაზის გასაძლიერებლად. აღსანიშნავია მისი ძალისხმევა ვირტუალური სასწავლო ლაბორატორიების ჩამოყალიბებისა და მთლიანად სასწავლო პროცესის კომპიუტერიზაციის საქმეში.

პროფესორ გ.არაბიძის ინიციატივით გაფართოვდა და საქმიანი კონტაქტები დამყარდა დარგის კომპანიებთან და საწარმოებთან, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ახალგაზრდა სპეციალისტების – ბაკალავრებისა და მაგისტრების დასაქმების მდგომარეობა. სათავე დაედო ფაკულტეტზე დოქტორანტურის საფეხურს, რაც, უდავოდ, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამეცნიერო სკოლების გაახალგაზრდავების თვალსაზრისით.

ბატონი გიას ხელმძღვანელობით საგრძნობი შედეგებია მიღწეული ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფილით საერთაშორისო კონტაქტების დამყარებაში და სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობის გასაფართოებლად. მისი შრომის-

მოყვარეობა, დაწყებული საქმის ბოლომდე წარმატებით მიყვანის უნარი და საკუთარი შესაძლებლობების სრულად დახარჯვა. სამაგალითო და მისაბაძია ყველასათვის.

სასწავლო პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ბატონი გია ნაყოფიერ სამეცნიერო-კლევით მოღვაწეობას ეწევა. იგი აგტორია 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომშის, 12 სა-სელმძღვანელოსი და 3 მონოგრაფიისა. მისი თანაავტორობით გამოცემულმა სახელმძღვანელომ – „საქაბე დანადგარები” საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრემია მოიპოვა. გ. არაბიძის მიერ დამუშავებული ახალი ორიგინალური მეთოდები და მიღებული მეცნიერული შედეგები სიღრმისულად იქნა წარმოდგენილი მის სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც ბატონმა გიამ 2003 წელს წარმატებით დაიცვა, ხოლო 2004 წელს მას პროფესორის წოდება მიენიჭა.

პროფესორ გ. არაბიძის, ნიჭიერი მეცნიერისა და მკვლევარის ფართო აღიარებაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ იგი არჩეულია საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის, საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ინჟინერ- ენერგეტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის და საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრად. მას სერტიფიცირებული მენეჯერის კვალიფიკაცია მიენიჭა. პროფესორ გ.არაბიძის შემოქმედებითი ბიოგრაფია შეტანილია ენერგეტიკის დარგის მეცნიერთა საერთაშორისო ენციკლოპედიაში, რომელიც 2005 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოიცა.

პროფესორ გ. არაბიძის ბიოგრაფიაში გამოკვეთილია მისი, როგორც მაღალი კომპეტენციის თბოენერგეტიკოსის, აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კომპანიებთან და ინვესტორებთან, როგორიცაა USAID, BP, PA Consulting, Haglev Bailly და სხვ. მისი უშუალო მონაწილეობით ქ. თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განხორციელდა ენერგოეფექტურობის საპილოტო პროექტები, დაინერგა ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები საყოფაცხოვრებო, სასწავლო საგანმანათებლო, სამედიცინო, კომერციულ და სამრეწველო სექტორებში. იგი მონაწილეობს საერთაშორისო-სამეცნიერო და საერთაშორისო-საგანმანათებლო პროექტებში, როგორებიცაა: ხელშემწყობი გარემოს შექმნა ქვეყანაში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შემოსატანად. UNDP/GEF – საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტი GEO/96/G31 (II ფაზა), კლიმატის ცვლილების ეროვნული სააგენტო, 2002, Economic Crime In The Energy Sector (Power Engineering), American University. Transnational Crime & Corruption Center. Georgian Money Laundering Project. „Economic Crime & Money Laundering In Georgia”; თბილი და ატომური სადგურების უსაფრთხო და საიმედო მუშაობის პრობლემები (ГКНТ СССР N211/425. 06.11.81. N проблемы ОИ. 001,01,03Н03, Минэнерго СССР НИП,0503.

პროფესორი გია არაბიძე ეროვნული ტრადიციებით შემცული ქართული ოჯახის თავ-კაცია. მისი მეუღლე – რუსულან რატიანი ექიმია და წლების მნიშვნელოვანი ჯანმრთე-

ლობის დაცვას ემსახურება. ქალიშვილები – მარინა და ირინა, რომლებმაც განათლება საქართველოსა და ევროპის უნივერსიტეტებში მიიღეს, წარმატებით მუშაობენ ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაციასა და ევროკავშირის სადამკვირებელო მისიაში.

პროფესორ გია არაბიძის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა, მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი, საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარება, ქვეყნისა და ხალხისათვის გაწეული უანგარო ლგაწლისა და მამულიშვილური თავდადების ჭეშმარიტი დადასტურებაა.

ბატონო გია, ჩვენო საიმედო მეგობარო და კოლეგა, გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღებს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაში ჩვენი ქვეყნისა და ტექნიკური უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების სარედაქციო კოლეგია

შინაარსი

სამშენებლო

ტ. ქვიციანი, ზ. გედენიძე, გ. ხუციშვილი. ვერდოს მდგრადობის შეფასება მდოვრე მრუდღირულ ზედაპირზე დაცურების შემთხვევაში.....	13
ა. დათუაშვილი. მყიფე და პლასტიკური მასალების რევეზის თეორიების ისტორიისათვის.....	19
ა. ხაბეიშვილი. სხვადასხვა მასალისგან შედგენილი არაერთბეროვანი კოჭის	
ბ. ბაანბარიშვილი ბანივ დარტყმაზე.....	23

ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია

თ. ჯიშკარიანი, გ. არაბიძე, ნ. ბერიავა, გ. ჯიშკარიანი. მეორეული პროდუქციის წარმოების ტექნიკური ღილის დაწოდები დაზიანების ბაზიფიკაციის დროს	27
ტ. ბურკაძე, ა. ბურკაძე. მარშრუტიზაციის დეისტრას ალბორითმი და მისი გამოყენების შემდგრმი პრესენტიცა ტელეკომუნიკაციურ ქადაგში.....	32
დ. ნანობაშვილი, ვ. ნანობაშვილი. ერთეული შეცდომების კორექტირება ელექტრონულ-ფოტონურ კოდებში.....	36

სამორ-გეოლოგია

ნ. ვეფხვიაშვილი, ი. ფირცხალაიშვილი, ც. მარტიაშვილი, მ. ჩანკაშვილი. მიკროკომპონენტები მდ. მტკვრის ტყაღში და მისი ეკოგეოქიმიური მდგრადირობის შეფასება (თბილისის ვარგლებში)	41
--	----

ძიმიური ტექნოლოგია, მეტალურგია

ნ. ისმაილოვი, რ. გვეტაძე. ბნეტონიტების თერმომედებობის ბაზენა მათ ზარჯზე საყალიერ ნარცვებში.....	47
ი. ლაგილავა, დ. ბიბილეიშვილი, ლ. დათუაშვილი, კ. ელიზბარაშვილი. ახალი ტიპის ანთრაციონალული საღებრები აოლიერობრული და აოლიამილური გოჭკოებისთვის	51
ნ. გახოკიძე, მ. მაისურაძე, თ. ხოშტარია. ჟუმემდებლური გენზიმიდაზოდ და [გ] ანელირებული თიოფენებების კონდენსირებული სისტემა მოსალოდები ანტიტებერკულოზური და ანტიგირუსული აქტივობით	58
გ. დათუაშვილი, მ. ხომასურიძე. Laffort-ს ვირმის ეპოგაზერი ვერმენტული კრეპარატის ზეგავლენის შესრავლა წითელი ღვინის ფიზიკურ-ქიმიურ პარამეტრებსა და ორგანოლიგიკურ მაჩვენებელზე	63

პრეისტრეტშრა, ურბანისტიკა, დიზაინი

გ. მახარაშვილი, თ. მახარაშვილი. იბილისის პრისტსაბროთა პერიოდის ურბანული და საცხოვრებელი განაშენიანების განვითარების წინამდღვრები	67
---	----

გ. მახარაშვილი, თ. მახარაშვილი. ქ. თბილისში უძრავ ქონებაზე ფასტარმოქმნის პრიტერიუმები.....	72
ი. გაბაშვილი, ქ. მილაშვილი. XX საუკუნის არქიტექტურული სტილი – ბუბი	76
სატრანსპორტო, მანქანათმშენებლობა	
ქ. მაღრაძე, ნ. ხაჩიძე, თ. წერეთელი, ა. ბურდულაძე. საქართველოს პრიოპრიობები საერთაშორისო, საზონაცნო-ეკონომიკურ ორგანიზაციებითან.....	81
ა. ბურდულაძე, მ. მაღრაძე, ბ. ყაჭიური, დ. გაბუნია. ცივი ასფალტბეტონის გამოყენების აერსაექტივები საბზარ მშენებლობაში.....	85
ჰუმანიტარულ-სოციალური	
რ. გოცირიძე. მოტივაციის მისაღწევი სტრატეგიები.....	89
რ. გოცირიძე. მიღბომა უცხოური ენების სრავლებისადმი	94
რ. ქუთათელაძე, ა. კობიაშვილი. რეალური დროის ექსპერტული სისტემა პროცესების მართვისათვის	98
გ. ჯოლია, ნ. ჯოლია, ქ. ჯოლია. “ეკონომიკური პატრიოტიზმი” - სახელმწიფოებრივი პროტექციონიზმის ახალი ტალღა.....	103
გ. ჯოლია, ნ. ჯოლია, ქ. ჯოლია. “ახალი ეკონომიკის” განვითარების თავისებურებები	107
რ. ქუთათელაძე ა. აბრალავა, ნ. აბრალავა. თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი თავისებურებანი.....	112
ნაგებობების, საეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი	
ქ. მექმარიაშვილი. სამხედრო სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის შრომის მიზანის ახალი კონცენტრაცია.....	116
ქ. მექმარიაშვილი. 48 მეტრი მაღის მქონე საინჟინრო ხილი	120
ავტომატიკის სამიერალი	124
ავტომატიკის სამიერალებლოდებები	125

CONTENTS

BUILDING

T. Kvitsiani, Z. Gedenidze, G. Khutsishvili. ASSESSMENT OF THE STABILITY OF THE SLOPE AT A SMOOTH CURVED SURFACE OF SLIDING	13
A. Datuashvili. ON THE HISTORY OF FAILURE THEORY OF BRITTLE AND PLASTIC MATERIALS	19
A. khabeishvili. CALCULATION OF THE HETEROGENEOUS BEAM WHICH CONSISTS OF A DIFFERENT MATERIALS ON TRANSVERSE IMPACT	23

ENERGETICS AND TELECOMMUNICATION

T. Jishkariani, G. Arabidze, N. Bzhalava, G. Jishkariani. TECHNOLOGY OF SECONDARY PRODUCT FABRICATION DURING GASIFICATION OF COAL IN SLAG ALLOY	27
T. Burkadze, A. Burkadze. ALGORITHM OF ROUTING DIJKSTRA AND PROSPECT OF ITS USE IN TELECOMMUNICATION NETWORKS	32
V. Nanobashvili, V. Nanobashvili. CORRECTION OF SINGULAR MISTAKES IN ELECTRONIC-PHOTONIC CODES	36

MINING AND GEOLOGY

N. Vepkhviashvili, I. Phirtshalaishvili, Ts. Martiashvili, M. Chankashvili. MICROELEMENTS IN MTKVARY RIVER (WITHIN TBILISI) AND VALUATION ITS ECOGEOCHEMICAL CONDITION.....	41
---	----

CHEMICAL TECHNOLOGY, METALLURGY

N. Ismailov, R. Gvetadze. INFLUENCE OF BENTONITES THERMOSTABILITY ON THEIR CHARGE IN FORMING MIXES	47
I. Lagvilava, D. Bibileishvili, L. Datukishvili, E. Elizbarashvili. NEW TYPE ANTRAPYRIDONE DYES FOR POLYESTER AND POLYAMIDE FIBRES	51
N. Gakhokidze, M. Maisuradze, T. Khoshtaria. BENZIMIDAZOLE AND B-ANNEALIED BENZOTHIOPHEN ABD/OR BENZOFURAN-CONTAINING SYSTEMS WITH ANTI VIROUS ACTIVITY AND FOR STRUGGLE AGAINST TUBERCULOSIS.....	58
G. Datukishvili, M. Khamasuridze. STUDY OF INFLUENCE EXOGENIC ENZYME PREPARATION LAFFORTE ON PHYSICOCHEMICAL PARAMETERS AND ORGANOLEPTIC CHARACTERISTICS OF RED WINE.....	63

ARCHITECTURE, URBANIZATION, DESIGN

G. Makharashvili, T. Makharashvili. PREREQUISITES OF POST SOVIET URBAN AND RESIDENTIAL DEVELOPMENT IN TBILISI	67
G. Makharashvili, T. Makharashvili. SOME FEATURES OF PRICE SETTING ON REAL ESTATE IN TBILISI	72
I. Gabashvili, M. Milashvili. ARCHITECTURAL STYLE OF THE 20 TH CENTURY-GOOGIE.....	76

TRANSPORT, MECHANICAL ENGINEERING

M. Maghradze, N. Khachidze, T. Tsereteli, A. burduladze. GEORGIA'S RELATIONS WITH THE INTERNATIONAL FINANCIAL-ECONOMIC ORGANIZATIONS	81
A. Burduladze, M. Magradze, B. Kachiuri, D. Gabunia. PROSPECTS OF APPLICATION OF COLD ASPHALT-CONCRETE IN ROAD CONSTRUCTION.....	85

THE HUMANITIES-SOCIAL

R. Gotsiridze. MOTIVATIONAL STRATEGIES	89
R. Gotsiridze. APPROACHES TO LANGUAGE TEACHING	94
R. Kutateladze, A. Kobiashvili. A REAL-TIME EXPERT SYSTEM FOR PROCESS CONTROL	98
G. Jolia, H. Jolia, K. Jolia. ECONOMICAL PATRIOTISM” – THE NEW WAVE OF THE STATE PROTECTIONISM	103
G. Jolia, N. Jolia, K. jolia. THE CHARACTERISTICS OF DEVELOPMENT “NEW ECONOMICS”	107
R. Kutateladze, A. Abralava, N. Abralava. MAIN FEATURES OF CONTEMPORARY INVESTMENTS.....	112

INSTITUTE OF BUILDINGS, SPECIAL SYSTEMS AND ENGINEERING MAINTENANCE

E. Medzmariashvili. THE NEW CONFIGURATION OF INTERDEPENDENCE MILITARY STRATEGY, OPERATIONAL ART AND TACTICS ON THE MODERN DEVELOPMENT STAGE OF ARMED FORCES	116
E. Medzmariashvili. 48 METER SPAN ASSAULTING BRIDGE.....	120

AUTHORS INDEX	124
FOR AUTHORS ATTENTION	125

СОДЕРЖАНИЕ

СТРОИТЕЛЬСТВО

Т. А. Квициани, З. Ш. Геденидзе, Г. Т. Хуцишвили. ОЦЕНКА УСТОЙЧИВОСТИ В СЛУЧАЕ ПЛАВНОЙ КРИВОЛИНЕЙНОЙ ПОВЕРХНОСТИ СКОЛЬЖЕНИЯ	13
А.Н. Датуашвили. К ИСТОРИИ ТЕОРИИ РАЗРУШЕНИЯ ХРУПКИХ И ПЛАСТИЧЕСКИХ МАТЕРИАЛОВ	19
А.Д. Хабеишвили. РАСЧЕТ РАЗНОРОДНОЙ БАЛКИ, СОСТАВЛЕННОЙ ИЗ РАЗЛИЧНЫХ МАТЕРИАЛОВ, НА ПОПЕРЕЧНЫЙ УДАР	23

ЭНЕРГЕТИКА И ТЕЛЕКОММУНИКАЦИЯ

Т.С. Джишкариани, Г.О. Арабидзе, Н.Н. Бжалава, Г.Т. Джишкариани. ТЕХНОЛОГИЯ ПРОИЗВОДСТВА ВТОРИЧНОЙ ПРОДУКЦИИ ПРИ ГАЗИФИКАЦИИ УГЛЕЙ В ШЛАКОВОМ РАСПЛАВЕ	27
Т.О. Буркадзе, А.М. Буркадзе. АЛГОРИТМ МАРШРУТИЗАЦИИ ДЕЙКСТРА И ПЕРСПЕКТИВА ЕГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ В ТЕЛЕКОММУНИКАЦИОННЫХ СЕТЯХ	32
Д.В. Нанобашвили, В.В. Нанобашвили. КОРРЕКЦИЯ ОДИНОЧНЫХ ОШИБОК В ЭЛЕКТРОННО-ФОТОННЫХ КОДАХ	36

ГОРНОЕ ДЕЛО И ГЕОЛОГИЯ

Н. А. Вепхвиашвили, Ц. Т. Мартиашвили, М. Г. Чанкашвили. МИКРОКОМПОНЕНТЫ В РЕКЕ КУРА (В ПРЕДЕЛАХ Г. ТБИЛИСИ) И ОЦЕНКА ЕЕ ЭКОГЕОХИМИЧЕСКОГО СОСТОЯНИЯ	41
--	----

ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ, МЕТАЛЛУРГИЯ

Н. Ш. Исмаилов, Р. Г. Гветадзе. ВЛИЯНИЕ ТЕРМОСТОЙКОСТИ БЕНТОНИТОВ НА ИХ РАСХОД В ФОРМОВОЧНЫХ СМЕСЯХ	47
И.В. Лагвилава, Д.В. Бибилиешвили, Л.А. Датукишвили, Э.Н. Элизбарашивили. АНТРАПИРИДОНОВЫЕ КРАСИТЕЛИ НОВОГО ТИПА ДЛЯ ПОЛИЭФИРНЫХ И ПОЛИАМИДНЫХ ВОЛОКОН	51
Н. Гахокидзе, М. Маисурладзе, Т. Хоштания. БЕНЗИМИДАЗОЛ И [В]АННЕЛИРОВАННЫЕ ТИОФЕНСОДЕРЖАЩИЕ КОНДЕНСИРОВАННЫЕ СИСТЕМЫ С ОЖИДАЕМОЙ АНТИТУБЕРКУЛЕЗНОЙ И АНТИВИРУСНОЙ АКТИВНОСТЬЮ	58
Г.А. Датукишвили, М.В. Хомасуридзе. ИЗУЧЕНИЕ ВЛИЯНИЯ ЭКЗОГЕННОГО ФЕРМЕНТНОГО ПРЕПАРАТА LAFFORT НА ФИЗИКО-ХИМИЧЕСКИЕ ПАРАМЕТРЫ И ОРГАНОЛЕПТИЧЕСКИЕ ПОКАЗАТЕЛИ КРАСНЫХ ВИН	63

АРХИТЕКТУРА, УРБАНИСТИКА, ДИЗАЙН

Г.Т. Махарашвили, Т.Г. Махарашвили. ПРЕДПОСЫЛКИ РАЗВИТИЯ УРБАНИСТИЧЕСКОЙ И ЖИЛОЙ ЗАСТРОЙКИ ТБИЛИСИ ПОСТСОВЕТСКОГО ПЕРИОДА	67
---	----

Г.Т. Махарашвили, Т.Г. Махарашвили. ОСОБЕННОСТИ ПРОЦЕССА ЦЕНООБРАЗОВАНИЯ НА НЕДВИЖИМОСТЬ В Г. ТБИЛИСИ	72
И.И. Габашвили, М.Т. Милашвили. АРХИТЕКТУРНЫЙ СТИЛЬ XX ВЕКА - ГУГИ	76
 ТРАНСПОРТ, МАШИНОСТРОЕНИЕ	
М.Д. Маградзе, Н.Л. Хачидзе, Т.Р. Церетели, А.Р. Бурдуладзе. СВЯЗИ ГРУЗИИ С МЕЖДУНАРОДНЫМИ ФИНАНСОВО-ЭКОНОМИЧЕСКИМИ ОРГАНИЗАЦИЯМИ	81
А. Р. Бурдуладзе, М. Д. Маградзе, Б. И. Качиури Д. Г. Габуния. ПЕРСПЕКТИВЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ХОЛОДНЫХ АСФАЛЬТОБЕТОНОВ В ДОРОЖНОМ СТРОИТЕЛЬСТВЕ	85
 ГУМАНИТАРНО-СОЦИАЛЬНЫЕ НАУКИ	
Р.А. Гоциридзе. МОТИВАЦИОННЫЕ СТРАТЕГИИ.....	89
Р. А. Гоциридзе. ПОДХОД К ПРЕПОДАВАНИЮ ИНОСТРАННЫХ ЯЗЫКОВ	94
Р.Г. Кутателадзе, А.А. Кобиашвили. ЭКСПЕРТНАЯ СИСТЕМА РЕАЛЬНОГО ВРЕМЕНИ ДЛЯ УПРАВЛЕНИЯ ПРОЦЕССАМИ	98
Г.П. Джолия, Н. Г. Джолия, К. Г. Джолия „ЭКОНОМИЧЕСКИЙ ПФРИОТИЗМ” – НОВАЯ ВОЛНА ГОСУДАРСТВЕННОГО ПРОТЕКЦИОНИЗМА.....	103
Г.П. Джолия, Н.Г. Джолия, К.Г. Джолия. ОСОБЕННОСТИ РАЗВИТИЯ “НОВОЙ ЭКОНОМИКИ”	107
Р.Г. Кутателадзе, А.Г. Абрагава, Н.А. Абрагава. ОСНОВНЫЕ ОСОБЕННОСТИ СОВРЕМЕННОГО КАПИТАЛОВЛОЖЕНИЯ	112
 ИНСТИТУТ СООРУЖЕНИЙ, СПЕЦИАЛЬНЫХ СИСТЕМ И ИНЖЕНЕРНОГО ОБЕСПЕЧЕНИЯ	
Э.В. Медзмариашвили. НОВАЯ КОНФИГУРАЦИЯ ВЗАИМОСВЯЗИ ВОЕННОЙ СТРАТЕГИИ, ОПЕРАТИВНОГО ИСКУССТВА И ТАКТИКИ	116
Э.В. Медзмариашвили. ШТУРМОВОЙ МОСТ С ПРОЛЕТОМ 48 МЕТРОВ	120
 ПЕРЕЧЕНЬ АВТОРОВ	124
К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ	125

უაკ 624.131

**ფინანსურირებულის შევასება მდობრე მრუდირულ ზედაპირზე დაცურვის
შემთხვევაში**

ტ. კვიციანი*, ზ. გეღენიძე, გ. ხუციშვილი

საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,
თბილისი, კოსტავას 77

E-mail: tarielk@mail.ru

რეზიუმე: შეფასებულია ფერდოს მდგრადობა
იმ დაშვების საფუძველზე, რომ ფერდოს ჩამონაქცევი მასივის შესაძლო დაცურების ზედაპირი
მდოვრე მრუდირულია. ფერდოს მდგრადობის ხარისხი ფასდება მდგრადობის მარაგის კოეფიციენტით (დაცურების წირის სიმრუდის ცენტრის მიმართ დამჭერი ძალების მომენტების ალგებრული ჯამის ფარდობით იმავე წერტილის
მიმართ მდვრელი ძალების მომენტების ალგებრულ ჯამთან). დაცურების წირის ყოველი წერტილის მცირე მიდამოსათვის მოცემულია
მდგრადობის მარაგის კოეფიციენტის საანგარიშო ფორმულა განსახილველი წერტილის სიმრუდის რადიუსისა და ცენტრის კოორდინატების საშუალებით.

საკვნძო სიტყვები: ფერდო; მდგრადობა;
დაცურების ზედაპირი; ძრაზე მდგრადობის
კოეფიციენტი.

1. შესავალი

ბუნებრივ მდგომარეობაში მთის ქანების მასივები განიცდის მუდმივი და დროებითი როტაციი ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებას. ასე, მაგალითად, დღე-დამის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურის ცვლილება იწვევს მასივის დეფორმაციას; წლის განმავლობაში გაყინვა და გალობა, მზის სხივები, წყალი, ნაპრალებში წყლის ჟონგა, ხეები და ბალახი, აგრეთვე ქარები ზემოქმედებს ქანებზე. ეს პროცესები მიმდინარეობს ძალიან ნელა და მხოლოდ ისეთი მოვლენები, როგორიცაა მიწისძრები და აფეთქებები, მკვეთრად აჩქარებს მასივში ქანების თვისებების ცვლილებებს.


ფერდოებზე გზების გაყვანისა და სხვა მიწის სამუშაოების შესრულებისას ირდვევა ქანებში დამყარებული ბუნებრივი რეები, იცვლება დაძაბულობის ველი, წარმოიქმნება ღრუები, ქანების გაშიშვლებული ზედაპირები, ჩქარდება ქანების გამოფიტვის პროცესი.

ფერდოს მდგრადობის დაკარგვის შედეგად ჩამონაქცევის მასასიათებელი ნიშანია ნელი (რამდენიმე წუთიდან რამდენიმე წლამდე) განვითარება და შემდგომ მასივის უეცარი რდვევა. ასეთი სახის დეფორმაცია მსხვილი ჩამონაქცევი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ფერდოს


გრუნტის მასივის დიდ ნაწილს მოიცავს, იწვევს გზების, ხიდების, საცხოვრებელი, სამრეწველო და სხვა ნაგებობების მნიშვნელოვან ნგრევას. ამიტომ გრუნტის მასივების მდგრადობის ანალიზს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება მიწის ნაგებობების (ნაგარების, ღრმა ქვაბულების, ჯებირების, მიწის კაშხლების და სხვა მსგავსი ნაგებობების) დაპროექტებისა და მშენებლობის დროს.

გრუნტის ზღვრული დაძაბული მდგომარეობის ზოგადი თეორიის კერძო ამოცანაა ფერდოს გრუნტის მასივის მდგრადობა, რომელსაც ახასიათებს განსაკუთრებული თავისებურებები, რაც განპირობებულია მდგრადობის დაკარგვის შედეგად გამოწვეული სპეციფიკური ხასიათით.

ბუნებრივი ფერდოს მასივზე დატვირთვების მოქმედების შედეგად მასში წარმოიშობა დეფორმაციები და გადაადგილებები, ე.ო. მოძრაობა დროში. ეს მოძრაობა განპირობებულია ძაბვებით. მართლაც, დატვირთვების მოქმედების შედეგად გრუნტის ნებისმიერ P_0 წერტილზე გატარებული პორიზონტისადმი α კუთხით დახრილი m მოედნის (მცირე ბაქნის) მიმართ აღიძვება ნორმალური $\sigma_n = \sigma_\alpha + P_e$ და მხები τ_α ძაბვები (ნახ. 1 ა), აქ $P_e = K / \tan \varphi$ სიდიდით ფასდება ჯამური შეჭიდულობები; K შეჭიდულობაა; φ – გრუნტის შინაგანი ხასუნის კუთხე.



ნახ. 1 ა. დაძაბულობის სქემა მოცემულ წერტილში



ნახ. 1 ბ. ფხვიერი გრუნტის ძერის მრუდი

α კუთხის ცვლილებისას σ ძაბვის შემდგენებიც იცვლება და მათი სათანადო (ზღვრული) შეთანწყობის პირობებში მოხდება გრუნტის ერთი მასის დაცურება მეორეზე.

მაშასადამე, გრუნტის მოცემულ წერტილში ზღვრული წონასწორობის პირობა იქნება $\tau_\alpha \leq f(\sigma_\alpha + P_e)$ ან $\tau_\alpha / (\sigma_\alpha + P_e) \leq f$. მეორე მხრივ, $\tau_\alpha / (\sigma_\alpha + P_e) = \operatorname{tg} \theta$ (იხ. ნახ. 1 ა).

რადგან მოცემულ P_0 წერტილზე შეიძლება მრავალი ზედაპირი გავატაროთ, ამიტომ საჭიროა მოიძებოს ყველაზე არახელსაყრელი, რომლისთვისაც იარსებებს გადახრის კუთხის მაქსიმალური მნიშვნელობა θ_{\max} , მაშინ $\operatorname{tg} \theta_{\max} \leq f$.


ძერის დიაგრამის (ნახ. 1 ბ) თანახმად, გადახრის კუთხის მნიშვნელობა მაქსიმალურია, როდესაც OE მომცვლელი იქნება ზღვრული დაძაბულობის წრის მხები. ფხვიერი ქანების ზღვრული წონასწორობის განტოლება იქნება $\sigma_1 / \sigma \sigma_2 = \operatorname{tg}^2(45^\circ + \varphi/2)$, სადაც σ_1 და σ_2 მთავარი ძაბვებია. ფრჩხილებში ნიშანი მინუსი შეესაბამება ე.წ. აქტიურ წნევებს, ხოლო პლუსი – ფხვიერი ქანების წინაღობას [1].

2. ძირითადი ნაწილი

განვიხილოთ ერთგვაროვანი ფხვიერი (მშრალი) გრუნტის დაცურებაზე მდგრადობის ამოცანა, როცა მასზე, საკუთარი \vec{F} წონის გარდა, მოქმედებს დამატებითი დატვირთვები: სეისმური ძალა \vec{P}_s და აფეთქების წნევის ძალა \vec{P} . გრუნტი ხასიათდება შინაგანი ხახუნის φ კუთხით, K შეჭიდულობით და მოცულობითი γ წონით.

მე-2 ნახ-ზე მოყვანილია ფერდოს მდგრადობის და ჩამონაქცევის საშიში დაცურების ზედაპირის საანგარიშო სქემა. აქ $\text{AMB}: z = g(x)$,

$0 \leq x \leq a$ მოცემული უბან-უბან გლუვი წირია, $\text{OPT}: z = z(x)$, $0 \leq x \leq a$ – ჩამონაქცევი პრიზმის (მასის) დაცურების ზედაპირის ამსახველი წირი, რომლიც განსაზღვრულია გ. ფიხტენოლის ნაშრომში [2].



ნახ. 2

დავუშვათ, $z = z(x)$ წირი გლუვია, ე.ი. მას ყოველ წერტილში აქვს უწყებად ცვალებადი მხები. უსასრულო მცირე $[x, x+dx]$ მონაკვეთზე გამოვყოთ ჩამოშვავებული გრუნტის $PMNQ$ ელემენტარული ნაკვეთური. $PMNQ$ ფიგურის ფართობი S , $z = z(x)$ მრუდის $L = L(PQ)$ რკალის სიგრძე და ნაკვეთურის F სიმძიმის ძალის სიდიდე უმცირესი რიგის უსასრულო მცირე სი- დიდის სიზუსტით, ვიდრე dx , გამოითვლება ფორმულებით:

$$S(PMNQ) = |PM|dx = [g(x) - z(x)]dx, \quad (1)$$

$$L(PQ) = \sqrt{1 + z'^2(x)}dx, \quad (2)$$

$$F = \gamma \cdot 1 \cdot S = \gamma [g(x) - z(x)]dx. \quad (3)$$

ელემენტარულ ნაკვეთურზე მოვდოთ პორიზონტალური \vec{P}_s და \vec{P} ძალები (ნახ. 2), რომელთა სიდიდეები შეიძლება შევაფასოთ შემდეგი ფორმულებით [3,4]:

$$P_s = C_s \cdot F, \quad (4)$$

$$P = 0.3 \frac{Q^{1/2}}{R^{3/2}} \sqrt{\frac{UE^5}{\gamma}} = mF, \quad (5)$$

სადაც C_s სეისმურობის კოეფიციენტია (ქანების მდგრადობისა და ზონების მიხედვით იცვლება 0.03–0.27 ფარგლებში); Q – ერთდორულად აფეთქებული მუხტის მასა; R – მანძილი აფეთქების ცენტრიდან განსახილველ წერტილადგე; E – იუნგის მოცული; U – აფეთქების კუთრი ენერგია; γ – ქანის სიმკვრივე; m – პროპორციულობის კოეფიციენტი.

ფერდოს მდგრადობაზე გაანგარიშებისას, როგორც ხშირად გვხვდება არსებულ ლიტერატურაში, გავრცელებულია ე.წ. ძვრის წრიულ ცილინდრული ზედაპირების მეთოდი, რომლის


თანახმად ძვრის ზედაპირი წარმოდგენილია წრის რკალის სახით [1], რაც გლობალურად საზოგადოდ ნაკლებადაა მოსალოდნელი. ამავე დროს, ლოკალურად, ე.ი. ძვრის $\ell: z = z(x)$, $0 \leq x \leq a$, წირის (ნახ.3) ფიქსირებული $P_o(x_o, z(x_o))$ წერტილის რაიმე საკმარისად მცირე მიღამოში მაღალი რიგის უსასრულო მცირე სიდიდის სიზუსტით (თუ წირს უწყვეტად ცვალებადი სიმრუდე აქვს), ეს წირი მისი სიმრუდის წრეწირია, რომლის ცენტრი $C(x_c, z_c)$ და R რადიუსი გამოითვლება შემდეგი ფორმულით [5]:

$$x_c = x_o - \frac{z'(x_o)[1+z'^2(x_o)]}{z''(x_o)}, \quad z_c = z(x_o) + \frac{1+z'^2(x_o)}{z''(x_o)},$$

$$R = \frac{[1+z'^2(x_o)]^{3/2}}{|z''(x_o)|}.$$

შესაბამისად, ℓ წირის მცირე $\ell(P_o, \varepsilon) = \ell \cap \{P \in R^2 : |P - P_o| < \varepsilon\}$ უბანზე ჩვენ შევვიძლია ფერდოს ძვრაზე მდგრადობის კოეფიციენტი შევაფასოთ შემდეგი ფარდობით:

$$K_{\ell(P_o, \varepsilon)}^{\text{d3}} = \sum_{i=1}^{m_1} F_{i, \varepsilon}^- \cdot r_{i, \varepsilon}^- / \sum_{i=1}^{m_2} F_{i, \varepsilon}^+ \cdot r_{i, \varepsilon}^+, \quad (6)$$



ნახ. 3

სადაც $F_{i, \varepsilon}^-$ და $r_{i, \varepsilon}^-$, $i = 1, \dots, m_1$ არის შესაბამისად $\ell(P_o, \varepsilon)$ უბანზე მოქმედი დამჭერი ძალა და მისი მხარი $C(x_c, z_c)$ წერტილის მიმართ; ანალოგიურად, $F_{i, \varepsilon}^+$ და $r_{i, \varepsilon}^+$, $i = 1, \dots, m_2$ შესაბამისად ამ უბანზე მოქმედი მდგრელი ძალა და მისი მხარი $C(x_c, z_c)$ წერტილის მიმართ, ე.ი. ეს კოეფიციენტი $\ell(P_o, \varepsilon)$ უბანზე დამჭერი ძალების $C(x_c, z_c)$ წერტილის მიმართ მომენტების ალგებრული ჯამის შეფარდებაა მდგრელი ძალების მომენტების ალგებრულ ჯამთან იმავე წერტილის მიმართ, იმავე უბანზე.

როგორც ცნობილია, $K_{\ell(P_o, \varepsilon)}^{\text{d3}}$ მიღებული მნიშვნელობებიდან მინიმალურია მხოლოდ გან-

ხილულ უბანზე ფერდოს სტატიკური მდგრადობის ნამდვილი საზომი, რომლის მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა შესრულდეს პირობა

$$K_{\ell(P_o, \varepsilon)}^{\text{d3}} \geq 1. \quad (7)$$

თუ (6)-ში გადავალოთ ზღვარზე, როდესაც $\varepsilon \rightarrow 0$, მაშინ (7) - ის ძალით მივიღებთ P_0 წერტილში ძვრაზე მდგრადობის კოეფიციენტს:

$$K^{\text{d3}}(P_0) = \lim_{\varepsilon \rightarrow 0} \sum_{i=1}^{m_1} F_{i, \varepsilon}^- \cdot r_{i, \varepsilon}^- / \lim_{\varepsilon \rightarrow 0} \sum_{i=1}^{m_2} F_{i, \varepsilon}^+ \cdot r_{i, \varepsilon}^+ \geq 1. \quad (8)$$

თუ ჩვენ მიერ განხილული ფიზიკურმაქანიკური თვისებების მქონე ფერდოს შემთხვევაში P_0 წერტილის შესაბამისი $PMNQ$ ელემენტარულ ნაკვერუზე მოქმედ მდგრელ და დამჭერ ძალებს დავაგეგმილებთ $\ell(P_o, \varepsilon)$ რკალის P_0 წერტილზე გავლებულ მხებზე (იხ. ნახ. 2 და 3), გვექნება:

$$\sum_{i=1}^{m_1} F_{i, \varepsilon}^- \cdot r_{i, \varepsilon}^- = R \left[\gamma f \frac{g(x_0) - z(x_0)}{\sqrt{1+z'^2(x_0)}} + K \sqrt{1+z'^2(x_0)} \right] dx, \quad (9)$$

$$\sum_{i=1}^{m_2} F_{i, \varepsilon}^+ \cdot r_{i, \varepsilon}^+ = R \gamma \left[g(x_0) \frac{z'(x_0)}{\sqrt{1+z'^2(x_0)}} + (m + C_s) \frac{g(x_0) - z(x_0)}{\sqrt{1+z'^2(x_0)}} K \right] dx. \quad (10)$$

(8), (9) და (10)-დან, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ $1/\sqrt{1+z'^2(x_0)} = \cos \alpha$, $z'(x_0)/\sqrt{1+z'^2(x_0)} = \sin \alpha$, და, როცა $\varepsilon \rightarrow 0$, მაშინ $dx \rightarrow 0$, გარკვეული გარდაქმნების შემდეგ მივიღებთ

$$K^{\text{d3}}(P_0) = \frac{f + \frac{1}{\gamma} \frac{K(h)}{h} (1 + \operatorname{tg}^2 \alpha)}{\operatorname{tg} \alpha + m + C_s}, \quad (11)$$

სადაც $h = g(x_0) - z(x_0)$.

შემოვიდოთ აღნიშვნები:

$$S = \operatorname{tg} \alpha + S_0, \quad S_0 = m + C_s, \quad \lambda(h) = \frac{1}{\gamma} \frac{K(h)}{h}, \quad (12)$$

მაშინ (11) ტოლობა მიიღებს სახეს

$$K^{\text{d3}}(P_0) : \tau(S) = \frac{f + \lambda(h) [1 + (S - S_0)^2]}{S}. \quad (13)$$

α კუთხე იცვლება $[0, \pi/2]$ ინტერვალში, ამიტომ (12)-ის ძალით S სიდიდე იცვლება $[S_0, +\infty)$ ინტერვალში. ახლა ვნახოთ, თუ რა მნიშვნელობებს იღებს $\tau(S)$ ფუნქცია $[S_0, +\infty)$ ინტერვალში.

იმის გათვალისწინებით, რომ

$$\tau(S) = \lambda(h) \cdot S + \frac{f + \lambda(h) + S_0^2 \lambda(h)}{S} -$$

$$-2S_0 \cdot \lambda(h), \quad (14)$$

გვექნება


$$\tau'(S) = \lambda(h) - \frac{f + \lambda(h) + S_0^2 \lambda(h)}{S^2},$$

$$S_0 \leq S < \infty, \quad (15)$$

აქედან $\tau(S)$ ფუნქცია იღებს თავის მინიმუმს ($S = S_{\min}$) წერტილში, სადაც $\tau'(S_{\min}) = 0$, ანუ

$$S_{\min} = \sqrt{f / \lambda(h) + S_0^2 + 1}, \quad (16)$$

თუ, რასაკირველია, (16)-ით განსაზღვრული $S_{\min} > S_0$, რასაც, ცხადია, ადგილი აქვს (ნახ. 4).



ნახ. 4

თუ შემოვიდებთ აღნიშვნას

$$K_0(h) = \frac{1}{\lambda(h)} = \gamma \frac{h}{K(h)}, \quad (17)$$

მაშინ (16) ტოლობა (12)-ის გათვალისწინებით მიიღებს შემდეგ სახეს:

$$S_{\min} = \sqrt{f K_0(h) + (m + C_s)^2 + 1}. \quad (18)$$

(14) და (18)-ის ძალით $\tau(S)$ ფუნქციის მინიმური მნიშვნელობა იქნება

$$\tau_{\min} = \tau(S_{\min}) = \frac{1}{K_0(h)} \sqrt{f K_0(h) + S_0^2 + 1} +$$

$$+ \frac{f + \frac{1}{K_0(h)}(1 + S_0^2)}{\sqrt{f K_0(h) + S_0^2 + 1}} - 2 \frac{1}{K_0(h)} S_0. \quad (19)$$

ახლა (8)-ის შესაბამისად, h ცვლადის მიმართ ანალიზოლოთ შემდეგი უტოლობა:

$$\tau_{\min} = \tau(S_{\min}) \geq 1. \quad (20)$$

(20) უტოლობა ახალი $\omega = K_0(h)$ ცვლადის მიმართ მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\frac{f\omega + S_0^2 + 1 + f\omega + 1 + S_0^2}{\omega \sqrt{f\omega + S_0^2 + 1}} \geq 1 + 2 \frac{S_0}{\omega}$$

ანუ

$$\frac{2\sqrt{f\omega + S_0^2 + 1}}{\omega} \geq 1 + 2 \frac{S_0}{\omega}, \quad (21)$$

რაც ტოლფასია ω -ს მიმართ შემდეგი კვადრატული უტოლობის:

$$\omega^2 + 4(S_0 - f)\omega - 4 \leq 0. \quad (22)$$

იმის გათვალისწინებით, რომ $\omega = K_0(h) \geq 0$,

$$(22) \text{ უტოლობიდან } h \text{ ცვლადის მიმართ გვექნება } K_0(h) \leq 2(f - S_0) + 2\sqrt{(f - S_0)^2 + 1}$$

ანუ (12) და (17)-ის გათვალისწინებით

$$K_0(h) = \frac{h}{K(h)} \leq$$

$$\leq \frac{2}{\gamma} \left(\sqrt{(f - m - C_s)^2 + 1} + f - m - C_s \right). \quad (23)$$

შენიშვნა: ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ დამატებითი დინამიკური დატვირთვების (სეისმური და ავეთქმის) არარსებობისას, ე.ო. როცა $m = C_s = 0$, მაშინ (23)-დან მიიღებთ იმ შედეგს, რომელიც [2] ნაშრომში იყო მიღებული, რაც კვლევის უტყუარობას ადასტურებს.

შემოვიდოთ აღნიშვნა

$$n = \left[\frac{2}{\gamma} \left(\sqrt{(f - m - C_s)^2 + 1} + f - m - C_s \right) \right]^{-1},$$


მაშინ (23) უტოლობა გადაიწერება შემდეგი სახით:

$$K(h) \geq n \cdot h. \quad (24)$$


როგორც ვიცით, $K(0) = 0$, ამიტომ (24) უტოლობის ამონენა გრაფიკულად მოიცვება დაშტრიხული ინტერვალებით (ნახ. 5) ან (ნახ. 6), სადაც h_0, h_1, h_2, \dots სიდიდეები $K(h) = n \cdot h$ განტოლების ფესვებია.

3. დასკვნა


(8), (11) და (20) -დან გამომდინარეობს, რომ თუ h სიდიდე აქმაყოფილებს (24) უტოლობას, მაშინ ფერდოს ნებისმიერ P_0 წერტილზე, რომელიც მისი ზედაპირიდან ვერტიკალური მიმართულებით დაშორებულია h სიდიდით, ე.ო. წერტილები, რომელთა კოორდინატებია $(x_0, g(x_0) - h)$, სადაც $z = g(x_0)$ – ფერდოს ზედაპირის განტოლება (იხ. ნახ. 2) ვერ გაივლის დაცურების ზედაპირის ამსახველი ვერც ერთი წირი, რადგან ამ შემთხვევაში (24) უტოლობა მართებულია აღნიშნულ წერტილზე გამავალი ნებისმიერი $z'(x) = tg\alpha$ კუთხეური კოეფიციენტის მქონე $z = z(x)$ წირისათვის. აქედან გამომდინარე, მე-5 და მე-6 ნახაზების შესაბამისად, ფერდოს ის უბნები (ფენები), სადაც ადგილი აქვს მდგრადობას (ჩამოშვავებისათვის არასაშიშ მოვლენას) მოყვანილია მე-7 და მე-8 ნახაზებზე.




ნახ. 5



ნახ. 6



ნახ. 7



ნახ. 8

ლიტერატურა

- Цытович. Механика грунтов. М.: Высшая Школа, 1993. - 286с.
- Фихтенгольц Г.М. Курс дифференциального и интегрального исчисления. Т.1. М.: Наука, 1979.- 780 с.
- კვიციანი გ. ფერდოების მდგრადობის გაძლიერებისას საშიში დაცურების წირის ანალიზური განსაზღვრა // პიდრობექნიკური ნაგებობების პრეცესიონის, მუნებლობისა და ექსპლუატაციისადმი მიღებილი საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები. თბილისი, 2000, გვ. 53-62.
- Арсентьев А.И., Букин И.Ю., Мироненко В.А. Устойчивость бортов и осушение карьеров. М.: Недра, 1992. - 164 с.
- Хуан Я.Х. Устойчивость земляных откосов. М.: Стройиздат, 1998. - 236 с.

UDC 624.131

ASSESSMENT OF THE STABILITY OF THE SLOPE AT A SMOOTH CURVED SURFACE OF SLIDING

Kvitsiani T., Gedenidze Z., Khutishvili G.

Department of engineering mechanics, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: The assessment of the stability of the slope is undertaken on the basis of the assumption of the surface of a probable sliding, which is a smooth curved one. The degree of stability of the slope is evaluated by a safety factor (the ratio between the algebraic sum of momentum of confining forces to the center of the curvature of a sliding curve and algebraic sum of the shear forces to the same point).

A design formula of the safety factor is given for the minor neighbourhood of each point of the curve of sliding by the radius and center of curvature at the considered point.

Key words: the slope; stability; surface of sliding; the coefficient of the stability of the sliding.

УДК 624.131

ОЦЕНКА УСТОЙЧИВОСТИ В СЛУЧАЕ ПЛАВНОЙ КРИВОЛИНЕЙНОЙ ПОВЕРХНОСТИ СКОЛЬЖЕНИЯ

Квициани Т. А., Геденидзе З. Ш., Хуцишвили Г. Т.

Департамент инженерной механики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси,
ул. Костава 77

Резюме: Оценка устойчивости откоса ведётся на основе допущения, что поверхность возможного скольжения является плавной криволинейной. Степень устойчивости откоса оценивается коэффициентом запаса устойчивости (отношением моментов удерживающих сил к сдвигающим, относительно центра кривизны в данной точке кривой скольжения).

В малой окрестности каждой точки кривой скольжения даётся расчётная формула коэффициента запаса устойчивости через радиус и центр кривизны в рассматриваемой точке.

Ключевые слова: откос; устойчивость; поверхность соскальзывания; коэффициент устойчивости на сдвиг.

შემოსვლის თარიღი 07.10.2008
მიღებულია დასაბუქდად 10.10.2008

შპ 530.319

მყიფე და კლასტიკური მასალების რღვევის თეორიების ისტორიისათვის

ა. დათუაშვილი

საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,
თბილისი, კოსტავას 77

E-mail: adatuashvili@posta.ge

რეზიუმე: განხილულია, თუ როგორ ყალიბდებოდა და ვთარდებოდა წარმოლგენები ლითონური სტრუქტურის მქონე მასალების პლასტიკური და მყიფე თვისებების შესახებ მეოცე საუკუნეში, გადმოცემულია იმ ექსპერიმენტების ისტორია, რომელთა საშუალებითაც აისხნებოდა პიდროსტატიკური წნევის გავლენა ამგვარი მასალების პლასტიკური და მყიფე თვისებების ცვლილებაზე. ნაჩვენებია, თუ როგორ იქმნებოდა ლითონური თვისებების მქონე მასალების რღვევის თეორიის საფუძვლები იმ ცდების გათვალისწინებით, რომლებშიც აისახებოდა პიდროსტატიკური წნევის ზემოქმედება ბზარების განვითარების პროცესზე.

საკვანძო სიტყვები: მყიფე მასალები; პლასტიკური მასალები; რღვევა; ბზარები; პიდროსტატიკური წნევა; გრეხითი დეფორმაციები.

1. შესავალი

ისტორიულად ჩამოყალიბდა მკედვებართა შეხედულება მასალის სიმყიფესა და პლასტიკურობაზე იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევა ესა თუ ის მასალა ლაბორატორიული გამოცდის დროს მარტივი გაჭიმვის შემთხვევაში. ასე, მაგალითად, თუ ითვლება მყიფედ იმის გამო, რომ მისგან დამზადებული ნიმუში გაჭიმვის შედეგად ირღვევა მცირე დეფორმაციის პირობებშიც კი, ამასთან, ბზარები ზედაპირზე ლაგდება გრძივი დერძის მართობული მიმართულებით. ამ მოვლენას შემდეგი ასენა ძებს: თუ ის შედეგენილობაში შედის თვისეუფალი გრაფიტი, რის შედეგადც თუ კი ემსაგასება მყიფე არალითონური ბუნების მქონე მასალას. თუ ამავე წესით გამოვცდით რბილი ფოლადისაგან დამზადებულ ნიმუშს, დავინახავთ, რომ მის ზედაპირზე ბზარები საკმაოდ მნიშვნელოვანი სიდიდის დეფორმაციების ფონზე კითარდება და ამიტომ მას პლასტიკურ მასალად მიიჩნევთ. ამასთანავე, თუ იმავე რბილი ფოლადისაგან დამზადებულ ნიმუშს ძალზე სწრაფად დაგრძირთავთ, ის მყიფე მასალისათვის დამახასიათებელ თვისებებს გამოავლენს. გაჭიმვაზე რბილი ფოლადის გამოცდის პროცესის დროს, იმ მომენტში, როცა დატვირთვა მიაღწევს ამ ნიმუშისათვის მაქსიმალურ სიდიდეს, ნიმუშის ზედაპირზე გარემო-

ულ კვეთში წარმოიქმნება შევიწროვება (ე.წ. ყელი). ამ მომენტიდან დერო გადადის სამდერძადაბზარულ მდგომარეობაში და ბზარების განენამდე დეფორმაცია მიმდინარეობს თანადათან ცვლადი, როგორც სამდერძადაბზარულ-დეფორმირებული მდგომარეობის პირობებში.

2. ძირითადი ნაწილი

3. ბრიჯერმა (1944) [5], 6. დავიდენკოვმა და 6. სპირიდონოვამ (1946) [2] აჩვენეს, რომ სამდერძადაბზე მაგვების მაქსიმუმი მიიღება გრძივ დერძებე, მინიმუმი კი – გვერდითი ზედაპირის სიახლოვეში. ბზარი ჯერ გაჩნდება ნიმუშის გრძივ დერძითან და მისი პერპენდიკულარული იქნება. მიკროსკოპული დაკვირვებები ცხადყოფს, რომ რღვევა მოხდება მოწყვეტით. გვერდითი ზედაპირის სიახლოვეს ბზარის ფორმა იცვლება, ის უკვე ძვრის შედეგად ვთარდება.

უნდა აღინიშნოს, რომ მოწყვეტით რღვევა საქმაოდ დიდი პლასტიკური დეფორმაციების წარმოშობის შემდეგ ხდება. ოთახის ტემპერატურის პირობებში ჩატარებული ცდის შედეგად თანადათანითი ზრდადი დატვირთვის პირობებში ნიმუშის რღვევა მოგლეჯისა და ძვრის შედეგად ხდება.

ტემპერატურის შემცირების შედეგად იზრდება იმის ალბათობა, რომ ნიმუშის რღვევა მოხდება მოწყვეტით. დ.პარკერი, ჰ.დევისი და ა.ფლანიგანი (1946) იმ დასკვნამდე მივიღნენ, რომ საქმაოდ დაბალი ტემპერატურის დროს „ფიალისებრი“ ბზარები რბილი ფოლადისგან დამზადებულ ნიმუშში გარდაიქნა მოწყვეტის ბზარებად, რომლებიც ოთახის ტემპერატურის პირობისათვის თუ კი ნიმუშის ზედაპირზე წარმოქმნილი ბზარების მსგავსია.

მნიშვნელოვანი კვლევები ბზარების ფორმაზე ტემპერატურის გავლენის შესახებ ჩატარდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, რაღაც ხშირი იყო შედეგებული ლითონის კონსტრუქციების ნგრევის შემთხვევები.

ერთი და იმავე რეზიმის ცდის პროცესში, ერთი და იმავე მეთოდის გამოყენების დროს შემნებულ იქნა, რომ არსებობს ე.წ. პრიტიკული ტემპერატურა, რომლის ზევით ლითონი პლასტიკურია, ხოლო ამ ტემპერატურის ქვემოთ მყიფე მასალად იქცევა. ეს დაბალტემპერატურული სიმყიფე შენიშნა სტაპერმა 1957 წელს. ის ცდებს ძირითადად რბილ ფოლადზე აწარმოებ-

და, თუმცა ანალოგია შეინიშნა სხვა ლითონებ-შიც (მოლიბდენი, ქრომი, ტიკია). ამავე დროს შემჩნეულ იქნა, რომ ისეთი ლითონებისთვის, როგორებიცაა ალუმინი, სპილენდი, ნიკელი, ოქრო, კერცხლი, პლატინი და მათი შენადნობები, კრიტიკული ტემპერატურა არ არსებობს. ისინი პლასტიკურ თვისებებს ნებისმიერ ტემპერატურაზე ინარჩუნებდნენ.

ასევე ცნობილი გახდა, რომ პიდროსტატიკური წნევა მნიშვნელოვნად მოქმედებს ლითონების ფიზიკურ თვისებებზე. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევებიდან აღსანიშნავია თ. კარმანის და სხვათა ნაშრომი.

თ. კარმანის 1911 წელს [1] პიდროსტატიკური წნევის ქვეშ შეკუმშა კირქვა და მარმარილო და აჩვენა, რომ ნორმალურ პირობებში ეს მყიფე მასალები მაღალი პიდროსტატიკური წნევის ზემოქმედებით პლასტიკურ თვისებებს ამჟღვნებს.

რ. ბოკერმა 1914 წელს [3] პიდროსტატიკური წნევის ქვეშ გამოიკვლია მარმარილოსა და ცინკის მასალებისაგან დამზადებული ნიმუშები, რომლებიც, გარდა ზემოთ სხენებული პიდროსტატიკური წნევისა, იმავდროულად განიცდიდა გაჭიმვისა და გრეხის დეფორმაციებს. რათა წყალი არ მოხვედრილიყო ზედაპირზე გაჩენილ ბზარებში, ნიმუშები სპეციალურ ფოლგებში იყო შეხვეული. ცდებმა აჩვენა, რომ წნევის გაზრდა პლასტიკურობის ზრდას იწვევდა.

კ. ბრიჯმენმა (1947 – 1952) [5] მრავალი ქქსპერიმენტი ჩატარა ლითონური და არალითონური მასალებისგან დამზადებული ნიმუშების გაჭიმვაზე ძალზე მაღალი წნევის პირობებში (25 000 ატმ). ამ ცდების შედეგად მან დაასკვნა, რომ ზოგიერთი მასალა კუმშვადი იყო, თუმცა დატვირთვის მოხსნის შედეგად იგი თითქმის აღიდგენდა პირგანდელ ფორმას. მანვე რბილი ფოლადისაგან დამზადებული ნიმუშების გამოცდისას აღმოაჩინა, რომ პიდროსტატიკური წნევის ზრდისას რდგვევის ხასიათი იცვლებოდა.

ამ თემას კ. ბრიჯმენმა 200-მდე სტატია მიუძღვნა, სადაც აღნიშნავდა, რომ ნიმუშების რდგვევისთვის საჭირო ზომების ბზარების წარმოქმნას ხელს უშლის მაღალი პიდროსტატიკური წნევა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ხურავს ბზარებს და აფერხებს მათ განვითარებას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ბევრი მასალა წნევის მოხსნის შემდეგ უბრუნდება საწყის მდგრამარებას, მაგრამ არა ყოველთვის. ზოგჯერ მათში ალოტროპიული გარდაქმნები ხორციელდება. მრავალი ქიმიური პროცესის მიმდინარებას მაღალი წნევების არსებობა უწყობს ხელს. ამ საკითხით დაინტერესებული არიან გეოლოგები და გეოფიზიკოსებიც. რ. ბრედასტერმა (1956) შეისწავდა მთის ქანების ქცევა საშუალო სიდიდის პიდროსტატიკური წნევის მოქმედების დროს (0–15 000 ფუნტი/დუი²) დერბულ კუმშვაზე, როცა ხდებოდა მყიფე მდგრამარებიდან პლასტიკურზე გადასცლა. ეს გამოკვლევები სა-

ჭირო იყო ნავთობმომცოვებული მრეწველობისათვის, რადგან ღრმა ჭაბურღილების ბურღვის დროს ადგილი აქვს სწორედ ამ ნაშრომებში განხილულ მოვლენებს.

ზემოთ ნახსენები პ. ბრიჯმენის მონაცემები დაემთხვა მ. როსისა და ა. ეიხინგერის (1929) მიერ ჩატარებულ გამოკვლევებს, რომლებიც თუკის ნიმუშებზე იქნა განხორციელებული. ანალოგიური ექსპერიმენტული შედეგები მიიღეს გვუკმა (1934) სპილენდისა და ფოლადის ნიმუშების გრეხისას და ბ. კროსლანდმა (1954) [2] ასევე გრეხითი დეფორმაციების შესწავლის შედეგად. იგი სპილენდისა და ფოლადის ნიმუშების გარდა, სხვა მასალების ნიმუშებსაც იყენებდა.

ამ გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ პლასტიკურ მასალებში წნევა მცირე გავლენას ახდენს დენადობის ზღვრის სიდიდესა და ძაბვაზე. ნაცრისფერი თუკისაგან დამზადებული ნიმუშის გრეხაზე გამოცდისას, რომელიც რეზინით იყო დაფარული და განიცდიდა მაღალი პიდროსტატიკური წნევის ზემოქმედებას, ბ. კროსლანდმა და ვ. დირდენმა (1958) დასკვნეს, რომ „მხები ძაბვები – დეფორმაციების“ დიაგრამა გადის იმ დიაგრამაზე მაღლა, რომელიც მიიღება ჩვეულებრივი გამოცდების დროს, თუმცა მხები ძაბვები წნევის მკაცრად პროპორციულად არ იზრდება. მაღალი წნევის დროს მასალა იდეალურად პლასტიკურ მდგრამარებას უახლოვდება.


ბ. კროსლანდმა და ა. მიტრამ (1968) [2] დაადგინეს, რომ ზოგიერთი ხასის ფოლადისათვის გრეხის დროს, დენადობის ძაბვა, რომელიც ძაბვა-დეფორმაციის მრუდიდან განისაზღვრება, უმნიშვნელოდ იცვლება, თუ იმავდროულად ნიმუშზე მოქმედებს პიდროსტატიკური წნევა 140 000 ფუნტი/დუი². მათ დაადასტურეს, რომ გრეხის დროს წნევა ძირითადად მოქმედებს მასალის პლასტიკურ თვისებებზე. პლასტიკური იზრდება დაახლოებით წნევის ზრდის პროპორციულად. მაღალი წნევის ზემოქმედების დროს პექსაგონური კრისტალური მესრის მქონე ლითონებზე (მაგ., მაგნიუმი) გრეხის დეფორმაციების შემთხვევაში მათ სხვა არაჩვეულებრივი მოვლენაც შენიშვნეს, რაც გამოიყენეს ისეთი პროცესების სამართავად, რომელთა წარმოება ოთახის ტემპერატურის პირობებში შეუძლებელია. მაგალითად, თუ დაწნეხას ვაწარმოებთ არა ჰაერში, არამედ მაღალი წნევის გარუშმოში, მაგნიუმისა და ბისმუთისაგან დამზადებული ნაკეთობები ბზარებს არ მიიღებს. პიდროსტატიკური წნევა, როგორც ზემოთაც ითქვა, ეწინააღმდეგება ბზარების გაზენასა და განვითარებას. ახალოგიური ამოცანები განიხილეს ჯ. ალექსანდერმა და ბ. ლენგზუელმა (1964) ალუმინის ნიმუშებზე.

პიდროსტატიკური წნევის სამრეწველო გამოყენება ლითონების დეფორმირებისთვის განხილული იქნა 1967 წელს კონფერენციაზე, რომელიც მაღალი წნევების ტექნიკურ გამოყენებას

მიეძღვნა. აგრეთვე საერთაშორისო კონფერენციაზე მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიების სფეროში, რომელიც იმავე, 1967 წელს გაიმართა. ყოველივე ამის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის პლასტიკური დენადობის პირობები კარგად არის შესწავლილი, რასაც ვერ გიტყვით რდველის პროცესთან დაკავშირდებით. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ აღვეროთ

ის ფაქტორები, რომლებიც ეწინააღმდეგება ბზარების წარმოშობას და ხელს უწყობს დანადობის პროცესს.

მიღებულია მოსაზრება, რომ რდველი ხდება მთავარი გამჭიმი ძაბვების მოქმედების და დეფორმაციების განვითარების შედეგად, ხოლო დენადობა გამოწვეულია მთავარი ძაბვების სხვაობის გავლენით.



ნახაზზე ნაჩვენებია ტემპერატურისა და დეფორმაციის სიჩქარის გავლენა ტემპერატურის მასალისგან დამზადებული ნიმუშის პლასტიკურობაზე მისი გაჭიმვის შემთხვევაში, დეფორმაციების სხვადასხვა სიჩქარეების დროს. კერძოდ, \bullet – მრუდი წარმოადგენს შემთხვევას, როცა სიჩქარე 0.05 დუიმი/წო-ის ტოლია; Δ – სიჩქარე 10 დუიმი/წო; X – სიჩქარე 100 დუიმი/წო; \circ – სიჩქარე უდრის 19000 დუიმი/წო-ს (მონაცემები აღებულია ა. მაგნუსნისა და ვალდევინის მიხედვით).

პ.ლუდვიგმა (1909) შემოიღო ნახევრად ლოგარითმული დამოკიდებულება გაჭიმვის დროს სიმტკიცის ზღვარსა და დეფორმაციის სიჩქარეს შორის:

$$\sigma = \sigma_1 + \sigma_o \ln \varepsilon^* / \varepsilon_o^*,$$

სადაც σ_o, σ_1 და ε^* მუდმივებია.

ეს განტოლება ზოგად შემთხვევაში გულისხმობს, რომ σ ისე სწრაფად არ იზრდება, როგორც ε^* .

კ. ალდერმა და კ. ფილიპსმა (1954) ჩაატარეს ექსპერიმენტები სპილენზე (600°C), ალუმინზე (500°C), ფოლადზე (930°C - 1200°C) და აჩვენეს, რომ ადგილი აქვს შემდეგ დამოკიდებულებას:

$$\sigma = \sigma_o \cdot \varepsilon^{n_o},$$

სადაც $\sigma_o = \frac{P}{X_o}$; P მიმდინარე დატვირთვის სილიდეა; X_o – ნიმუშის საწყისი განივი კვეთის ფართობი; n – ემპირიული მუდმივა.

ქ. მაკგრეგორმა და ჯ. ფიშერმა (1946) შემოიტანეს შესწორება:

$$T_m = T(1 - m \ln \varepsilon^* / \varepsilon_o^*),$$

$T_m = \frac{\text{ცდის } \text{ტემპერატურა}{\text{დნობის } \text{ტემპერატურა}}{\text{ცარდობითი } \text{ტემპერატურაა};$

T – ცდის ტემპერატურა (ტემპერატურა ცდის პროცესში); ε^* – დეფორმაციის სიჩქარე; σ_o – პირობითი ნორმალური ძაბვა.

ამ გამოსახულებიდან ჩანს, რომ დეფორმაციის სიჩქარე იზრდება ტემპერატურის დაწვასთან ერთად.

კ. ინუიგმ (1955) გამოიყენა გამოსახულება

$$\sigma = \sigma_o \cdot \varepsilon^n \cdot \exp(A/Tk),$$

სადაც n, m, A და k ემპირიული მუდმივებია.

ლ. მალვერმა (1965) წარმოადგინა განტოლება $\varepsilon^* = \sigma / E + F[\sigma - \sigma(e)]$, როცა $\sigma > \sigma(e)$.

მან იგივე განტოლება სხვა ფორმითაც მოგვაწოდა:

$$\varepsilon^* = \frac{\sigma}{E} + D\left(\frac{\sigma}{\sigma_0} - 1\right)^p.$$

ამ განტოლებებში D , და p ემპირიული მუდმივებია, ხოლო σ_0 – სტატიკური დენადობის ზღვარი.

3. დასკვნა

3. ბრიჯმენმა, 6. დავიდენკოვმა, 6. სპიროდონოვამ, მ. როსმა, ა. მიტრამ, ს. ტოპერმა, კ. ფილიპსმა, ლ. მალევრმა და სხვა მეცნიერებმა ჩატარებული ცდებით აჩვენეს, რომ სხვადასხვა პლასტიკურ მასალაზე გავლენას ახდენს ტემპერატურა, დატვირთვის სისწავეებს და ჰიდროსტატიკური წნევა.

მაგ., ოთახის ტემპერატურის პირობებში ჩატარებული ცდის შედეგად თანდათანობითი ზრდა დატვირთვის პირობებში, ნიმუშის რღვევა ხდება მოწყვეტისა და ძრის შედეგად. დადგინდა ასევე, რომ ნორმალურ პირობებში მყიფე მასალები – კირქვა და მარმარილო, მაღალი

ჰიდროსტატიკური წნევის ზემოქმედებით პლასტიკურ თვისებებს ამჟღავნებენ.

წარმოდგენილია მრუდები, რომლებზეც ასახულია ტემპერატურისა და დეფორმაციის სისწავეების ზემოქმედება ტყვიის ნიმუშები მიხედვით გაჭიმვის დროს.

ლიტერატურა

1. Малинин Н.Н. Прикладная теория пластичности и ползучести. Москва: Машиностроение, 1975, с. 345, 358.
2. Соколовский В.В. Теория пластичности. Москва: Высшая школа, 1969, с. 126.
3. Ерхов М.И. Теория идеально пластических тел и конструкций. Москва: Наука, 1978, с. 13, 26, 44, 62.
4. ბაციკაძე თ., მურლულია ნ., ნიკარაძე ჯ. სიმბიკიცის კლასიკური კრიტერიუმების ისტორიისათვის // სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, №3, თბილისი, 2006, გვ. 76-82.
5. У. Джонсон, П. Мелор. Теория пластичности для инженеров. Москва: Машиностроение, 1979, с. 28.

UDC 530.319

ON THE HISTORY OF FAILURE THEORY OF BRITTLE AND PLASTIC MATERIALS

A. Datuashvili

Department of engineering mechanics, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resum: There is discussed the formation and development of the ideas about plastic and brittle properties of the materials with metal structure in the XX century. There is given the history of these experiments explaining hydrostatic pressure effect on the change of plastic and brittle properties of such materials. The formation of the foundations of failure theory of materials with metal properties is shown with consideration of experiments reflecting hydrostatic pressure action on crack formation and development process.

Key words: brittle materials; plastic materials; failure; cracks; hydrostatic pressure; twisting deformation

УДК 530.319

К ИСТОРИИ ТЕОРИИ РАЗРУШЕНИЯ ХРУПКИХ И ПЛАСТИЧЕСКИХ МАТЕРИАЛОВ

Датуашвили А.Н.

Департамент инженерной механики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: Рассмотрено становление и развитие в двадцатом веке представлений о пластических и хрупких свойствах материалов, имеющих структуру металла; передана история тех экспериментов, с помощью которых объясняется влияние гидростатического давления на изменение пластических и хрупких свойств этих материалов. Указано, как создавались основы теории разрушения материалов со свойствами металлов, с учетом тех опытов, в которых отражалось влияние гидростатического давления на образование и развитие процессов трещин.

Ключевые слова: хрупкие материалы; пластические материалы; разрушение; трещины; гидростатическое давление; скручивающие деформации.

გემოცდის თარიღი 05.08.2008
მიღებულია დასაბუქრად 11.09.2008

უაკ 624.023.93

**სხვადასხვა მასალისბან შედგენილი არაერთგვაროვანი კოჭის გაანგარიშება
ბანიგ დარტყმაზე**

ა. ხატეიშვილი

საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,
თბილისი, კოსტავას 77

E-mail: ninoxabei@yahoo.com

რეზიუმე: განხილულია სხვადასხვა მასალის–
გან შედგენილი (გრძივი ბოჭკოების სხვადასხვა
დრეკადობის მოდულით) სიმეტრიული სწორკუთ-
ხა მუდმივგვეთიანი, არაერთგვაროვანი კოჭი. კვე-
თის ფართობის დაფანის მეთოდის გამოყენებით
არაერთგვაროვანი რეალური კოჭი დაიყვანება
ერთანი დრეკადობის მქონე ერთგვაროვან კოჭ-
ზე, რომლის სტატიკური და დინამიკური (განივი
დარტყმა) გაანგარიშება საკმაოდ გამარტივე-
ბულია. რიცხვითი მაგალითის საფუძველზე ნაჩ-
ვნებია სხვადასხვა გეომეტრიული და მექანიკური მასასიათებლების გამოთვლის მეთოდიკა.

საგანმო სიტყვები: დაყვანილი კვეთი; მაკვ-
ვალენტური კოჭი; განივი დარტყმა; დაყვანილი
მასა; დინამიკური კოფიციენტი.


1. შესავალი

იმ შემთხვევაში თუ კოჭი შედგენილია სხვა-
დასხვა მასალისგან, რომლებიც ერთმანეთთან
შეერთებულია ისე, რომ უზრუნველყოფილია მა-
თი ერთობლივი მუშაობა, მაშინ ძალაში რჩება
ბრტყელი კვეთების პიკოთება.

ასეთ დროს, როგორც წესი, ზოგადად, ნეი-
ტრალური ხაზი არ გადის კოჭის განივი კვეთის
სიმძიმის ცენტრზე. დაყვანილი გეომეტრიული
და მექანიკური მასასიათებლების საშუალებით
რეალური კოჭი დაიყვანება ერთი მასალის მქო-
ნე ეპივალენტურ ერთგვაროვან კოჭზე, რაც
საკმაოდ ამარტივებს როგორც სტატიკურ, ისე
დინამიკურ გაანგარიშებას.

2. ძირითადი ნაწილი

განხილულია ორი განსხვავებული მასალის-
გან შედგენილ (სხვადასხვა დრეკადობის მოდ-
ულის მქონე გრძივი ბოჭკოებით) კოჭსოლური,
სიმეტრიული სწორკუთხაგანიველებით, არა-
ერთგვაროვანი კოჭი, რომლის თავისუფალ ბო-
ლოზე H სიმაღლიდან ეცემა Q ტვირთი (ნახ.
1,ა).



ნახ. 1. კონსოლური კოჭი

ცნობილია, რომ განივი ბრტყელი დუნგისას
რეალურ კვეთში აღმრული ნორმალური ძალე-
ბის ჯამი ნულის ტოლია [1]:

$$\int_{F_1} \sigma_1 dF + \int_{F_2} \sigma_2 dF = 0,$$

სადაც $\sigma_1 = \frac{E_1 Y_1}{\rho}$; $\sigma_2 = \frac{E_2 Y_2}{\rho}$; E_1 და E_2 დრეკა-
დობის მოდულებია, ρ – კოჭის სიმრუდის რა-
დიუსი; Y_1 და Y_2 – მანძილები ნეიტრალური
დერძიდან იმ წერტილებამდე, სადაც გვაინტერ-
ცებს ძაბვები.

მათი გათვალისწინებით გვექნება

$$E_1 \int_{F_1} Y_1 dF + E_2 \int_{F_2} Y_2 dF = 0$$

ან

$$\int_{F_1} Y_1 dF + \frac{E_2}{E_1} \int_{F_2} Y_2 dF = 0. \quad (1)$$

(1)-ში შემავალი ინტეგრალები Z დერძის მი-
მართ (რომელიც დაშორებულია AB ხაზიდან ა
მანძილით) სტატიკური მომენტებია, რომლებიც
2, ა ხახზიდან მიიღებს სახეს

$$\int_{F_1} Y_1 dF = b_1 h_1 \left(\frac{h_1}{2} - a \right);$$

$$\int_{F_2} Y_2 dF = -b_2 h_2 \left(\frac{h_2}{2} + a \right). \quad (2)$$

(2) გამოსახულებების (1)-ში ჩასმით განვ-
საზღვრავთ a სიღრდეს:

$$a = \frac{b_1 h_1^2 - \frac{E_2}{E_1} b_2 h_2^2}{2 \left(b_1 h_1 + \frac{E_2}{E_1} b_2 h_2 \right)}. \quad (3)$$

დავადგინოთ დაყვანილი ფართობის სიდიდე და სახე, ამისთვის გამოვიყენოთ ფორმულა [2]:

$$F_{\text{დღ}} = \sum_{i=1}^n F_i \frac{E_i}{E}. \quad (4)$$

სადაც E არის დრეკადობის მოდულის ის მნიშვნელობა, რომელზედაც დაიყვანება რეალური ფართობი; დაგუშვათ, $E = E_1$, მაშინ (4) მიიღებს სახეს

$$F_{\text{დღ}} = F_1 \frac{E_1}{E_1} + F_2 \frac{E_2}{E_1} = F_1 + nF_2. \quad (5)$$

(5) გამოსახულების მეორე წევრი არის სპლექნის შესაბამისი ფართობი, ე. ი. $nF_2 = nb_2 h_2 = b_{\text{დღ}} h_2$, აქედან $b_{\text{დღ}} = nb_2$.

კონსტრუქციების გაანგარიშება დინამიკური დატვირთვის დროს საჭაოდ როდენი, მაგრამ ოუ ცნობილია ე.წ. დინამიკურობის კოეფიციენტი, მაშინ მარტივად შეგვიძლია განვსახვდვროთ სხვადასხვა მექანიკური და გეომეტრიული მასასით ეფექტები:

$\sigma_{\text{დ}} = K_{\text{დ}} \cdot \sigma_{\text{ს}}$; $M_{\text{დ}} = K_{\text{დ}} \cdot M_{\text{ს}}$; $\tau_{\text{დ}} = K_{\text{დ}} \cdot \tau_{\text{ს}}$; $\delta_{\text{დ}} = K_{\text{დ}} \cdot \delta_{\text{ს}}$ და ა.შ.,

სადაც $\sigma_{\text{დ}}$, $\tau_{\text{დ}}$ არის დინამიკური ნორმალური და მხები ძაბვები;

$\sigma_{\text{ს}}$ – სტატიკური ნორმალური ძაბვა, რომელიც გამოწვეულია დარტყმის წერტილში მოდებული დარტყმის ძალის ტოლი სტატიკური დატვირთვით;

$M_{\text{დ}}$ – დინამიკური მდუნავი მომენტი;

$\delta_{\text{დ}}$ – დინამიკური გადაადგილებები (ჩაღუნვა, გრეხის კუთხე, აბსოლუტური წაგრძელება).

თუ გამოვიყენებთ ენერგეტიკულ მეთოდს, რომელიც ენერგიის შენახვის კანონზეა დაფუძნებული, მაშინ დინამიკურობის $K_{\text{დ}}$ კოეფიციენტი გამოითვლება ზოგადი ფორმულით [3], [4]:

$$K_{\text{დ}} = 1 + \sqrt{1 + \frac{2H}{\delta_{\text{ს}}}} \cdot \frac{Q}{Q + K_m \cdot Q_0}, \quad (6)$$

სადაც H არის Q ტგირთის გარდნის სიმაღლე;

$\delta_{\text{ს}}$ – დარტყმის წერტილში კოჭის განივი კვეთის ჩაღუნვა, რომელიც გამოწვეულია იმავე წერტილში მოდებული $P = Q$ სტატიკური დატვირთვით;

Q_0 – კოჭის საკუთარი წონა;

K_m – კოჭის მასის დაყვანის კოეფიციენტი.

როცა $10 \leq \frac{2H}{\delta_{\text{ს}} \cdot \delta_{\text{ს}}}$ ≤ 110 , მაშინ (6) მიიღებს გა-

მარტივებულ სახეს

$$K_{\text{დ}} = 1 + \sqrt{\frac{2H}{\delta_{\text{ს}} \cdot \delta_{\text{ს}}} \cdot \frac{Q}{Q + K_m \cdot Q_0}}, \quad (7)$$

ხოლო, თუ $\frac{2H}{\delta_{\text{ს}} \cdot \delta_{\text{ს}}} \geq 110$, მაშინ გვექნება

$$K_{\text{დ}} = \sqrt{\frac{2H}{\delta_{\text{ს}} \cdot \delta_{\text{ს}}} \cdot \frac{Q}{Q + K_m \cdot Q_0}}. \quad (8)$$

კონსოლური კოჭის თავისუფალ ბოლოზე მოქმედი სტატიკური P ძალით გამოწვეული ჩაღუნვა გამოითვლება ცნობილი ფორმულით

$$Y_k = \frac{Pl^3}{3EI} = \frac{Pl^3}{3E_1 I_z}. \quad (9)$$


სადაც l არის კონსოლის სიგრძე, EI – სიხისტე ღუნვის დროს.

განვიხილოთ რიცხვითი მაგალითი. მოცემულია: $L = 1\text{m}$, $l = 1\text{m}$, $Q = 50\text{kg}$. კოჭის განივი კვეთის ზედა ნაწილი ფოლადია შემდეგი მასასიათებლებით: $b_1 = 20\text{cm}$, $h_1 = 10\text{cm}$, $E_1 = 2 \cdot 10^6 \text{kg/cm}^2$, ხოლო ქვედა ნაწილი სპილენძისაა: $b_2 = 20\text{cm}$, $h_2 = 10\text{cm}$, $E_2 = 0,84 \cdot 10^6 \text{kg/cm}^2$, დასაშვები ძაბვა ფოლადისთვის $[\sigma_{\text{დ}}]^{1/3} = 1200\text{kg/cm}^2$, სპილენძისათვის – $[\sigma_{\text{დ}}]^{1/3} = 500\text{kg/cm}^2$ (ნახ. 2,ა).

დავადგინოთ ნეიტრალური ლერძის მდებარეობა. როცა $E = E_1$, მაშინ $\frac{E_2}{E} = \frac{E_2}{E_1} = n = \frac{0,84 \cdot 10^6}{2 \cdot 10^6} = 0,42$ და ცნობილი სიდიდეების (3) გამოსახულებაში შეტანით მივიღებთ

$$a = \frac{20 \cdot 10^2 - 0,42 \cdot 20 \cdot 10^2}{2(20 \cdot 10 + 0,42 \cdot 20 \cdot 10)} = 2,04\text{cm},$$

ე. ი. Z ლერძი არ გადის რეალური განივი კვეთის სიმძიმის ცენტრზე.



ნახ. 2. ა) რეალური კვეთი; ბ) ფოლადის დაყვანილი კვეთი

ამრიგად, რეალური არაერთგვაროვანი კვეთის ნაცვლად მივიღეთ მისი ეკვივალენტური ერთგვაროვანი ფოლადის კვეთი (დრეკადობის E_1 მოდულით). დაყვანილი კვეთის სახე მოცემულია 2, ბ ნახაზზე.

დაყვანილი კვეთის სტატიკური მომენტი Z_0 დერძის მიმართ

$$S_{z_0} = 200 \cdot 5 - 84 \cdot 5 = 580 \text{ სმ}^3.$$

$$\begin{aligned} \text{სიმძიმის ცენტრის პოორდინატი } Y_c &= \frac{S_{z_0}}{F_{\text{ფა}}}, \\ &= \frac{580}{284} = 2,04 \text{ სმ}. \end{aligned}$$

როგორც გხედავთ, როცა $h_1 = h_2$, მაშინ რეალური და დაყვანილი კვეთებისთვის ნეიტრალური დერძის მდებარეობა ერთი და იგივეა, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ დაყვანილ კვეთში იგი გადის კვეთის სიმძიმის ცენტრში, რეალურში კი არა.

2, ბ ნახაზიდან ინერციის მომენტი

$$\begin{aligned} I_z &= \frac{20 \cdot 10^3}{12} + 20 \cdot 10 \cdot 2,96^2 + \\ &+ \frac{8,4 \cdot 10^3}{12} + 8,4 \cdot 10 \cdot 7,04^2 = 8282 \text{ სმ}^4. \end{aligned}$$

შევიტანოთ (9) ფორმულაში ცნობილი სიდონები, მივიღებთ

$$Y_k = \frac{Pl^3}{3EI_z} = \frac{50 \cdot 10^6}{3 \cdot 2 \cdot 10^6 \cdot 8282} = 0,001 \text{ სმ}.$$

კოჭის საკუთარი წონა $Q_0 = F_{\text{ფა}} l \gamma$, სადაც $F_{\text{ფა}} = 284 \text{ სმ}^2$, $l = 100 \text{ სმ}$, ხვედრითი წონა $\gamma = 7,85 \text{ გ/მ}^3$, ე. ი. $Q_0 = 284 \cdot 100 \cdot 0,00785 = 223 \text{ კგ}$.

ვინაიდან სიდიდე $\frac{2H}{Y_k} = 54000 \succ 110 \cdot 4$ და

$K_m = \frac{33}{140}$, (8) გამარტივებული ფორმულით მივიღებთ:

$$K_{\text{დ}} = \sqrt{\frac{54000 \cdot 50}{50 + \frac{33}{140} \cdot 223}} \approx 162.$$

მაქსიმალური სტატიკური ნორმალური ძაბვა გვექნება ჩამაგრების კვეთში, სადაც მაქსიმალური მდურავი მომენტი $M_{\text{მაქ}} = 50 \cdot 100 = 5000 \text{ კგ. სმ}$, წინადაბის მომენტი კი $W_z = \frac{I_z}{Y_{\text{მაქ}}} = \frac{19716}{5000} = 3,95 \text{ სმ}^3$. მაშასადამე, $\max \sigma_{\text{სმ}} = \frac{M_{\text{მაქ}}}{W_z} = \frac{5000}{3,95} = 1270 \text{ კგ/სმ}^2$.

ცნობილია რა დინამიკურობის კოეფიციენტი, შეგვიძლია განვსაზღვროთ მაქსიმალური დინამიკური ძაბვა: $\max \sigma_{\text{დ}} = K_{\text{დ}} \cdot \max \sigma_{\text{სმ}} = 1178 \text{ კგ/სმ}^2$.

მიღებული ძაბვა აქმაყოფილებს სიმტკიცისა და დაუძაბავობის პირობას. მართლაც,

$$\max \sigma_{\text{დ}} = 1178 \text{ კგ/სმ}^2 \prec [\sigma_{\text{დ}}]^{1/3} = 1200 \text{ კგ/სმ}^2.$$

განსხვავება $\frac{1200 - 1178}{1200} \cdot 100 \% \approx 1,83 \% \prec 5 \%$.


კოჭის საკუთარი წონის მხედველობაში მიუღებლად გვექნება

$$K_{\text{დ}} = \sqrt{\frac{2H}{\delta_{\text{სმ}}}} = \sqrt{54000} \approx 232$$

$$\text{და } \max \sigma_{\text{დ}}^* = 232 \cdot 7,27 = 1687 \text{ კგ/სმ}^2.$$

ე. ი. ამ შემთხვევაში მაქსიმალური დინამიკური ძაბვა გაცილებით მეტია წემთხვევაში მიუღებულ ძაბვასთან შედარებით. განსხვავებაა $\frac{1687 - 1178}{1687} \cdot 100 \% \approx 30 \%$, რაც გამოიწვევს კოჭის ზომების გაზრდას არსებული მონაცემების დროს.

თუ რეალურ კოჭს შევცვლით ეპივალენტური სპილენძის კოჭით $E = E_2$, მაშინ დაყვანილი კვეთი მიიღებს ასეთ ფორმას (ნახ. 3).



ნახ. 3. სპილენძის დაყვანილი კვეთი

ამ შემთხვევაში სიდიდეები $a = 2,04 \text{ სმ}$, $Y_k = 0,001 \text{ სმ}$ და $K_{\text{დ}} = 162$ იგივეა, რაც ფოლადის დაყვანილი კოჭისთვის. რაც შეექნება ცენტრალური ინერციის მომენტი, იგი განსხვავებული სიდიდისაა და ტოლია: $I_z = 19716 \text{ სმ}^4$, ამიტომ $\max \sigma_{\text{სმ}} = \frac{50 \cdot 100}{19716} \cdot 12,04 = 3,05 \text{ კგ/სმ}^2$, ხოლო $\max \sigma_{\text{დ}} = 162 \cdot 3,05 = 494 \text{ კგ/სმ}^2$. ამ შემთხვევაშიც სიმტკიცის პირობა დაცულია: $\max \sigma_{\text{დ}} = 494 \text{ კგ/სმ}^2 \prec [\sigma_{\text{დ}}]^{1/3} = 500 \text{ კგ/სმ}^2$ (განსხვავება 1,2 %-ია).

3. დასკვნა

დაყვანილი კვეთის მეთოდი საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა მასალისგან შედგენილი არაერთგვაროვანი მუდმივკვეთიანი კოჭები შევცვალოთ ერთგვაროვანი კოჭებით, რომელთა სტატიკური და დინამიკური გაანგარიშება შესაძლებელია მასალათა გამდლეობის კურსში მოცემული ცნობილი მეთოდებითა და ხერხებით.

ამ მეთოდით ორზე მეტი მასალისგან (განსხვავებული დრეკადობის მოდულით) შედგენილი

არაერთგვაროვანი მუდმივკვეთიანი კოჭის გაანგარიშება გაცილებით მარტივია სხვა მეთოდებთან შედარებით. კოჭის ჩაღუნვის, დაყვანილი მასის კოეფიციენტის, დინამიკურობის კოეფიციენტის და ა.შ. განსაზღვრა სხვადასხვა მასალისგან შედგენილი არაერთგვაროვანი კოჭის როტულია. ეს სირთულე დაყვანილი კვეთის მეთოდით მოხსნილია. კოჭის მასის გათვალისწინება გაანგარიშების დროს საქმაო ეტონმიურ ეფექტს იძლევა.

ლიტერატურა

1. Писаренко Г.С., Агарев В.А., Квитка А.Л., Попков В.Г., Уманский Э.С. Сопротивление материалов. Киев:

2. Смирнов А.Ф., Александров А.В., Монахов Н.И., Парфенов Д.Ф., Потапов В.Д., Скрябин А.И., Федорков Г.В., Холчев В.В. Сопротивление материалов. М.: Высшая школа, 1975, с. 199, 207.
3. Anzor Khabeishvili – “Résistance des matériaux”, Conakry., 1988, gv 81.
4. Anzor Khabeishvili, Tamaz Batsikadze – “Résistance des matériaux”, Universite technique., Tbilisi., 1998, gv 323.

UDC 624.023.93

CALCULATION OF THE HETEROGENEOUS BEAM WHICH CONSISTS OF A DIFFERENT MATERIALS ON TRANSVERSE IMPACT

A. khabeishvili

Department of engineering mechanics, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is considered a beam of different spring with separate group of transverse fibre, which has the modulus of elasticity.

With the help of cross section area reduction method, heterogeneous beam is substituted for homogeneous equivalent beam, for which the static and dynamic account is quite simple.

Method of determination of geometrical and mechanical characteristics is shown by this example.

Key words: Reduced section; Equivalent beam; Transverse impact; Reduced mass; Dynamic coefficient.

УДК 624.023.93

РАСЧЕТ РАЗНОРОДНОЙ БАЛКИ, СОСТАВЛЕННОЙ ИЗ РАЗЛИЧНЫХ МАТЕРИАЛОВ, НА ПОПЕРЕЧНЫЙ УДАР

Хабеишвили А.Д.

Департамент инженерной механики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: Рассматривается балка разнородной упругости, у которой отдельные группы продольных волокон имеют различные модули упругости.

При помощи метода приведения площади поперечного сечения разнородная балка заменяется эквивалентной однородной балкой, для которой статический и динамический расчет значительно проще.

На примере показана методика определения геометрических и механических характеристик.

Ключевые слова: приведенное сечение; эквивалентная балка; поперечный удар; приведенная масса; динамический коэффициент.

შემოსელის თარიღი 30.09.2008
მიღებულია დასაბუღად 01.10.2008

შაპ 621.1

მეორეული პროდუქციის წარმოების ფენერლოგია წილის ნაწილი ნაწილი ნახშირების გაზიფიკაციის დროს

თ. ჯიშვარიანი, გ. არაბიძე, ნ. ბუალავა, გ. ჯიშვარიანი*

თბილის და პიდროვნერგეტიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, ქოხევა 77

E-mail: giariorgi@hotmail.ru

რეზიუმე: განხილულია ნახშირების მინერალური ნაწილის უტილიზაციისა და მყარი სათბობის ორგანული და მინერალური შემდგენების კომპლექსური გამოყენების საკითხი. წარმოდგენილია მეორეული პროდუქციის წარმოების ტექნილოგია წილის ნადნობში ნახშირების გაზიფიკაციის დროს. ნახვებია, რომ ნახშირით მომუშავე თესებში მეორეული პროდუქციის წარმოების ორგანიზება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ელექტროენერგიის გამომუშავების ეკონომიკურ მაჩვენებლებს, რადგან ნახშირის მინერალური კომპონენტებიდან თანაპროდუქტების მოდების შესაძლებლობა მნიშვნელოვანი ენერგეტიკული და მატერიალური დანახარჯების გარეშე და მათი შემდგომი რეალიზება, უზრუნველყოფს უნარჩენო ენერგეტიკული კომპლექსის შექმნის შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: წილის ნადნობი; ნახშირების გაზიფიკაცია; მეორეული პროდუქცია; ნახშირის მინერალური ნაწილი; უნარჩენო ენერგეტიკული კომპლექსი.

1. შესავალი

ნახშირი ის პირველი ნედლეულია, რომელიც, გარდა ორგანული ნაწილისა, შეიცავს მრავალკომპონენტიან მინერალურ შემდგენსაც და ამიტომ ამ ბოლო დროს მყარი სათბობის წვასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებთან ერთად დღის წესრიგში დადგა მათი მინერალური ნაწილის უტილიზაციის საკითხიც [1-2].

წილის ნადნობში ნახშირების გაზიფიკაციის დროს მყარი სათბობის მინერალური შემდგენიდან მეორეული პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა და მისი ასორტიმენტი გვერატორული აირის დაწვის მეთოდებით არ არის შეზღუდული. გაზიფიკაციის ტექნილოგიური სქემა საშუალებას იძლევა მისი ძირითადი სტრუქტურული ელემენტი – კამერა-აირგენერატორი (თევადი წილის ანუ წილის ნადნობის აბაზანა) ჩაირთოს ნებისმიერი ენერგოდანადგარის თბურ სქემაში, იქნება ეს ტრადიციული ორთქლტურბინიანი დანადგარი, აირგურბინული დანადგარი თუ კომბინირებული თესი ნახშირის შიგაციკლური გაზიფიკაციით [3-4].

სხვადასხვა კონსტრუქციული და ტექნიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს, რომელიც ითვალისწინებს ძირითადი და დამხმარე წარმოების შეთანხული ერთობლივ მუშაობას, თხევადი წილი კამერა-აირგენერატორიდან უშალოდ მიეწოდება მისი მეორეული გადამუშავების მოწყობილობას. ეს შეიძლება იყოს წილის დორდის, წილასიტალის, წილის სხმულის, წილის ბამბის, კერამიკული ფილების, აგურის და სხვა სამშენებლო მასალის ტექნოლოგიური ხაზები. მაშასადამე, წილის აბაზანა ამავე დროს მეორეული პროდუქციის წარმოების შემადგენელი კონსტრუქციული ელემენტიცაა. გარდა ამისა, მას შეიძლება დაემატოს სპეციალური სახარში ღუმელი თხევადი წილის თბოტექნიკური მახასიათებლების კორექტირების მიზნით, თუ ამას მეორეული პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია მოითხოვს. ამ შემთხვევაში წილის ტემპერატურის ცვლილება ძირითადი წარმოებიდან დამხმარე წარმოებამდე მისი გადაცემისას 50°C-ს არ აღემატება.


თუ მეორეული პროდუქციის წარმოება იმდენად მასშტაბურია, რომ დამატებით ცალკე საწარმოო ფართობებს მოითხოვს, შესაძლებელია თხევადი წილის ტრანსპორტირება რამდენიმე კმ-ზე მიქსერული ტიპის სპეციალური წილასაზიდების საშუალებით. წილის ტემპერატურა ამ დროს შეიძლება 150-250°C-ით შემცირდეს [5].

2. ძირითადი ნაწილი

წილის ნახშირების გაზიფიკაციის დროს მყარი სათბობის მინერალური შემდგენიდან მეორეული პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა და მისი ასორტიმენტი გვერატორული აირის დაწვის მეთოდებით არ არის შეზღუდული. გაზიფიკაციის ტექნილოგიური სქემა საშუალებას იძლევა მისი ძირითადი სტრუქტურული ელემენტი – კამერა-აირგენერატორი (თევადი წილის ანუ წილის ნადნობის აბაზანა) ჩაირთოს ნებისმიერი ენერგოდანადგარის თბურ სქემაში, იქნება ეს ტრადიციული ორთქლტურბინიანი დანადგარი, აირგურბინული დანადგარი თუ კომბინირებული თესი ნახშირის შიგაციკლური გაზიფიკაციით [3-4].

თხევადი წილის გამოსაშვებ სიფონ-სალექარს აქვს სამი დარი. ერთი დარი გამოიყენება წილის მისაწილებლად გრანულაციის დანადგარზე, რომლის მწარმოებლურობა 10-15 ტ/სთ-ია. გრანულირებული წილის ტექნილოგიური ხაზი საკომპენსაციო როლს ასრულებს ნახშირების გაზიფიკაციის სქემაში. ის უზრუნველყოფს გრანულაციის დანადგარის მწარმოებლურობის სწრაფი ცვლილების შესაძლებლობას ნულიდან წილის ნომინალურ ხარჯამდე. მეორე დარის

საშუალებით წიდის ნადნობი მიეწოდება წიდის ღორღის წარმოების ტექნოლოგიური ხაზის სააბაზანე ღუმელს, რომელიც კონსტრუქციულად შეუდლებულია კამერა-აირგენერატორის წიდის აბაზანასთან. წიდა ერთი აბაზანიდან მეორეში პრაქტიკულად ტემპერატურის შეუცვლელად იღვრება, ხოლო ნადნობის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების ფორმირება ხორციელდება დანამატებით, რომელთა მიწოდება შესაძლებელია როგორც ძირითად, ისე მეორეული წარმოების აბაზანებში. წიდის ღორღის წარმოების ტექნოლოგიური ხაზის მწარმოებლურობა 2 ტ/სთ-ია [6-9].




ნახ.1. მეორეული პროცესის წარმოების სქემა: 1-კამერა-აირგენერატორი; 2-სიფონ-სალექარი თხევადი წიდისთვის; 3-სიფონ-სალექარი თხევადი ლითონისთვის; 4-ღარები თხევადი წიდისთვის; 5-წიდის გრანულაციის დანადგარი; 6-წიდასიტალისა და წიდის ბლოკების დანადგარები; 7-ღარები თხევადი ლითონისათვის; 8-სახარში ღუმელი; 9-ზოდებში ლითონის ჩამომსხმელი მანქანა; 10-ჭრინები

მესამე დარი უზრუნველყოფს თხევადი წილით წიდასიტალები ნაკეთობების, წიდის ბლოკების და სხვა პროცესის სამქროების მომარაგებას. მათი წარმოების საპროექტო რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია წიდასიტალისა და წიდის ბლოკების ტექნოლოგიური ხაზების გადაყვანა წიდის ღორღის წარმოების რეჟიმში. თუ თესის ტერიტორიაზე განლაგებული მეორეული პროცესის სამქროები უშუალოდ არ ემიჯნება მთავარ კორპუსს, შესაძლებელია მიქსერული ტიპის წიდასაზიდებით თხევადი წიდა მიეწოდოს ჩამოსხმის ესტაკადას, რომელიც მეორეული პროცესის სამქროების ფრონტის გასწვრივად განლაგებული აქვთ, თხევადი წიდა დახურული მიმღები დარის მეშვეობით ისხმება MC-1300 ტიპის სტაციონარულ მბრუნავ მიქსერში, სადაც ინახება საჭირო ტემპერატურის შენარჩუნებით.


თხევადი ლითონის გამოსაშვები სიფონ-სალექარს აქვს ორი დარი. ზედა დარი განკუთვნილია თხევადი ლითონის ჩასაღვრელად ჩამომსხმელ მანქანაში აირგენერატორული დანადგარის მუშაობის დროს, ხოლო ქვედა-თხევადი ლითონის ჩამოსაცლელად დანადგარის განერების შემთხვევაში. სიფონ-სალექარიდან ჩამომსხმელი მანქანის ბოჭვში თხევადი ლითონის ჩამოსხმის რეჟიმი ციკლურია (ჩამომსხმელი მანქანის ბოჭვში ლითონი ცივდება და ზოდების

სახით მიეწოდება მზა პროდუქციის საწყობში). ჩამომსხმელი მანქანის მწარმოებლურობა 5-15ტ/სთ ფარგლებში იცვლება, რაც დანადგარის საქმეს და რეჟიმში თხევადი ლითონის ჩამოსხმის სიჩქარისა და ზოდების გაცივების სიღრმის გარიერების საშუალებას იძლევა. უზრუნველყოფილია აგრეთვე წიდის ნადნობის აბაზანიდან თხევადი ლითონის სწრაფი ჩამოლვრა ავარიული რეჟიმის დროს.

კამერა-აირგენერატორის (თხევადი წიდის ანუ წიდის ნადნობის აბაზანის) სქემა მოცემულია მე-2 ნახაზზე.



ნახ.2. კამერა-აირგენერატორის სქემა: 1- წიდის ნადნობის აბაზანა; 2-სიფონ-სალექარი თხევადი ლითონისთვის; 3-სიფონ-სალექარი თხევადი წიდისთვის; 4-თხევადი წიდისა და თხევადი ლითონის გადასახდი; 5-თხევადი წიდისა და თხევადი ლითონის გადასახდი; 6-ნახშირის კირქვის ჩასატკირით მილტები; 7-გენერატორული აირის გამოსაშვლელი; 8-ძირითადი ქშინები; 9-დამატებითი ქშინები



ნახ.3. ეპლოგიურად სუფთა უნარჩენო კომბინირებული თესის გენერალური გეგმა: ა-საჭირო თესი; ბ-მეორეული პროცესის წარმოება. 1-მთავარი კორპუსი; 2-სასაქონლო გოგირდის მისაღები გაუგოგირდოვებს სისტემის შენობა; 3-და მანაწილებელი მოწყობილობა 110 და 220 კპ; 4-მყარი სათბობის საწყობი; 5-კირქვის საწყობი; 6-ზენგბადის სადგური; 7-საკომბარებორი; 8-წყლის ქიმიური გამტენდა; 9-ჩამდინარე წყლების საწმენდი მოწყობილობა; 10-ტექნიკური წყალმომარაგების სატუბო სადგური; 11-ტრანსფორმატორი; 12-მზა პროცესის საწყობი (წიდის ბლოკი); 13-წიდის ღორღის სამქრო; 14-წიდის ბლოკების სამქრო; 15,16,17-წიდასიტალის ნაკეთობათა სამქროები; 18-თხევადი წიდის ჩამოსასხმელი ესტაკადა

ეპლოგიურად სუფთა, უნარჩენო კომბინირებული თესის გენერალური გეგმა მყარი სათბობის შიგაციკლური გაზიფიკაციით მოცემულია მე-3 ნახაზზე, საიდანაც ჩანს, რომ ელექტორისადგური არის კომპლექსი, რომელიც შედგება

როგორც ენერგეტიკული ობიექტების ანუ საკუთრივ თესისაგან, ისე მეორეული პროდუქციის საწარმოებელი სამქროებისაგან.

ნახშირზე მომუშავე ტრადიციული ორთქლ-ტურბინული თესისაგან განსხვავდით, ენერგეტიკული ობიექტების ტექნოლოგიური სქემიდან ამოღებულია ნახშირის მტვრის დასამზადებელი და მტვრის მიმწოდებელი სისტემა, წვის აირადი ნაწარმის საწმენდი და მფრინავი ნაცრის დამჭერი დანადგარები, წილისა და ნაცრის მოსაცილებელი მოწყობილობები და მათი ნარჩენების დასაგროვებელი ფართობი. აღსანიშნავია, რომ წილისა და ნაცრის მოსაცილებელი ტრადიციული სისტემების ღირებულება თესის საერთო ღირებულების 12...17%-ია, ხოლო საექსპლუატაციო ხარჯები – საერთო სასადგურე დანაბარჯების 7...10%. სამაგიეროდ, თესის სქემას ემატება საჟანგბადე სადგური, სადაც გათვალისწინებულია თანამდევი სასაქონლო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა როგორც თხევადი ჟანგბადისა და აზოტის, ისე აირადი არგონის სახით. თესის ტექნოლოგიური სქემა ითვალისწინებს აგრეთვე სასაქონლო გოგირდის მისაღები გაუგორდობების სისტემის ჩართვასაც.

გაზიფიკაციის დროს მიღებული ლითონების რაოდენობა არ არის მასშტაბური. მაგრამ, რადგან მათი სარეალიზაციო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება დანახსარჯებს მათ წარმოებაზე, ამიტომ სხვაობა ფასსა და თვითონირებულებას შორის ყოველთვის იძლევა დამატებით მოგებას უნარჩენი კომბინირებული თესისათვის.

საქართველოში ადგილობრივი ნახშირების კომპლექსური გამოყენების ბაზაზე ეკოლოგიურად სუვთა თრთქლაირებული თბოელექტროსადგურის შექმნის ეკონომიკური დასაბუთებისათვის აუცილებელია წინასწარ ჩატარდეს წილის ნადნობში ტყიბული-შაორის ნახშირის გაზიფიკაციის დროს მიღებული მეორეული პროდუქციის წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის ანალიზი. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს სათბობის საწყისი ღირებულების შემცირების სიღიდე.

წილანაცრისაგან მიღებული მეორეული პროდუქციის მრავალრიცხვანი სახეობებიდან გამოვყოთ წილასიტადისაგან დამზადებული მოსაპირეობები ფილტბის წარმოება, როგორც საყოველთაოდ გარცევებული საშენი მასალების (გრანიტის, მარმარილოსა და ქვის სხმულისაგან დამზადებული გახეხილი ფილტბი, აგრეთვე თლილი გრანიტის და გაპრიალებული მარმარილოს ფილტბი და მევაგამძლე აგური) აღტერნატივა.

1-ლ ცხრილში მოცემულია წილის ნადნობში ანთრაციტის ღერღილის (AIII) გაზიფიკაციის დროს ერთი ტონა წილანაცრისაგან მიღებული მეორეული პროდუქციის რაოდენობა.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ანთრაციტის ღერღილის (AIII) გაზიფიკაციის დროს

ერთი ტონა წილანაცრიდან მიღებული 46,8 მ²-ში მიღასიტადის 10 მმ სისქის ფილა, რომლის 1 მ²-ის თვითონირებულება 0,7-0,8 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო სარეალიზაციო ფასი 7-7,5 აშშ დოლარს.

ცხრილი 1
ერთი ტონა წილანაცრისაგან მიღებული მეორეული პროდუქცია

მეორეული პროდუქციის ანთრაციტის გაზირებული ნაცრინობი	წილის ნაცრინი	წილის ნაცრინი	წილის ღორი	წილის ბლოკი	წილანაცრიტის ფილა (10 მმ)
ანთრაცრინობა	1 ტ	1 ტ	1,15 მ ³	0,82 მ ³	46,8 მ ²

ანალოგიური მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს წილის ნადნობში ტყიბული-შაორის საბადოს ნახშირის გაზიფიკაციონი მიღებული მეორეული პროდუქციის რაოდენობა და ღირებულება, მით უმეტეს, რომ მისი თბოტექნიკური მახასიათებლები ძალზე უახლოვდება ანთრაციტის ღერღილის (AIII) თბოტექნიკურ მახასიათებლებს [8].

წილის ნადნობში გაზიფიკაციის დროს ერთი ტონა ტყიბული-შაორის საბადოს ნახშირისაგან მიღებული 270 კგ წილანაცარი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ წილანაცრიტი გადადის მიღებული წილანაცრის მხოლოდ 50%, მიღება 270x0,5=135 კგ წილანიტადი. რადგან მისი სიმკვრივე $\rho=2136$ კგ/მ³, ამიტომ წილანიტადის ამ რაოდენობიდან შეიძლება დამზადდეს $135/(0,01*2136)==6,32$ კგ/მ³ 10 მმ სისქის წილანიტადის ფილა, რომლის 1 მ²-ის სარეალიზაციო ღირებულებას თუ 7-7,5 აშშ დოლარად ჩავთვლით, მივიღებთ 44-47 აშშ დოლარის ღირებულების მეორეულ პროდუქტს. თუ ამ უკანასკნელს გამოვაკლებთ 6,32 მ² წილანიტადის ფილის დამზადების ღირებულებას – 4-5 აშშ დოლარს, მაშინ ტყიბული-შაორის საბადოს თითოეულ ტონაზე მივიღებთ მოგებას – 40-42 აშშ დოლარს [8].

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მონაცემების თანახმად, ერთი კვ-მ მარმარილოს ან გრანიტის 40 მმ სისქის მოსაპირეობების ფილტბის ფასია 65-70 ლარი (46-50 აშშ დოლარი დღევანდველი კურსით). წილის ნადნობში გაზიფიკაციის დროს ერთი

ტონა ტყიბული-შაორის ქვანახშირისაგან მოიღება $135/(0,04*2136)=1,58$ კვ.მ იმავე სისქის წიდასტალის მოსაპირებელი ფილა. თუ მის სარეალიზაციო ფასად მარმარილოს ან გრანიტის ფილების ფასის ნახლებსაც კი (20 აშშ დოლარს) მივიჩნევთ, მივიღებთ $1,58 \times 20 = 31,6$ აშშ დოლარის ღირებულების მეორეულ პროდუქტს, რაც ტყიბული-შაორის ქვანახშირის სავარაუდო საწყისი ღირებულების (80 აშშ დოლარი) თოთქმის 40%-ს შეადგენს.

წიდასტალური ნაკეთობების გარდა, წიდის ნადნობში გაზიფიკაციის დროს ტყიბული-შაორის საბადოს ქვანახშირისაგან შეიძლება მივიღოთ სხვა სამშენებლო მასალაც (ცხრილი 2). მათი რეალიზაცია კიდევ უფრო გაზრდის ნახშირის ღირებულების წილს, რომელიც მეორეული პროდუქციის ღირებულებით დაიფარება (შედარებისათვის, ერთი კუბ.მ ბუნებრივი ქვის ღორლის ღირებულება საქართველოს ბაზარზე 3-7 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს).

ცხრილი 2
წიდის ნადნობში გაზიფიკაციის დროს ერთი
ტონა ტყიბული-შაორის საბადოს
ნახშირისაგან თეორიულად მისაღები
მეორეული პროდუქცია

შეირცხული პროდუქტი	წიდასტალის ფილი (10 გვ)	გრანულირებული წილი	წიდის ნახშირი	წიდის ღორლი	წიდის ბლოკი
გამოსავლიანობა	6,32 გ	250 კბ	270 კბ	0,31 გ³	0,22 გ³

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მრავალი მიზნობრივი დანიშნულების, ეკოლოგიურად სუვთა, უნარჩენო კომბინირებულ თესში ტყიბული-შაორის საბადოს ქვანახშირის გაზიფიკაციის დროს წიდასტალური ნაკეთობებისა და სამშენებლო მასალების წარმოების პარალელურად შესაძლებელია გაწარმოოთ სასაქონლო თხევადი ქანგბადი და აზოტი, აირადი არგონი, გოგირდი და სხვადასხვა ლითონები, რომელთა სარეალიზაციო (საბაზო) ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება დანახარჯებს მათ წარმოებაზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი რე-

ალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა შეიძლება უნარჩენო ენერგეტიკული კომპლექსის საერთო შემოსავლის რამდენიმე ათეული პროცენტი შეადგინოს [10].

3. დასტანა

მეორეული პროდუქციის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა უზრუნველყოფს საქართველოს ენერგეტიკის სექტორის რადიკალურ რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობას ნებისმიერი ხარისხის ნახშირით მრავალი მიზნობრივი გამოყენების საფუძველზე, ხოლო მეორეული პროდუქციის წარმოების ორგანიზაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ელექტროენერგიის გამომუშავების ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

ლიტერატურა

1. ყიფშიძე მ., ჯიშკარიანი თ. ნახშირების კომპლექსური გამოყენების პერსპექტივები// ენერგია, 2004, №1(29), გვ.3-7.
2. კობзარენკო ლ.Н. Экологическая и экономическая эффективность инвестиционных проектов энергоустановок многоцелевого назначения с газификацией угля в шлаковом расплаве// Теплоэнергетика, 2004, №2, с.58.
3. ყიფშიძე მ., ჯამარჯაშვილი ვ., ჯიშკარიანი თ., არაბიძე გ. საქართველოში ნახშირით მომუშავე ეკოლოგიურად სუვთა თბოელექტროსადგურის კონცეფცია// ენერგია, 2004, №3, გვ. 25-29.
4. ყიფშიძე მ., ჯამარჯაშვილი ვ., ჯიშკარიანი თ., არაბიძე გ. ნახშირების ენერგეტიკული მიზნით გამოყენების პერსპექტივები// ენერგია, 2004, №3, გვ. 25-29.
5. ლევченко Г.И., Балтян В.Н., Христич Л.М. Энергетический котел с утилизацией минеральной части твердого топлива// Теплоэнергетика, 1999, №11, с.9-11.
6. ყიფშიძე მ., ჯიშკარიანი თ. ნახშირების გაზიფიკაცია წიდის ნადნობში// ენერგია, 2004, №3, გვ.17-25.
7. hillips G. Gasification offers integration opportunities and refinery modernization // London: Fortes Wheeler Energy Ltd, Oct, 2001.
8. World Energy Outlook-2001 Insights: Assessing Today's Supplies to Fuel Tomorrow's Growth. OECD Organization for Economic Cooperation and Development Source // Energy. 2001. Vol.1. #11. P. 422.
9. ყიფშიძე მ., არველაძე რ., ჯიშკარიანი თ., არაბიძე გ. მყარი სათბობის წვის პროგრესული ტექნოლოგიები და ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. მონოგრაფია. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2007. - 230გვ.

UDC 621.1

TECHNOLOGY OF SECONDARY PRODUCT FABRICATION DURING GASIFICATION OF COAL IN SLAG ALLOY

T. Jishkariani, G. Arabidze, N. Bzhalava, G. Jishkariani

Department of heat and hydroenergetics, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is discussed utilization of mineral part of coals and complex usage of organic and mineral compounds of solid fuels. There is provided secondary product fabrication technology during gasification of coal in slag alloy.

As a result justification is given, that organization of secondary product fabrication in coal fired thermal power plants will significantly increase economic parameters of electricity generation, because receiving by-products from mineral components of coal without big energy and material costs and their consequent usage will provide the opportunity for creation of energy byproduct utilization complex.

Key words: slag alloy, coal gasification, secondary products, mineral part of coal, energy complex without wast.

УДК 621.1

ТЕХНОЛОГИЯ ПРОИЗВОДСТВА ВТОРИЧНОЙ ПРОДУКЦИИ ПРИ ГАЗИФИКАЦИИ УГЛЕЙ В ШЛАКОВОМ РАСПЛАВЕ

Джишкариани Т.С., Арабидзе Г.О., Бжалава Н.Н., Джишкариани Г.Т.

Департамент тепло- и гидроэнергетики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: Рассмотрены вопросы утилизации минеральной составляющей углей и комплексного использования органической и минеральной составляющих твердого топлива. Представлена технология производства вторичной продукции при газификации углей в шлаковом расплаве.

Показано, что производство вторичной продукции на угольных тепловых электростанциях может существенно улучшить экономические показатели получения электроэнергии, так как возможность производства попутной продукции из минеральных компонентов угля без существенных энергетических и материальных затрат и их дальнейшая реализация обеспечат практически безотходное производство.

Ключевые слова: шлаковый расплав; газификация углей; вторичная продукция; минеральная часть угля; безотходный энергетический комплекс.

შემოხვევის თარიღი 09.10.2008
დოკუმენტის დასაბუჭიფად 10.10.2008

საქართველოს გარემონტისა და კულტურული მემკვიდრეობის მინისტრი

უპ 681.3

მარშრუტიზაციის დეისტრას ალგორითმი და მისი გამოყენების შემდგომი კერსაექტივა ტელეკომუნიკაციურ ძელებში

ტ. ბურკაძე*, ა. ბურკაძე

ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,
თბილისი, კოსტავას 77

E-mail: tburka@rambler.ru

რეზიუმე: კომპიუტერული ქსელების ფუნქციონირების უმნიშვნელოვანების მახასიათებელია შეტყობინებათა გადაცემის ორგანიზება თავითმისა მარშრუტიზაციის მიზანის მისამალური მარშრუტიზაციით. თავითმისალური მარშრუტიზაციის ეფექტურობის განმსაზღვრელია, როგორც ტექნიკური, ასევე ფინანსური თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით, მოცემულ სტატიაში ედვინ დეიქსტრას (Edwin Dijkstra) ალგორითმი, ერთ-ერთი წარმატებული ალგორითმი ქსელში მარშრუტიზაციის ამოცანის გადაწყვეტის დროს, განსხილულია თანამედროვე ტელეკომუნიკაციური ქსელების მოთხოვნათა გათვალისწინებით მისი გამოყენების პერსპექტივის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: კომპიუტერული ქსელები; მარშრუტიზაცია; დეიქსტრას ალგორითმი; თავითმისალური მარშრუტიზაციის მიზანის მისი გამოყენების პერსპექტივის თვალსაზრისით.

1. შესავალი

ტელეკომუნიკაციური ქსელების და მისი ერთ-ერთი მიმართულების – კომპიუტერული ქსელების ფუნქციონირების უმნიშვნელოვანების მახასიათებელია შეტყობინებათა გადაცემის ორგანიზება თავითმისალური მარშრუტიზაციით, რომელიც განსაზღვრავს ქსელის ეფექტურობას როგორც ტექნიკური, ასევე ფინანსური თვალსაზრისით.

დიდი ხანია საზოგადოების წინაშე დგას მარშრუტიზაციის პრობლემები მეცნიერების, ტექნიკის და, ზოგადად, მრავალი საყოფაცხოვრებო პრობლემის გადაჭრის დროს. განსაკუთრებული მნიშვნელობა და დირექტულება მან სატრანსპორტო ამოცანების გადაწყვეტისას შეიძინა. ამასთან დაკავშირებით, სხვადასხვა დროს გრაფების თეორიაზე დაფუძნებული ალგორითმთა საქმაოდ დიდი რაოდგნობა შემუშავდა.

სატრანსპორტო ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებით ფართოდ არის ცნობილი დეიქსტრას (Dijkstra), ბელმან-ფორდისა (Bellman-Ford) და ფორდ-ფალკერსონის (Ford-Fulkerson) ალგორითმები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ტელეკომუნიკაციურ ქსელებში შეტყობინების გადაცემის თავითმისალური გზების დადგენის პრობლემების გადაჭრის დროს. ასეთი კავშირის დამყარება შეტად ბუნებრივად და თვალსაზინოდ

გამოიყერება: ერთი მხრივ, ტვირთის ოპტიმალური გზებით გადატანა როგორ სატრანსპორტო ქსელში და, მეორე მხრივ, შეტყობინების ოპტიმალური გზებით გადაცემა როგორ ტელეკომუნიკაციურ ქსელში.

სწორედ ამან განაპირობა დეიქსტრას, ბელმან-ფორდისა და ფორდ-ფალკერსონის სატრანსპორტო ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებით შემუშავებული ალგორითმების წარმატებული გამოყენება ტელეკომუნიკაციურ ქსელში. ჩვენ შევჩერდებით ედვინ დეიქსტრას (Edwin Dijkstra) ალგორითმზე და განვიხილავთ მას მარშრუტიზაციის როგორც სტატიკური, ასევე დინამიკური ამოცანების გადაწყვეტის დროს მისი შემდგომი პერსპექტივის თვალსაზრისით.

2. ძირითადი ნაწილი

დეიქსტრას ალგორითმი მოკლედ შეიძლება ასე განვმარტოთ: გრაფთა თეორიაზე დაფუძნებული დეიქსტრას ალგორითმი პოულობს გრაფის ნებისმიერი წვეროდან უმოკლეს მანძილს ყველა სხვა წვეროდან ანუ აღგენს გრაფის ორი ნებისმიერი წვეროს დამაკავშირებელ წიბოთა ჯგუფს, რომელთა საერთო სიგრძეც მინიმალურია ამ წვეროებისათვის მოცემულ გრაფზე.

ამ ამოცანის გადაწყვეტა მიმდინარეობს თანამიმღერობით, ნაბიჯ-ნაბიჯ გრაფის წვეროების მოვლით.

ტელეკომუნიკაციის ამოცანების გადაწყვეტის პირობებში ამ პროცესის პირველ საფეხურზე დაინდება მანძილები საწყისი წვეროდან მეზობელ წვეროებამდე. შემდგომ, წვეროების მოვლის დროს ხდება მათი მონიშვნა მანძილის მიხედვით ძებნის საწყისი წვეროს მიმართ. ძებნის ყველა საფეხურზე დგინდება წვერო, რომელიც ამ საფეხურისათვის უმოკლესი მანძილითაა დაშორებული საწყისი წვეროდან. შემდეგ დგინდება უკვე ამ წვეროს მეზობელი წვეროები და ა. შ. ძებნის ყველა საფეხურზე წარმოქმნას განსახილველი წვეროს არსებული მონიშვნების ერთმანეთთან შედარება, ე. მანძილის მაჩვენებელი, თუ ის მას გააჩნია, და ძებნის ამ საფეხურზე მიღებული მანძილის მაჩვენებელი. თუ წვეროს არსებული მონიშვნა უფრო მცირეა, ვიდრე ახალი შედეგი, მაშინ რჩება არსებული მონიშვნა; თუკი წვეროს არსებული მონიშვნა უფრო მეტია, ვიდრე ახალი შედეგი, მაშინ წვეროს ეცვლება არსებული მონიშვნა და ხელახლა მოი-

ნიშნება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ნაპოვნია საწყისი წვეროდან მოცემულ წვერომდე უმოკლესი მანძილი.

ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ ძებნის საფეხურებით მოვლილი არ იქნება გრაფის ყველა წვერო ანუ არ დადგინდება მინიმალური მანძილები საწყისი წვეროდან ყველა სხვა წვერომდე, არ განისაზღვრება უმოკლესი, ოპტიმალური გზები.

აქ საზო უნდა გაესვას ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: ოპტიმალური გზა მრავალი მაჩვენებლის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს. ასეთი მაჩვენებელი შეიძლება იყოს უშუალოდ ფიზიკური მანძილი, სატრანზიტო კვანძთა რიცხვი, შეტყობინების გადაგზავნის დრო, გადაგზავნის ტარიფი და სხვ. თოთოვეული ეს მაჩვენებელი და მათი კომბინაცია შეიძლება ოპტიმიზაციის კრიტერიუმი იყოს.

დეიქსტრას ალგორითმის გამოყენება ტელეკომუნიკაციის ამოცანების გადასაწყვეტად

ტელეკომუნიკაციური ქსელი შეიძლება წარმოვადგინოთ აწონილ, არაორიენტირებულ გრაფად, შემდეგი სახით: $T(R, Ch)$, სადაც T გრაფია; R - T გრაფის წვეროთა სიმრავლე; Ch - T გრაფის წიბოთა სიმრავლე.

ამ შემთხვევაში T გრაფი შეესაბამება ტელეკომუნიკაციური ქსელის ტოპოლოგიას (Topos); R წვეროები - ტელეკომუნიკაციური ქსელის მარშრუტიატორებს (Router); Ch წიბოები - ტელეკომუნიკაციური ქსელის ხაზებსა და არხებს (Channel).

T გრაფისთვის მივიღოთ შემდეგი აღნიშვნები:

RK - T გრაფის წვეროებია, $K=1,2,3..K_{\max}$;

$I[ij]$ - ij წიბოს წონა (მაგალითად, სიგრძე);

r_0 - წვერო, რომლისგანაც დაშორების ოპტიმალური მანძილები იძებნება;

N - მოვლილ წვეროთა ერთობლიობა, $R1, R2, R3...RN$;

$M[RK]$ - უმოკლესი მანძილი r_0 წვეროდან RK წვერომდე მოცემულ საფეხურზე;

$L[RK]$ - დადგენილი უმოკლესი მანძილი r_0 წვეროდან RK წვერომდე ალგორითმის მუშაობის დასრულების შემდეგ;

$S[RK]$ - დადგენილი უმოკლესი მანძილის შესაბამისი მარშრუტი r_0 წვეროდან RK წვერომდე.

გრაფისათვის T უნდა გადაწყვდეს R წვეროების დაკავშირების უმოკლესი გზების მოძებნის ამოცანა არსებული Ch წიბოების პირობებში.

მივაძულოთ საწყის წვეროს RK -ს ნიშანი r_0 და მოვნიშვნოთ, როგორც „0“.

$$RK[r_0] \leftarrow 0.$$

ყველა სხვა წვერო RK , რომელიც ეკუთვნის R სიმრავლეს და განსხვავდება $RK[r_0]$, მოვნიშვნოთ როგორც „X“.

$$RK \in R; RK[r_k] \leftarrow X.$$

ძებნის პროცესში X მონიშვნა იცვლება ქონიშებული M მონიშვნით და წვერო ითვლება მოვლილად ანუ

$$RK[r_k] \in N \text{ და } RK[r_k] \leftarrow M.$$

ძებნის პროცესში, თუ $M[RK]_1 < M[RK]_2$ - მონიშვნა იცვლება, თუ $M[RK]_1 > M[RK]_2$, რჩება არსებული მონიშვნა ანუ $M_1 \Rightarrow M_2$ ან რჩება M_1 .

აქ $M[RK]_1$ პირობითად წინა მონიშვნაა, ხოლო $M[RK]_2$ - მიმდინარე.

დაუკავშათ, $RK \notin R$ და აქეს $M[RK]_{\min}$, მას ემატება $|ij| - ij$ წიბოს წონა.


$$M[RK]_2 = M[RK]_{\min} + |ij|,$$

მიღებული შედეგის მიხედვით მოქმედება ხორციელდება შემდეგი პრინციპის თანახმად: $M[RK]_1 < M[RK]_2$ მონიშვნა იცვლება, $M[RK]_1 > M[RK]_2$ არსებული რჩება.

ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ ყველა $N \in R$ და არ დადგინდება $L[RK]$ ანუ უმოკლესი მანძილი r_0 წვეროდან ნებისმიერ RK წვერომდე. რის მიხედვიდაც დადგინდება უმოკლესი მანძილის შესაბამისი მარშრუტი r_0 წვეროდან ნებისმიერ RK წვერომდე $S[RK]$.

კონკრეტულ მაგალითზე ვუწევნოთ დეიქსტრას ალგორითმის რეალიზება.

ამ მიზნით ავიღოთ ქსელის ფრაგმენტი გამარტივებული სახით (ნახ. 1).



ნახ. 1. ქსელის ფრაგმენტი $T(9,19)$ გრაფის სახით საწყისი მდგრადი გრაფი

ფრაგმენტზე მოცემულია ქსელი K -შეერთების ტოპოლოგიით. საკომუნიკაციო ცენტრები ნახაზზე წარმოდგენილია მარშრუტიატორების (R) სახ-


კონკრეტული მდგრადი გრაფი

ით, როგორც ძირითადი კომპონენტები ოპტიმალური გზების დადგენის პროცესში.

ქსელის ეს ფრაგმენტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც გრაფი $T(9,19)$, ე.ი. გრაფი 9 წვეროთი და 19 წიბოთი, რომელთა სიგრძეებიც (კმ) იქვეა მოცემული.

უმოკლესი, ოპტიმალური გზების ძებნის საწყის მდგომარეობაში წვერო $R3$ მონიშნულია, როგორც „0“, ხოლო ყველა სხვა წვერო, როგორც „X“. აქედან გამომდინარე, $R3$ წვეროს მიმართ უნდა დადგინდეს უმოკლესი გზები.

ქსელის ამ ფრაგმენტის მიმართ დეიქსტრას ალგორითმის რეალიზებით მიღებული შედეგები (ძებნის საფეხურების ჩვენების გარეშე) წარმოდგენილია მე-2 ნახაზზე და მოცემულია ცხრილში.



ნახ. 2. ქსელის ფრაგმენტი $T(9,19)$ გრაფის სახით

მდგომარეობა ძებნის დასრულების შემდეგ

დანიშნულების მარშრუტიზა- ბორი	უმოკლესი გზის მარშრუტი	მანძილი (კმ)
$R1$	უშავალოდ $R3 - R1$	38
$R2$	უშავალოდ $R3 - R2$	49
$R4$	უშავალოდ $R3 - R4$	26
$R5$	უშავალოდ $R3 - R5$	46
$R6$	$R3 - R4 - R6$	64
$R7$	$R3 - R4 - R6 - R7$	101
$R8$	$R3 - R5 - R8$	91
$R9$	$R3 - R5 - R9$	125

დეიქსტრას ალგორითმის გამოყენების პერსპექტივა

დეიქსტრას ალგორითმმა ფართო გამოყენება პოვა ტელეკომუნიკაციურ ქსელებში, ძირითადად როგორც სტატიკური ალგორითმის ერთ-ერთმა სახემ. შემდგომ მიჩნეულ იქნა, რომ თანამედროვე ქსელებში მიზანშეწონილია უფრო მეტად დონამიკური ალგორითმების მეთოდებით გადაწყდეს მარშრუტიზაციის პრობლემები.

ერთი მხრივ, საკითხის ასეთი დასმა სრულიად ბუნებრივად მიიჩნეოდა ქსელების მზარდი სირთულეებისა და მის ფუნქციონირებაში მონაწილე მრავალრიცხვანი მოწყობილობა-დანადგარების პირობებში. მაშინ, როდესაც ქსელში ხშირი შევერხებებისა და დაზიანებების შესაძლებლობა ასევე ბუნებრივად არსებობდა. ქსაბამისად, სტატიკურ ტოპოლოგიაზე დაფუძნებული ალგორითმებით სარგებლობა ნაკლებპერსპექტიულად გამოიყერებოდა.

მეორე მხრივ, ტელეკომუნიკაციურ ხაზებზე ტრაფიკის მდგომარეობის მაჩვენებლების გაუთვალისწინებლობა თითქოსდა ყოვლად მიუღებელ დაბრკოლებად იქცა სტატიკური ალგორითმების გამოყენებისას.

თანამედროვე ქსელებში ფუნქციონირებადი მოწყობილობა-დანადგარების მტკუნებისადმი მდგრადობა მეტად მაღალია და მტკუნებათშორისი დრო ათეულათასი საათია ანუ მრავალი წელიწადია.

დამუშავებულ ინფორმაციაში შეცდომების ალბათობა, ძირითადად ერთეულ ნიშანზე, არ აღემატება $10^{-7} - 10^{-8}$, ხოლო ზოგიერთ სისტემაში კიდევ უფრო მაღალია და $10^{-9} - 10^{-10}$ -ია. ATM ქსელებში, მაგალითად, შეტყობინებათა პაკეტების დაკარგვის ალბათობა $10^{-11} - 10^{-12}$ სილიდით განისაზღვრება. ტელეკომუნიკაციის თანამგზავრულ ფრაგმენტებში სიგნალების გავლის დროს შეცდომების ალბათობა $10^{-10} - 10^{-11}$ შეადებენს.

რაც შეეხება ტრაფიკების მდგომარეობას ხაზებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემების გამოყენების პირობებში, თანამედროვე ეტაპზე ნაკლებად პრობლემატურია. ამის მაგალითია კომპიუტერული ქსელების ტექნოლოგია SONET/SDH, რომელშიც სკექტრის და, ქსაბამისად, ტრაფიკის პრობლემა პრაქტიკულად არ არსებობს. შეტყობინებათა პაკეტებში შეიტანება დიდი რაოდენობით სიჭარბე, რაც, საბოლოო ჯამში, ქსელის მტკუნებამდგრადობას ზრდის. თუ ამას დავუმატებთ სარეზოულო მოწყობილობებისა და არხების არსებობას, მტკუნებამდგრადობის სურათი კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდება.

ასეთ პირობებში სტატიკური ალგორითმების, მათ შორის, დეიქსტრას ალგორითმის, როგორც მარშრუტიზაციის წარმატებული ალგორითმის, გამოყენება ტელეკომუნიკაციურ ქსელებში სრულიად ბუნებრივ პერსპექტივად გვეხსება.

ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დეიქსტრას ალგორითმის გამოყენება ასევე მისაღებია, როგორც დინამიკური ალგორითმის შემადგენელი ნაწილისა.

მარშრუტიზაციის პროცედურების გადაჭრა დონამიკური ალგორითმების მეთოდებით ყოველთვის დაკავშირებულია პერიოდულად, მოცემულ კონკრეტულ მომენტში არსებულ ტოპოლოგიურ სურათთან. ამ პერიოდებში კი ოპტიმალური გზის დადგენა, ასევე, დეიქსტრას ალგორითმითაა შესაძლებელი.

3. დასკვნა

ედვინ დეიქსტრას ალგორითმის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული რეალიზების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი არჩევა თანამედროვე ტელეკომუნიკაციურ ქსელებში ოპტიმალური მარშრუტების დადგენის როგორც სტატიკურ, ასევე დინამიკურ პროცესებში სრულიად მისაღებია შედეგების სიზუსტისა და თვალსახის.

ნოების, ხოლო თვითონ ალგორითმის არცოული დიდი სირთულის გამო.

ლიტერატურა

1. Берж К. Теория графов и ее применение. Москва: ИЛ, 1962.-320 с.
2. Компьютерные сети. Microsoft Corporation. Пер. с англ. –М.: Издательский отдел "Русская Редакция", 2004 г.- 712 с.
3. Таненбаум Э. Компьютерные сети. Санкт-Петербург: Питер, 2005- 992 с.
4. Левитин А. В. Алгоритмы: введение в разработку и анализ. Москва: Вильямс, 2006.- 195 с.
5. ქართველი შვილი მ., ქართველი შვილი ო. მარშრუტიზაციის ალგორითმები კომპიუტერულ ქსელებში. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005.- 55 გვ.

UDC 681.3

ALGORITHM OF ROUTING DIJKSTRA AND PROSPECT OF ITS USE IN TELECOMMUNICATION NETWORKS

T. Burkadze, A. Burkadze

Department of telecommunication, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: The most important feature of functioning of computer networks is the organization of data transmission by optimum routes.

The optimum route is important for efficiency of a network, both with technical, and from the financial point of view.

With this purpose in this article is given algorithm Edvin Dijkstra, which is one of successful at the decision of a problem of routing of a network, from the point of view of prospect of its application in modern telecommunication networks.

Key words: computer networks; routing; algorithm Edvina Dijkstra; an optimum route.

УДК 681.3

АЛГОРИТМ МАРШРУТИЗАЦИИ ДЕЙКСТРА И ПЕРСПЕКТИВА ЕГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ В ТЕЛЕКОММУНИКАЦИОННЫХ СЕТЯХ

Буркадзе Т.О., Буркадзе А. М.

Департамент телекоммуникации, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: В функционировании компьютерных сетей наиважнейшей характеристикой является организация оптимальных маршрутов передачи сообщений.

Оптимальный маршрут имеет решающее значение эффективности сети как с технической точки зрения, так и экономической.

В связи с этим, в данной статье алгоритм Эдвина Дейкстра (Edwin Dijkstra), который является одним из успешных при решении задач маршрутизации сети, рассматривается с точки зрения перспективы его применения для потребностей современных телекоммуникационных сетей.

Ключевые слова: компьютерные сети; маршрутизация; алгоритм Эдвина Дейкстра; оптимальный маршрут.

გეგმვის თარიღი 04.06.2008
მიღებულია დასაბუჭიდავ 10.10.2008



შაპ 621. 372. 8

მრთელი შეცდომების კორექტირება ელექტრონულ-ფორმულ პრიდებში

დ. ნანობაშვილი, ვ. ნანობაშვილი

ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,
თბილისი, კოსტავას 77


E-mail: Support@gtc.ge

რეზიუმე: განხილულია ელექტრონულ-ფორმულური კოდების – EP-1 და EP-2 – ერთეული შეცდომების კორექტირების შესაძლებლობები. ორივე კოდისთვის შემოთავაზებულია შეცდომების კორექტირების ალბათობის გამოსათვლელი ფორმულები, რომელთა საშუალებითაც ნაპოვნია ეს ალბათობები საწყის სიგნალში სიმბოლოების გამოჩენის სხვადასხვა ალბათობების დროს. ნაწვენებია, რომ შეცდომის კორექტირების თვალსაზრისით უპირატესობა უნდა მიენიჭოს EP-1 კოდს, ადგვენილ სიგნალში ორმაგი შეცდომების რაოდენობის მინიმუმების თვალსაზრისით კი – EP-2-ს.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონულ-ფორმულური კოდი; შეცდომა; კორექტირება; ალბათობა.

1. შესავალი

ელექტრონულ-ფორმულური კოდები – EP-1 და EP-2 – მიეკუთვნება 1B2B კლასის ალფაბეტურბალანსურ კოდებს [1,2,3], რომლებიც ფართოდ გამოიყენება ტელეკომუნიკაციის ბოჭკოვანობიტურ სისტემებში სახაზო სიგნალების სახით. ელექტრონულ-ფორმულური კოდების ფორმირების პრინციპები მოყვანილია 1-ლ ნახაზზე [2].



ნახ.1. ელექტრონულ-ფორმულური კოდების ფორმირების პრინციპები

1. ა ნახაზზე ნაჩვენებია საწყისი - იგმ სიგნალის ფრაგმენტი, რომლიდანაც მიიღება სახაზო სიგნალები, ხოლო 1, ბ და გ ნახაზებზე – შესაბამისად, EP-1 და EP-2 კოდების ფორმირების პრინციპები. EP-1 კოდის მისაღებად საწყისი

სიგნალის „1“ სიმბოლო მორიგეობით კოდირდება 11 და 00 ბლოკებით, „0“ სიმბოლო კი – 01 და 10 ბლოკებით, მაგრამ ისე, რომ ბლოკის პირველი სიმბოლო არ განსხვავდება წინა ბლოკის ბოლო სიმბოლოსგან. EP-2 კოდის შემთხვევაში „1“-ის კოდირება იგვე პრინციპით ხდება, ხოლო „0“-ის – მორიგეობით 10 და 01 კომბინაციებით.

2. ძირითადი ნაწილი

დღეისათვის აღნიშნულ კოდებში შეცდომების აღმოჩენა წარმოებს 1-ის ტოლი ალბათობით მათში 11 და 00 კომბინაციების მონაცემეობის კანონზომიერების დარღვევის დაფიქსირების გზით, თუმცა ასეთი კრიტერიუმის გამოყენებისას შეუძლებელია დაზიანებული სატაქტო ინტერვალის ზუსტი დადგენა (შეცდომის ლოკალიზება), რაც შეცდომების კორექტირების შესაძლებლობას არ იძლევა. ვაწვენოთ, რომ, თუ შეცდომების გამოსავლენად გამოვიყენებთ აკრალული კომბინაციების აღმოჩენაზე დამყარებულ მეთოდს, მაშინ რაღაც ალბათობით შესაძლებელია მათი ლოკალიზებაც და, შესაბამისად – შემდგომი კორექტირებაც.

როგორც ცნობილია [4,5,6], აკრალული კომბინაციების აღმოჩენაზე დამყარებული მეთოდი ეფექტურად გამოიყენება სიჭარბის შემცველი კოდებისთვის, რომლებისთვისაც დასაშვებ კომბინაციებთან ერთად არსებობს აკრალულიც. ერთი შეხედვით, ელექტრონულ-ფორმულური კოდებისთვის ამ მეთოდის გამოყენება შეუძლებელია, რადგან მათი სატაქტო ინტერვალების ფარგლებში ყველა კომბინაცია დასაშვებია, მაგრამ ორი მეტობელი სატაქტო ინტერვალის ანალიზი აჩვენებს, რომ აქ 16 შესაძლო კომბინაციიდან ნაწილი (EP-1-სთვის – 6, EP-2-სთვის – 4) აკრალულია (ცხრილი 1). ამგვარად, ამ კოდებისთვის მიმღებ მხარეზე აკრალული კომბინაციების აღმოსაჩენად საჭიროა არა ერთი, არამედ ორი მეტობელი სატაქტო ინტერვალის ანალიზი და, შესაბამისად, შეცდომის ლოკალიზება 4-თანრიგა ბლოკების საზღვრებში ხდება.

ცხრილი 1

EP-1		EP-2	
ინტერვალი 2T		ინტერვალი 2T	
დასაშვები კომბინაციები	აკრძალული კომბინაციები	დასაშვები კომბინაციები	აკრძალული კომბინაციები
1100 1110 0011 0001	1111 0000	1100 1101 1110 0011	1111 0000
1000 1011 0111 0100	1101 0010	0001 0010 1000 1011	1010 0101
0110 1001	1010 0101	1001 0111 0100 0110	

ცხრილი 2

EP-1		EP-2	
ინტერვალი 2T		ინტერვალი 2T	
აკრძალული კომბინაციები	შესაბამისი დასაშვები კომბინაციები	აკრძალული კომბინაციები	შესაბამისი დასაშვები კომბინაციები
1111	1110 1011 0111	1111	1101 1110 1011 0111
0000	0001 1000 0100	0000	0001 0010 1000 0100
1101	1100 1001		
0010	0011 0110	1010	1110 0010 1000 1011
1010	1110 1000 1011	0101	1101 0001 0111 0100
0101	0001 0111 0100		

აკრძალული კომბინაცია წარმოიქმნება ერთეული შეცდომის ზემოქმედებით კონკრეტულ დასაშვებ კომბინაციებზე (ცხრილი 2). ასე, მაგალითად, EP-1-კოდში.

აკრძალული კომბინაცია 1101 წარმოიქმნება ორ შემთხვევაში:

ა) შეცდომა მოხდა დასაშვები 1100 კომბინაციის მეოთხე თანრიგში;

ბ) შეცდომა მოხდა დასაშვები 1001 კომბინაციის მეორე თანრიგში.

აღვნიშნოთ 1100 და 1001 კომბინაციების გამოჩენის ალბათობები შესაბამისად $P_{1100}(\text{EP-1})$ და $P_{1001}(\text{EP-1})$ (ქვემოთ დანარჩენი კომბინაციების გამოჩენის ალბათობები აღინიშნება ანალოგიურად). მაშინ ჩავწერთ:

$$P_{1100}(\text{EP-1}) = 0,5P_1^2; \quad P_{1001}(\text{EP-1}) = 0,5P_0^2,$$

სადაც P_1 და P_0 , შესაბამისად, საწყის სიგნალში სიმბოლო „1“-ის და სიმბოლო „0“-ის გამოჩენის ალბათობებია.

იმის ალბათობა, რომ შეცდომა მოხდება ერთი მოცემული კომბინაციის რომელიმე კონკრეტულ თანრიგში, იქნება 4-ჯერ ნაკლები, ე.ი. შესაბამისად $0,125P_1^2$ და $0,125P_0^2$. აქედან გამომდინარე, 1101 აკრძალული კომბინაციის გამოჩენის ალბათობა ტოლი იქნება

$$P_{1101}(\text{EP-1}) = 0,125(P_1^2 + P_0^2).$$

კოდირების თეორიაში მიღებულია [6], რომ შეცდომების გასწორების დროს პრიორიტეტი ენიჭება საწყისი მიმდევრობის იმ სიმბოლოს, რომლის გამოჩენის ალბათობა P_0 უდიდესია P_0 და P_1 ალბათობებს შორის. ასეთ პირობებში, თუ 1101 აკრძალული კომბინაციის არსებობისას $P_1 > P_0$, მაშინ უფრო სავარაუდოა, რომ ჭეშმარიტი დასაშვები კომბინაციაა 1100, $P_0 > P_1$ დროს

კი - კომბინაცია 1001. ორივე შემთხვევაში ჭეშმარიტი დასაშვები კომბინაციის აღდგენის $P_{\text{EP-1}}(1101)$ ალბათობისთვის გამოქვება

$$P_{\text{EP-1}}(1101) = 0,125 P_{\text{ფ}} (P_1^2 + P_0^2).$$

0010 აკრძალული კომბინაციის გამოჩენა აგრეთვე შესაძლებელია ორი დასაშვები კომბინაციის დაზიანებისას, ამიტომ ამ კომბინაციის კორექტირების შედეგად ჭეშმარიტი კომბინაციის აღდგენის ალბათობა აგრეთვე ზემოთ მოღებული სიდიდის ტოლი იქნება. ამგვარად, 1101 და 0010 აკრძალული კომბინაციებიდან ჭეშმარიტი დასაშვები კომბინაციის და, მაშასადამევ, საწყისი ორთანრიგა ბლოკის სწორად აღდგენის ჯამური ალბათობა

$$P_{\text{EP-1}}(1101, 0010) = 0,25 P_{\text{ფ}} (P_1^2 + P_0^2). \quad (1)$$

მე-2 ცხრილში მოვანილი დანარჩენი აკრძალული კომბინაციები წარმოიქმნება სამ-სამი დასაშვები კომბინაციიდან, რომელთაგან ერთი შეესაბამება საწყისი სიგნალის 10 ბლოკს, ორი კი – 01 - ს. განვსაზღვროთ 1111 აკრძალული კომბინაციის გამოჩენის ალბათობა.

ამ კომბინაციის წარმოქმნა ხდება შემდეგ პირობებში:

ა) შეცდომა მოხდა დასაშვები 1110 კომბინაციის (საწყისი სიგნალის შესაბამისი ბლოკი - 10) მეოთხე თანრიგში;

ბ) შეცდომა მოხდა დასაშვები 1011 კომბინაციის (საწყისი სიგნალის შესაბამისი ბლოკი - 01) მეორე თანრიგში;

გ) შეცდომა მოხდა დასაშვები 0111 კომბინაციის (საწყისი სიგნალის შესაბამისი ბლოკი - 01) პირველ თანრიგში.

აღნიშნული დასაშვები კომბინაციების გამოჩენის ალბათობები

$$P_{1110}(\text{EP-1}) = 0,5 P_1 P_0;$$

$$P_{1011}(\text{EP-1}) = P_{0111}(\text{EP-1}) = 0,25 P_1 P_0.$$

იმის ალბათობა, რომ შეცდომა მოხდება ერთი მოცემული კომბინაციის რომელიმე კონკრეტულ თანრიგში, იქნება 4-ჯერ ნაკლები, ე.ი. შესაბამისად $0,125 P_1 P_0$ და $0,0625 P_1 P_0^2$. ამგვარად, საწყისი სიგნალის როგორც 10, ისე 01 ბლოკის დაზიანების შედეგად 1111 აკრძალული კომბინაციის გამოჩენის ალბათობა $0,125 P_1 P_0$ -ის ტოლია, ხოლო მისი წარმოქმნის ჯამური ალბათობა $0,25 P_1 P_0$ -ის.

ჭეშმარიტი დასაშვები კომბინაციის აღდგენის დროს ალტერნატიულ ვარიანტებს წარმოადგენს, ერთი მხრივ, კომბინაცია 1110, მეორის მხრივ კი – 1011 და 0111 კომბინაციებიდან ერთ-ერთი. მართლაც, თუ, მაგალითად, ბოლო ორი კომბინაციიდან ჭეშმარიტია 1011, მაშინ შეცდომა დაშვებული იქნება მხოლოდ სახაზო კოდის

თვალსაზრისით, საბოლოო ჯამში კი საწყისი სიგნალის ორთანრიგა ბლოკი სწორად იქნება აღდგენილი, რადგან თრივე აღნიშნული კომბინაცია შეესაბამება საწყისი სიგნალის 01 ბლოკს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საწყისი ორთანრიგა ბლოკის სწორად აღდგენის ალბათობა 1111 აკრძალული კომბინაციის გამოჩენის ალბათობის ნაცვლის ტოლი იქნება

$$P_{\text{EP-1}}(1111) = 0,125 P_1 P_0.$$

ანალოგიური მსჯელობით შეიძლება ვაჩვენოთ, რომ მიღებული შედეგები მართებულია 0000, 1010 და 0101 აკრძალული კომბინაციებისთვისაც. მაშინ 1111, 0000, 1010 და 0101 აკრძალული კომბინაციებიდან საწყისი სიგნალის ჭეშმარიტი ტოლი ალბათობის გვექნება

$$P_{\text{EP-1}}(1111, 0000, 1010, 0101) = 0,5 P_1 P_0. \quad (2)$$

(1) და (2) გამოსახულებების გათვალისწინებით ჭეშმარიტი ორთანრიგა ბლოკის აღდგენის სრული ალბათობა ასე ჩაიწერება:

$$P_{\text{EP-1}} = 0,25 [P_{\text{ფ}} (P_1^2 + P_0^2) + 2P_1 P_0]. \quad (3)$$

EP-1 კოდის არასწორი კორექტირების შემთხვევაში ადგილი აქვთ შეცდომების გაორმაგებას საწყის სიგნალში, სახაზო სიგნალთან შედარებით, რადგან ყოველი აკრძალული კომბინაცია წარმოიქმნება ორი ისეთი დასაშვები კომბინაციის დაზიანებით, რომელთა შორის კოდური მანძილი $d=2$. ორმაგი შეცდომების გამოჩენის ალბათობა გამოისახება ფორმულით

$$P_{\text{ო. ჭ. EP-1}} = 0,25 [(1 - P_{\text{ფ}})(P_1^2 + P_0^2) + 2P_1 P_0]. \quad (4)$$

უნდა აღინიშნოს, რომ (3) და (4) გამოსახულებები მართებულია $0 < P_1 < 1$ დროს, რადგან $P_1 = 0$ და $P_1 = 1$ შემთხვევებში EP-1-კოდი გარდაიქმნება $1/T$ სიხშირის მეანდრად, რომლისთვისაც ნებისმიერი შეცდომის კორექტირების ალბათობა 1-ის ტოლია.

ჩავატაროთ ანალოგიური ანალიზი EP-2 კოდისათვის. როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, 0011, 1100, 0110 და 1001 დასაშვები კომბინაციებიდან აკრძალული კომბინაციის წარმოქმნა შეუძლებელია. დანარჩენი დასაშვები კომბინაციებიდან თოთოველის გამოჩენის ალბათობა $0,25 P_1 P_0$ -ის ტოლია, ამიტომ ნებისმიერი აკრძალული კომბინაციის გამოჩენა ხდება ალბათობით

$$\begin{aligned} P_{0000}(\text{EP-2}) &= P_{1111}(\text{EP-2}) = \\ &= P_{1010}(\text{EP-2}) = P_{0101}(\text{EP-2}) = 4 \times 0,0625 P_1 P_0 = 0,25 P_1 P_0. \end{aligned}$$

მაშინ ჭეშმარიტი საწყისი ორთანრიგა კომბინაციის დადგენის ალბათობა იქნება

$$P_{\text{EP-2}}(1111) = P_{\text{EP-2}}(0000) =$$


$$= P_{\frac{1}{2}EP-2}(1010) = P_{\frac{1}{2}EP-2}(0101) = 0,125P_1P_0,$$

ხოლო ერთეული შეცდომის კორექტირების ჯამური ალბათობა -

$$\begin{aligned} P_{\frac{1}{2}EP-2} &= P_{\frac{1}{2}EP-2}(1111) + P_{\frac{1}{2}EP-2}(0000) + \\ &+ P_{\frac{1}{2}EP-2}(1010) + P_{\frac{1}{2}EP-2}(0101) = 0,5P_1P_0. \end{aligned} \quad (5)$$

ცხადია, რომ იმავე ფორმულით გამოისახება ორმაგი შეცდომების განხინის $P_{\text{თ.შ. EP-2}}$ ალბათობაც.

(5) გამოსახულება მართებულია მხოლოდ $0 < P_1 < 1$ დროს. $P_1 = 0$ და $P_1 = 1$ შემთხვევებში ნებისმიერი შეცდომის კორექტირების ალბათობა 1-ის ტოლია Ep-1 კოდისათვის ზემოთ ხსნებული მოწევების გამო.



ნახ.2. $P_{\frac{1}{2}} = f(P_1)$ და $P_{\text{თ.შ.}} = f(P_1)$ დამოკიდებულების გრაფიკები

(3), (4) და (5) ფორმულებით გამოთვლილი $P_{\frac{1}{2}}$ და $P_{\text{თ.შ.}}$ სიდიდეების P_1 -გან დამოკიდებულების გრაფიკები მოვანილია მე-2 ნახაზზე. ნახაზიდან ჩანს, რომ ერთეული შეცდომების კორექტირების ალბათობა EP-1 კოდში მინიმალურია $P_1=0,5$ დროს და სიმეტრიულად იზრდება P_1 -ის ზრდასთან ან შემცირებასთან ერთად. EP-2 კოდში, პირიქით, აღნიშნული ალბათობა მაქსიმალურ სიდიდეს აღწევს $P_1=0,5$ დროს (თუმცა P_1 -ის ამ მნიშვნელობისათვის $P_{\frac{1}{2}EP-2}$ მაინც ნა-

კლებია $P_{\frac{1}{2}EP-1}$ -ზე) და სიმეტრიულად მცირდება P_1 -ის ზრდასთან ან შემცირებასთან ერთად.

3. დასკვნა

ერთეული შეცდომების კორექტირების თვალსაზრისით უპირატესობა უნდა მიენიჭოს EP-1 კოდს, უფრო ნაკლები რაოდენობის ორმაგი შეცდომების წარმოქმნის თვალსაზრისით კი - EP-2-ს. შესაბამისად, სახაზო სიგნალის სახით ელექტრონულ-ფოტონური კოდების გამოყენების შემთხვევაში კოდის ტიპი უნდა შეირჩეს იმის გათვალისწინებით, თუ რომელი მახასიათებელია უფრო პრიორიტეტული - შეცდომების კორექტირების უკეთესი შესაძლებლობა, თუ ადგენერირებულ საწყის სიგნალში ორმაგი შეცდომების წარმოქმნის მცირე ალბათობა.

ლიტერატურა

1. Козанне А., Флере Ж., Мэтр Г., Руссо М. Оптика и связь. Пер. с французского. – М.: Мир, 1984. – 502с.
2. Щелкунов К.Р., Широков Г.А., Кушнир В.Ф., Блушки А. Линейные сигналы в цифровых волоконно-оптических системах передачи. Учебное пособие. Изд ЛЭИС, 1987. – 41с.
3. Барабаш М.А., Кулева Н.М., Федорова И.А. Коды в цифровых ВОСП // Зарубежная электроника, №3, 1986, с.31-39.
4. ნაბობაშვილი ვ., ნაბობაშვილი ვ., ნოზაძე გ. ერთეულოვანი შეცდომების კორექტირება 2B4B ტიპის სახაზო კოდში // სტუ-ს გროვები, 3 (427). თბილისი, 1999.– გვ. 27-31
5. Нанобашвили В. Сравнительный анализ бипульсных кодов по признаку обнаружения ошибок // Сборник научных трудов по материалам II международной научно-технической конференции "Энергетика, телекоммуникации и высшее образование в современных условиях". Алматинский институт энергетики и связи. Алматы, 2000.
6. Зюко А.Г., Кловский Д.Д., Назаров М.В., Финк Л.М. Теория передачи сигналов. – М.: Связь, 1980. – 390с.

UDC 621. 372. 8

CORRECTION OF SINGULAR MISTAKES IN ELECTRONIC-PHOTONIC CODES

V. Nanobashvili, V. Nanobashvili

Department of telecommunication, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There are considered features of correction of singular mistakes of EP-1 and EP-2 Electronic-Photonic codes. There are proposed formulas and estimated probabilities of correction of mistakes for both under different probabilities of appearance of symbols in the initial signal. It is shown that the preference should be given to EP-1

code upon correction of mistakes and to EP-2 code upon considering quantity of double mistakes in the restored signal.

Key words: electronic-photonic codes; mistake; correction; probability.

УДК 621. 372. 8

КОРРЕКЦИЯ ОДНОЧНЫХ ОШИБОК В ЭЛЕКТРОННО-ФОТОННЫХ КОДАХ

Нанобашвили Д.В., Нанобашвили В.В.

Департамент телекоммуникации, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: Рассмотрены возможности коррекции одиночных ошибок в электронно-фотонных кодах EP-1 и EP-2. Предложены расчетные формулы вероятностей исправления ошибок для обоих кодов, с помощью которых найдены эти вероятности при различных вероятностях появления символов в исходном сигнале. Показано, что с точки зрения коррекции ошибок предпочтительнее использовать код EP-1, а с точки зрения минимизации количества появляющихся двойных ошибок – код EP-2.

Ключевые слова: электронно-фотонные коды; ошибка; коррекция; вероятность.

შემოსევლის თარიღი 04.07.2008
მიღებულია დასაბუღად 07.07.2008



შპ 624. 131. 31

**მიკროპლანენტები გდ. მტკვრის ფყალზი და მისი ეპოგეომიაზრი
მდგრადარმობის შეფასება (თბილისის ჟარბლებში)**

ნ. ვეჯვაიშვილი*, ი. ფირცხალაიშვილი, ც. მარტიაშვილი, მ. ჩანკაშვილი

გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,
კოსტავას 77

E-mail: natotoreli@gmail.com

რეზიუმე: მოცემულია 1998-99 და 2004-2005 წლებში ჩვენ მიერ ჩატარებული საკელე ჰიდროგელოგიური და ლაბორატორიული კვლევები მდ. მტკვრის წყალში ტოქსიკური ლითონების შემცველობისა და სხვა ორგანული თუ არაორგანული ნივთიერებების მნიშვნელოვანი რაოდენობის დაგროვების შესახებ. აღნიშნულია, რომ წყალში ამ ტოქსიკური ნივთიერებების დაგროვების შედეგად შეინიშნება დაბინძურების აწეული ფონი, რაც განაპირობებულია ეკოლოგიური გარემოს გაჭუჭყიანების გამომწვევი ისეთი ფაქტორების მიერ, როგორიცაა: კომუნიკაციური გარემოს გაჭუჭყიანების მწყობრიდან გამოსვლა, ქალაქში საკამაოდ დიდი მოცულობის ნაგავსაყრელობის წარმოქმნა და, რა თქმა უნდა, მდ. მტკვარში ჩაღვრილი ტექნიკური წყლები, საყოფაფაცხოვრებო ნარჩენების ჩაყრა და სხვ. შემოთავაზებულია, რომ მდ. მტკვრის გაჭუჭყიანების ნაწილობრივ მაინც თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მდინარეზე არსებული საწმენდი ნაგებობების სრული დატვირთვით ამჟავება და სხვა დამატებითი ღონისძიებების გატარება.

საკანონო სიტყვები: ანთროპოგენული; გაჭუჭყიანება; კონცენტრაცია; მიკროკომპონენტები.

1. შესავალი

ეფისისტემებში ძლიერი დამაბინძურებლების-მძიმე ტოქსიკური ლითონების და სხვა ორგანული თუ არაორგანული ნივთიერებების მნიშვნელოვანი რაოდენობა რიგი ანთროპოგენული ფაქტორების ზეგავლენითაც გროვდება. მათ შორისაა გარემოს ისეთი ინტენსიური დამაბინძურებელი, როგორიცაა ჩამდინარე საქანალიზაციო წყლები, რაც მძიმე ეკოლოგიური სიტუაციის შემდგომ ტრანსფორმაციას უწყობს ხელს [1, 2].

გარემოზე ნებატიური ზემოქმედების ერთერთ მაგალითად, მდ. მტკვრის წყალში ტოქსიკური ლითონების შემცველობის მკეთრად აწეული ფონიც შეიძლება ჩაითვალოს, რაც 1998-99 [3], 2004-2005 წლებში ჩვენ მიერ შესრულებული საკელე ჰიდროგელოგიური და ლაბორატორიული კვლევებითაც დადასტურდა.

2. ძირითადი ნაწილი

უნდა აღინიშნოს, რომ მდ. მტკვრიდან 1998-99

წლებში აღებული და გაანალიზებულ იქნა 14 სინჯი, ხოლო 2004-2005 წწ. – 37 სინჯი. მეტი რეპრეზენტატულობისთვის სინჯების აღება ხდებოდა გაჭუჭყიანების მოქმედი და პოტენციური კერძის მახლობლად. 2004 წელს აღებულ სინჯებში, სათანადო პრეპარაციის შემდეგ ზემდრენობიარე ატომურ-აბსორბციული მეთოდის გამოყენებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის, პეტროგრაფიის კათედრის ლაბორატორიაში განისაზღვრა 10 ელემენტი (მიკროკომპონენტები): Li, Cu, Zn, Sr, Cd, Pb, Mn, Fe, Co, Ni (განსაზღვრა განხორციელდა 10^{-6} სიზუსტის AAS-30 დანადგარზე).

ნაკადის საშუალო წლიური სარჯის მაღალი სიდიდის გამო ($> 200 \text{ მ}^3/\text{მ}^2$) [4], მონაცემები მდ. მტკვარში ტოქსიკური ლითონების შემცველობის შესახებ ცვალებადია და მუდმივად ვერ ჩაითვლება, თუმცა, ამ მდინარის გაჭუჭყიანების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას მაინც იძლევა. საერთოდ მდინარეულ წყლებში ლითონთა შემცველობა, გეოქიმიური და ბიოგლიმატური პირობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ძლიერ ვარირებს და ამიტომ კონტრინგენტურ წყლებში მათი კონცენტრაციის მაჩვენებლები უფრო პირობითა, ვიდრე მსოფლიო ოკეანის წყლებში [3].

ლითონებით გამდიდრებული ჩამდინარე წყლებით მდ. მტკვრის გაჭუჭყიანების მნელად დასადგენი მასშტაბების გამო, ელემენტების ფონური კონცენტრაციების გაანგარიშება ვერ ხერხდება. ამიტომ ელემენტების ფონურ კონცენტრაციიად მიღებულია მათი შემცველობა ისეთ ზედაპირულ წყლებში, რომელთა სარჯი 10³/წელ ნაკლებია [5].

ქალაქის ფარგლებში მდ. მტკვრის მძიმე ეკოლოგიური სიტუაციის ამსახველი ერთ-ერთი დოკუმენტი 1998-99 წლების დასინჯვის შედეგებია [3]. საყურადღებოა, რომ იმ პერიოდისთვის მდინარეში ლითონთა ფაქტობრივი შემცველობა ბევრად აღემატებოდა კ.წ. გლობალურ საშუალოს, ანუ პლანეტის პიროვნეული ქსელში ლითონთა შემცველობის გასაშუალებულ სიდიდეს. ეს აღმატება განსაკუთრებით შესამჩნევია კობალტის შემთხვევაში (ფაქტობრივი შემცველობა – 0.436 მგ/ლ, პლანეტარული – 0.0003 მგ/ლ; შეფარდება – 1453) (ცხრ. 1). 2004-2005 წლების მონაცემების პლანეტარულ საშუალოსთან შედა-

რებისას, მდგომარეობა შეცვლილია. კერძოდ, კობალტის, კადმიუმის, ლითოუმის, ნიკელის და რინის კონცენტრაციები საგრძნობლად არის შემცირებული, სამაგიუროდ, გაზრდილია ტყვიის, სილინგის, თუთიის, მანგანუმის და სტრონ-ციუმის კონცენტრაციები – სპილენძის ~2-ჯერ, ტყვიის 1,7-ჯერ, თუთიის 8,5-ჯერ, მანგანუმის 2,8-ჯერ და სტრონ-ციუმის 1,7-ჯერ.

ანთროპოგენული ფაქტორების აშკარა ზეგავლენით გამოწვეული გაჭუჭყიანების ზრდა გასაკვირი არც არის, რაღაც ბოლო 15-16 წლის მანძილზე მოსახლეობის პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესებით გამოწვეულმა იძულებითმა მიგრაციამ, მათ შორის, ჩვენს დედაქალაქშიც, თბილისის მთელი ინფრასტრუქტურის ერთგვარი გადატვირთვა-გადაიარაღება გამოიწვია. მოკლე დროში თბილისი ე.წ. თავკომბალა ქალაქად გადაიქცა, ხოლო თუ ქალაქების ურბანიზაციის დარგში შთამბეჭდავ ცვლილებებს აქვთ აღილი, მრავალი სახის პრობლემა მყისიერად, ერთად იჩენს ხოლმე თავს. მით უმეტეს, უფრო მძაფრად, თუ ასეთი პრობლემა მანამდევ არსებობდა. ამ პრობლემებს შორისაა ეკოლოგიური გარემოს გაჭუჭყიანების გამომწვევი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა, მაგალი-

თად, გადატვირთვის შედეგად კომუნიკაციური სისტემების მწყობრიდან გამოსვლა; ქალაქის დაუსახლებელ თუ დასახლებულ ადგილებში საქმიან დიდი მოცულობის ნაგავსაყრელების წარმოქმნა; ავტოტრანსპორტის გაძლიერებული ექსპლუატაცია, მრავალფეროვანი ფალსიფიცირებული პროდუქტის აღმოცენება-გამოწენა და ა. შ. ეს, რა თქმა უნდა, საკანალიზაციო სისტემებსაც ეხება. სავარაუდოა, რომ მდ. მტკვარში ჩაღვრილმა ტექნიკურმა წყლებმა გამოწვია მასში ზოგიერთი მძიმე ტოქსიცერი ლითონის შემცველობის მატება წინა წლებთან შედარებით. მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, ასევე, მდინარეში საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩაყრაც, აგრეთვე უხვი ნალექების გამოყოფისას წარმოქმნილი ნაკადებით ეროზიურებადი, „დანაგვიანებული“ გრუნტების გადარეცხვის შედეგად ნაკადით ატაცებული უაღრესად „მძიმე ტვირთის“ მდინარეში ჩატანა და სხვ. გრუნტის ქიმიური და ფიზიკური გამოფიტვის შედეგად, ქიმიურ ელემენტთა უმრავლესობა უძრავი ფორმიდან მომრავ ფორმაში გადადის, რის გამოც იოლად მიგრირებს ნიადაგის მყარი ფაზიდან თხევადში [4].

ცხრილი 1 ქ. თბილისის ფარგლებში მდ. მტკვრის წყალშემკრებ აუზში მიკროკომპონენტების შემცველობის ურთიერთშედარება

№	მიკროკომპონენტის დასახელება	საშეალო კონცენტრაცია, მგ/ლ			შეცარდება
		მდ.	მტკვარში	გლობალური მასშტაბით	
1998-99 წლების მონაცემები					
1		3	4	5	
1	კობალტი	0.436	0.0003	1453	
2	კადმიუმი	0.036	0.0002	180	
3	სპილენძი	0.948	0.007	135	
4	ლითოუმი	0.204	0.002	102	
5	ნიკელი	0.163	0.002	82	
6	ტყვია	0.02	0.001	20	
7	რინა	1.102	0.07	16	
8	თუთია	0.2	0.02	10	
9	მანგანუმი	0.098	0.01	10	
10	სტრონციუმი	3.022	0.8	4	
204-2005 წლების მონაცემები					
1	კობალტი	0.31	0.0003	1033	
2	კადმიუმი	0.0071	0.0002	35.5	
3	სპილენძი	1.73	0.007	247	
4	ლითოუმი	0.075	0.002	37.5	
5	ნიკელი	0.12	0.002	60	
6	ტყვია	0.034	0.001	34	
7	რინა	0.43	0.07	6	
8	თუთია	1.7	0.02	85	
9	მანგანუმი	0.28	0.01	28	
10	სტრონციუმი	5.47	0.8	6.8	

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან მსგავს მდგომარეობაშია სხვადასხვა ქვეყნის მრავალი რეგიონის [5] პიდროგრაფიული ქსელის უმეტესობა, ურბანიზაციის თანამედროვე დონეზე

ეს ფაქტი ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება და ფაქტობრივ და პლანეტარულ კონცენტრაციებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებას სერიოზული შეზფრინების საგნად არ მიიჩნევენ [5]. მდ.

მტკვარი, მასში მიკროკომპონენტების შემცველობის და მიგრაციული თვისებების თვალსაზრისით, არ არის გამონაკლისი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მიკროელემენტების პიდროსფეროში დაგროვებისა და მიგრაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად ელექტროს რაოდენობრივ შემცველობას ქანქი, რამდენადაც არსებობის ამა თუ იმ ფორმას, რაც კონკრეტულად აღებული მიკროკომპონენტის მდგრადობას და მყარი ფაზიდან თხევადში მისი გადასვლის უნარს განაპირობებს. მდინარის წყალში მოხვედრილი მიკროელემენტების ძირითადი მასის გადატანა გახსნილი (იონური) ფორმით კი არა, არამედ ნაკადში შეტივტივებულ მექანიკურ მასალასთან შეკავშირების გზით ხდება (ამ სახით მდინარეს გადააქვს, მაგალითად, მასში არსებული, კობალტის და ნიკელის 90-98%, სპილენბის, სტრონციუმის და თუთიის 70-80% და ა.შ.) [6, 7].

მდ. მტკვარი მძიმე ლითონების გაზრდილი შემცველობით ხასიათდება, განსაკუთრებით უშეალოდ გაჭუჭყიანების წყაროსთან სიახლოვეში (ცხრ. 2). ასე, მაგალითად, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ჯვრის მონასტრისკენ მიმავალ გზაზე (სქემა, სინჯი 1) გადებული ხილიდან 300 მ დაშორებით დინების საპირისპიროდ, მდინარის წყლიდან 1998 წელს

აღებულ სინჯებში სპილენბის შემცველობა იყო 6,88 მგ/ლ; კადმიუმის – 0,2 მგ/ლ; თუთიის – 0,85 მგ/ლ, თუმცა, ამ წერტილიდან 500 მ-ის მანძილზე (სქემა, სინჯი 2) დინების მიმართულებით, მარჯვენა ნაპირზე, მასიური ქვიშაქვების ძირში, სადაც რამდენიმე დამაბინძურებელი წეარო არ დაიკვირვება, მდინარიდან აღებულ სინჯებში იმავე ელემენტების შემცველობები, კერძოდ, სპილენბის შემცველობა საგრძნობლად არის შემცირებული და ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასაც (ზდკ) ვერ აღწევს (0,021 მგ/ლ). ასევეა კადმიუმის (0,013 მგ/ლ), თუთიის (0,016 მგ/ლ) და რკინის (0,2 მგ/ლ) შემცველობების მხრივ. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი პქონდეს ნაპირებზე და ფსკერზე, თიხურ ან სხვა მყარ დისპერსიულ ნაწილაკებზე მიკროკომპონენტების სორბირებული ფორმით დალექვას.

2004 წელს მდ. მტკვრიდან აღებული სინჯების ანალიზისას ტოქსიური ლითონის შემცველობათა ერთმანეთთან შედარებით გამოვლინდა, რომ შემცველობის სიდიდეები განსაკუთრებით გაზრდილია მდ. მტკვართან მომცრო მდინარეების, ნაკადების ან დელების შესართავებიდან აღებულ სინჯებში ან უშეალოდ ისეთ უბნებზე, სადაც მდინარე ნაგავსაყრელთან არის კონტაქტში და ა.შ.

ცხრილი 2

2004 წელს მდ. მტკვრიდან და მისი შენაკადებიდან ერთჯერადი დასინჯვით აღებული სინჯების ანალიზის შედეგები

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
აღებული წერტილის მდგრადება	მიკროკომპონენტების შემცველობა, მგ/ლ										
	კოდენ- ტი სინჯი №	Li	Cu	Zn	Sr	Cd	Pb	Mn	Fe	Co	Ni
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ქალაქში შემოსახვლები ხილის ქვეშ	1	0.05	4.3	2.62	1.72	0.018	0.025	0.33	0.62	0.18	0.068
ქალაქში შემოსახვლებიდან 1 კმ-ში რკინიგზის ქვეშ გამა- ვალი მტკვარში ჩამდინარე რუ	2	0.035	2.3	3.44	0.992	0.0021	0.045	0.061	0.37	0.18	0.09
ზემო ავტოლა მტკვარში პატარა კუნძულის პირდაპირ, მარცხენა ნაპირი	3	0.103	2.7	3.08	7.902	0.0016	0.04	0.523	0.76	0.22	0.22
შეა ავტოლა. მტკვარის და პა- ტარა უსახელო რუს შესართავი	4	0.04	0.083	1.055	7.05	0.002	0.038	0.42	0.35	0.18	0.13
ზემო ავტოლა. მიტოვებული ქარხის ტერიტორიაზე პატარა რუს მტკვართან შესართავი.	5	0.045	1.039	1.23	6.40	0.0012	0.041	0.28	0.39	0.24	0.21
მდ. მტკვრის მარცხენა ტოტის მარცხენა ნაპირი-ჭაობის წყა- ლი. მასლობლად ასფალტის პატარა ქარხანა	6	0.186	2.04	3.47	9.68	0.0019	0.02	0.057	0.44	0.282	0.18
მდ. მტკვარის და პატარა გო- გირდწყალბადინი რუს შესარ- თავთან	7	0.078	1.07	1.89	3.52	0.005	0.024	0.073	0.41	0.18	0.059
მდ. მტკვარის მარჯვ. ნაპირი. რესტორან არაგვის მიაპირდაპ- რედ, ვახუშტის ხილიდან 400 მ- ში	8	0.096	0.72	0.063	6.32	0.006	0.034	0.18	0.32	0.17	0.04

ცხრილი 2, გაგრძელება

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
მდ. მტკვარი, მარცხენა ნაპირი, კორონცოვის ხიდიდან 70 მ-ში დინების მიმართულებით	9	0.09	2.072	1.78	4.98	0.016	0.028	0.32	0.41	1.18	0.18
მდ. მტკვარი, მარცხენა ნაპირი, ბარათაშვილის ხიდიდან 200 მ-ში დინების საპირისპირო	10	0.06	1.7	1.55	7.06	0.0135	0.037	0.41	0.28	0.7	0.12
მდ. მტკვარის მარჯვ. ნაპირი. მეტების ხიდის ქვეშ, აბო ტფილელის ეკლესიასთან	11	0.076	0.97	0.068	6.89	0.007	0.041	0.47	0.44	0.18	0.07
გარდაბნის გზატკეცილიდან სამსრეფით 300 მ-ში და ს/ა საზღვრიდან 2,5 კმ-ში	12	0.037	–	–	3.102	0.0112	0.03	0.28	0.32	0.081	0.07
საშუალო მნიშვნელობები		0.075	1.73	1.7	5.47	0.0071	0.034	0.28	0.43	0.31	0.12
ფაქტიური საშუალო შემცველობები/ზღვა		2.5	1.73	1.7	–	7.1	1.1	2.8	1.4	3.1	1.2

მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ჯვრის მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე გადებულ ხიდთან (სქემა, სინჯი 1) აღებული სინჯის 2004 წლის ანალიზის განხილვისას, 1998 წლის ანალიზებთან შედარებით, ზოგიერთი ელემენტის მიმართ მდგომარეობის გაუმჯობესების მიუხედავად, გაჭუჭყიანების ხარისხი, სამწუხაროდ, კვლავ შთამბეჭდავია. ასე, მაგალითად, სპილენძის შემცველობა შემცირდა და 4,3 მგ/ლ შეადგინა; აგრეთვე შემცირდა კადმიუმის შემცველობაც – 0,18 მგ/ლ-მდვ; სამაგიეროდ, თუთიის კუთრი წილი გაიზარდა და 2,62 მგ/ლ შეადგინა. საყურადღებოა, რომ ამ ადგილას მდ. მტკვარში, მაღლივ ნაპირზე გადმოგიდებული მილიდან უხვად ჩაედინება ტექნიკური წყლები. აქვეა მომცრო ასფალტის დამამზადებელი საამქრო, ანუ კონკრეტული დამაბინძურებლები სახეზეა. სხვაგან, მაგალითად, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ავჭალის რკინიგზის სადგურიდან 1,5 კმ-ში, პატარა დელესა და მდ. მტკვრის შერწყმის ადგილის, 1998 წლის სინჯებში (სქემა, სინჯი 3) ზღვ-სთან შედარებით გაზრდილი მნიშვნელობებით ხასიათდება: კადმიუმი – 0,01 მგ/ლ; კობალტი – 0,32 მგ/ლ; რკინა – 0,9 მგ/ლ და ლითიუმი – 0,07 მგ/ლ. ხოლო, 2004 წლის მონაცემებით (სქემა 1, სინჯი 4.), იმავე ადგილიდან ადგებულ სინჯებში კონცენტრაცია ასეთია: კადმიუმისა – 0,0021 მგ/ლ; კობალტისა – 0,18 მგ/ლ; რკინისა – 0,37 მგ/ლ; ლითიუმისა – 0,035 მგ/ლ, ანუ ამ შემთხვევაში მდგომარეობის გაუმჯობესება თვალინათლივ ჩანს, ლითიუმის შემთხვევაში 2-ჯერ; კადმიუმის – 4,8-ჯერ; კობალტის – 1,8-ჯერ, რკინის – 2,4-ჯერ.


3. დასკვნა

მდ. მტკვრის წყალში მიკრომპონებზთა საშუალო შემცველობების განხილვისას ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სპილენძის საშუალო შემცველობა 1,73 მგ/ლ შეადგენს და ზღვ-ს 1,73-ჯერ აჭარბებს, მაშინ, როდესაც 1998 წელს მისი საშუალო შემცველობა 0,027 მგ/ლ იყო და ზღვ-ს

საგრძნობლად ჩამორჩებოდა (საშუალო სიდიდეების გამოანგარიშებისას მხედველობაში არ იქნა მიღებული ქალაქში შემოსასვლელთან ხიდის ქვეშ აღებულ სინჯში დაფიქსირებული სპილენძის შემცველობის განსაკუთრებით მაღალი (6,88 მგ/ლ) სიდიდე, რომელიც 2004 წელს იმავე ადგილიდან აღებულ სინჯში ასევე მაღალი, მაგრამ რამდენადმე შემცირებული აღმოჩნდა (4,3 მგ/ლ). 2004 წლის სინჯებში დანარჩენი ლითონების შემცველობები ასევე ნაკლებია, თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ზღვ-ებს მაინც საგრძნობლად აჭარბებს. მაგალითად, თუთიის შემთხვევაში საშუალოდ – 1,7-ჯერ, მაგანუმის-საშუალოდ 2,8-ჯერ, განსაკუთრებით ზემო ავჭალის ტერიტორიაზე, სადაც იგი 0,523 მგ/ლ-ს აღწევს. რეინისთვის საშუალო შემცველობები გაზრდილია 1,4-ჯერ; კობალტისთვის – 3,1-ჯერ; კადმიუმისთვის – 7,1-ჯერ; ხოლო ნიკელის შემცველობების საშუალო მნიშვნელობები მხოლოდ 1,2-ჯერ (ცხრ. 2).

წარმოდგენილი მასალის ანალიზით ირკვევა, რომ მდგომარეობა მდ. მტკვრის მიკრომპონებზე გაჭუჭყიანების თვალსაზრისით დამაფიქრებელია, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მდინარის დასინჯგა 1998-99 წლებში და 2004 წელს მხოლოდ ზაფხულის სეზონში განხორციელდა და ერთჯერადია. ცხადია, ერთჯერადი დასინჯვის მონაცემები მდინარის გეოგროლგიური კვლევისთვის არასაკმარისია. ამიტომ საჭიროდ მიგანია კვლევების გაგრძელება გაჭუჭყიანების ხარისხის დროში ზრდისა, თუ კლების ზუსტი პროგნოზისთვის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მდ. მტკვრის გაჭუჭყიანების სრულად თავიდან ასაცილებლად თუ არა, მისი გაჭუჭყიანების ხარისხის მინიმუმამდე დაუვარის მიზნით მაინც, აუცილებელია მდინარეზე არსებული საწმენდი ნაგებობების სრული დატვირთვით ამუშავება და დამატებითი ღონისძიებების გატარება უფრო ეფექტური შედეგების მისაღებად, რაც ცალკე თვემა და მოცემულ ნაშრომში მას არ შევხებით.



ქ. თბილისის ფარგლებში მდ. მტკვარზე საგელე სამუშაოების ფაქტიური მასალების სქემატური რუკა (2004 წელი)

ლიტერატურა

1. Супаташвили Г. Д. Гидрохимия Грузии. Тбилиси: Технический Университет, 2005, с. 80-92.
2. Эйхлер В. Яды в нашей жизни. М.: Мир, 1985, с. 97-102.
3. Чвоядадзе უ., ლომინაძე ი., ცომაია ზ., ვეფხვაშვილი ნ. ლითონები თბილისის ჰიდროგრაფიულ ქსელში // მეცნიერება და ტექნოლოგიები, თბილისი, 2000, №10–12, გვ. 48-51.
4. Фелленберг Г. Загрязнение природной среды. Введение в экологическую химию. М.: Мир, 1997, с. 127-130.
5. Нахшина Е.П. Микроэлементы в водах Днепра. Киев: Наукова думка, 1983, с. 34-42.
6. Лукашёв К.И., Маркова А.П., Замяткина А.А. Микроэлементы в различных генетических типах вод Белоруссии // Тр. Института геол. наук АН БССР, вып. № 3, Минск, 1961, с. 23-28.
7. გორდეზიანი გ., კვესიტაძე გ. ეპოლოგიის ქიმიური საფუძვლები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000.

UDC 624. 131. 31

MICROELEMENTS IN MTKVARY RIVER (WITHIN TBILISI) AND VALUATION ITS ECOGEOCHEMICAL CONDITION

N. Vepkhvashvili, I. Phirtshalaishvili, Ts. Martiashvili, M. Chankashvili

Department of geology, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is given the information of hydrogeological end laboratory analysis, carried out in 1998-99 and 2004-2005 concerned to the accumulation of significant amounts such strong pollutants, as heavy toxic metals and other organic or inorganic substances in water of Mtkvary river. One of the examples of their negative influence on an environment can consider sharply increased background of the heavy toxic metals contents in water of Mtkvary river,

which is conditioned by such factors: put out of action of communicatin systems, big size of dust-dumps in the city and, of course, technical waters, poured in the river, pollution with domestic leavings.

There is offered the inevitability of setting with complete loading of cleaning constructions and other additional arrangements in order to avoid the soiling in Mtkvary river.

Key words: anthropogenous; pollution; concentration; microelements.

УДК 624. 131. 31

МИКРОКОМПОНЕНТЫ В РЕКЕ КУРА (В ПРЕДЕЛАХ Г. ТБИЛИСИ) И ОЦЕНКА ЕЕ ЭКОГЕОХИМИЧЕСКОГО СОСТОЯНИЯ

Вепхвиашвили Н. А., Мартиашвили Ц. Т., Чанкашвили М. Г.

Департамент геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: На основе проведенных в 1998-99 и 2004-2005 гг. гидрогеологических и лабораторных исследований приведены данные, касающиеся накопления в водах р. Кура значительного количества токсичных металлов и других органических и неорганических веществ.

Повышение фона загрязнения экологической среды реки Кура обусловлено следующими факторами: выходом из строя коммуникационных систем, появлением в городе довольно большого объема мусорных свалок (бункеров), и, конечно, техническими водами, спускаемыми в реку, сбросом в нее бытовых отходов.

Предлагается: для того чтобы хоть частично ограничить загрязнение реки, необходимо, чтобы существующие очистительные сооружения заработали с повышенной нагрузкой и одновременно проводить другие дополнительные мероприятия.

Ключевые слова: микрокомпоненты; экосистемы; антропогенный; загрязнение; токсичный.

შემოსევის თარიღი 10.09.2008
ძირიქულია დასაბუღავდა 29.09.2008

УДК 621.742.4

ВЛИЯНИЕ ТЕРМОСТОЙКОСТИ БЕНТОНИТОВ НА ИХ РАСХОД В ФОРМОВОЧНЫХ СМЕСЯХ

Н. Ш. Исмаилов, Р. Г. Гветадзе*

Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

E-mail: khidly@gtu.ge

Резюме: Установлено, что термостойкость бентонитов в формовочных смесях связана с температурой потери гидроксильной воды монтмориллонита и оказывает сильное влияние на их расход в смесях. Получены экспериментальные и аналитические зависимости между термостойкостью бентонита и коэффициентом освежения, температурой потери гидроксильной воды, а также содержанием в минерале Fe_2O_3 .

Ключевые слова: чугун; отливка; бентонит; термостойкость; формовочные смеси.

1. ВВЕДЕНИЕ

Широкое применение бентонитовых глин в литейном производстве ограничивает их низкая огнеупорность, связанная с минеральным составом [1]. Низкая огнеупорность бентонитов является также причиной поверхностных дефектов отливок, которые, в свою очередь, приводят к увеличению брака по вине литейных форм [2]. Принятые технологические мероприятия по повышению противопригарных свойств формовочных смесей не всегда достигают цели, удороажают отливки и усложняют технологические процессы. Кроме того, из-за низкой термостойкости увеличивается расход связующего, который сейчас колеблется в пределах 120-200 кг на 1 т отливок [3]. Поэтому исследование термостойкости бентонитов, с целью уменьшения их расхода в составе формовочных смесей, является важной и актуальной задачей.

Известно что, термостойкость (ТС) является одним из основных параметров качества бентонита, предопределяющим его расход в формовочных смесях [4]. Расход бентонита в зависимости от ТС складывается из потерь формовочной смеси (ФС) с вентиляцией, при деструкции на решетках, с выбитыми отливками и др.

2. ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Анализируем характер и количество потерь ФС в зависимости от качества используемого бентонита, а

также от изменения общих потерь на формовочной линии. Сравнивали расходы различных бентонитов на освежение ФС с содержаниями активного бентонита $A_\delta = 8\%$ и неактивной мелочи $H = 5\%$. Принято, что соотношение металл/смесь составляет $M/Q = 1/10$, коэффициент теплораспределения (доля теплоты отливки, попадающая в смесь) $c = 0,7$; потери смеси с вентиляцией $h = 0,5\%$; содержание бентонита в вентилируемом продукте $e_\delta = 20\%$, неактивной мелочи в вентилируемом продукте $e_H = 10\%$; потери смеси, пригоревшей к отливке, $H_O = 0,5\%$; коэффициент оолитизации $\alpha = 50\%$.

Характеристики ТС (по ГОСТ 28177-89), использованные в расчете бентонитов, приведены в табл. При этом, коэффициент термодеструкции для различных бентонитов K_δ рассчитан по формуле [5]

$$K_\delta = 1,44 \dots 0,96.$$

Показатели ТС и термодеструкции K_δ различных бентонитов

Месторождения	ТС	K_δ
Даш-Салахлы	0,90	0,50
Озургетское, Асканско-1	0,95	0,52
Черногорское	0,90	0,57
Дашуковское	0,75	0,72
Горбское	0,60	0,86
Болгарское	0,95	0,54
Асканско-2	0,85	0,70
Али-Байрамлы	0,80	0,68

Потери бентонита в смеси от термодеструкции составляют

$$\Delta_\delta = A_\delta K_\delta M / Qc, \%$$

потери с вентиляцией

$$\Delta_\delta = e_\delta \cdot h / 100, \%$$

При деструкции бентонита образуется реактивная мелочь в количестве $\Delta_\delta (100 - \alpha) / 100, \%$, которая для предотвращения накопления должна выводиться из смеси. Часть мелочи выводится из смеси за счет вентиляции ($e_H \cdot h / 100$) и теряется с отливкой $H_{oml} (A_\delta + H) / 100, \%$. Оставшаяся часть мелочи (ΔP) нужно вывести из смеси:

$$\Delta P = \Delta_\delta (100 - \alpha) / 100 - e_H \cdot h / 100 - H_{omi} (A_\delta + H) / 100, \%$$

Для этого необходимо вывести B , %, ФС.

$$B = 100 \Delta P / H + \Delta P$$

– выводимая часть, необходимая для стабилизации содержания неактивной мелочи в смеси. Известно, что реально на выбивных решетках теряется 3...5% смеси [4].

Полученные для различных бентонитов результаты расчета освежения смеси (c_δ) и расхода бенто-

нита на 1 т годного литья (P_δ) в зависимости от ТС бентонита, минимально необходимой выводимой части ФС, и величины суммарных потерь (3, 4 и 5%) показаны на рис. 1. Видно, что с увеличением ТС значительно снижается расход бентонита и другие формовочные материалы, которые увеличиваются с ростом потерь смеси. Соответственно снижаются затраты на изготовление отливок.

Известно, что ТС бентонита определяется его минералогическим составом и может быть несколько увеличена при его активации.




Рис. 1. Зависимость расхода бентонита на освежение ФС от ТС бентонита: 1 – минимально необходимая выводимая часть ФС; 2-4 – суммарные потери – 3,4,5%, соответственно

Исследования бентонитов различных месторождений показали, что температуры I-го эндотермического эффекта (ЭТЭ) для бентонитов марок T_1 (по ГОСТ 28177-89) и T_2 , T_3 различаются незначительно. Различие – в температурах II-го ЭТЭ, т.е. в температуре потери гидроксильных групп, приводящей к потере связующих свойств. Для бентонитов с высокой ТС – это 656...690°C, а со средней – 510...575°C. Для большинства бентонитов с высокой ТС отмечен дополнительный максимум в области II-го ЭТЭ. На рис. 2 приведена зависимость ТС бентонитов от температуры t II-го ЭТЭ:

$$TC = -0,66 + 0,00233 t$$

с коэффициентом корреляции $k = 0,91$.

Рентгеноспектральным анализом химического состава установлено, что бентониты различаются также по содержанию Fe (Fe_2O_3). Для бентонитов с высокой ТС (например, Дашибахлинского и Озур-

гетского) это ≤ 5%, для среднеустойчивых (Алибай-рамлинского и Горбского) – 9...11%.

Установлено, что связь ТС и содержания Fe_2O_3 в бентоните (рис. 3) выражается уравнением

$$TC = 1,25 - 0,066 Fe_2O_3, k = 0,76.$$

На Тбилисском заводе “Центролит” была отлита крупная партия тяжелых чугунных отливок для итальянской фирмы “Фантуци”, производящей портовые автопогрузчики. Для формовки по-сырому была использована бентонитовая глина Асканского месторождения Грузии. Вес отливок колебался от 1,5 до 10 т, толщина стенок некоторых отливок достигала 300-350 мм, однако деформации форм и нарушения наружных геометрических размеров деталей не наблюдалось. Этим практически подтверждаются данные о высокой термостойкости асканских монтмориллонитовых глин. Покраска форм графитовой





Рис. 2. Зависимость ТС бентонитов от температуры II-го ЭТЭ

Рис. 3. Зависимость ТС бентонитов от содержания Fe_2O_3

краской "ГБ" и поверхностная подсушка обеспечивали удовлетворительную чистоту поверхности отливок. Оборотная смесь в количестве 80% повторно использовалась для приготовления формовочной смеси.

3. ЗАКЛЮЧЕНИЕ

Таким образом, термостойкость бентонитов, определяющая их расход при смесеприготовлении, связана с температурой потери гидроксильной воды. Установлено, что чем выше эта температура, тем термически устойчивее бентонит. Определено, что устойчивость связи гидроксильной группы зависит от элемента решетки, с которым связан гидроксил:

устойчивость связи гидроксила с Fe минимальна, по сравнению с другими элементами.

ЛИТЕРАТУРА

1. Дорошенко С.П. Формовочные материалы и смеси. Киев: Высшая школа, 1990. - 415 с.
2. Снисарь В.П., Коронд В.Н. Глинопорошки для формовочных смесей производства ОАО "Завод утяжелителей" // Литье Украины, 2003, №1, с.6-8.
3. Туманова Л.П., Кваша Ф.С. Оценка требуемого содержания бентонита в формовочных смесях и эффективности их перемешивания // Литейное производство, 2003, №2, с. 33-35.
4. Мухоморов И.А. Проблемы стабильности технологических параметров формовочных смесей // Литейное производство, 2003, №4, с. 10-11.

მარჯნი ფარგლების
ნარკიზი, გორგაძე

შაპ 621.742.4

გენტრინიტების თერმოგედვების გავლენა მათ ხარჯზე საყალიგე ნარევები

ნ. ისმაილოვი, რ. გვეტაძე

მეტალურგიის, მასალათმცოდნებისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

რეზიუმე: სხმულის ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული ბენტონიტური თიხის როგორც თერმოგებობაზე, ასევე საყალიბების ნარევში შეტანილ თპტიმალურ რაოდენობაზე. აღნიშნულია, რომ ადგილობრივი ბენტონიტური თიხების გამოყენებას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი აქვს საპასუხისმგებლო სხმულების საწარმოებლად. შესწავლილია აზერბაიჯანისა და საქართველოს ბენტონიტური თიხები და მათი გამოყენებით დამზადებული საყალიბების ნარევების თვისებები. საქართველოს ასკანის საბადოს ბენტონიტური თიხა წარმატებით იქნა გამოყენებული თუმცის 10 ტონამდე წონის სქელდების სხმულების ჩამოსასხმელად.

საკვანძო სიტყვები: თუმცი; სხმული; ბენტონიტი; თერმოგებები; საყალიბები ნარევები.

UDC 621.742.4

INFLUENCE OF BENTONITES THERMOSTABILITY ON THEIR CHARGE IN FORMING MIXES

N. Ismailov, R. Gvetadze

Department of metallurgy, science of materials and metal-working, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is investigated influence of thermostability on the charge various bentonites in forming mixes. There is established, that thermostability and the charge of bentonites in forming mixes is connected to temperature of loss hidroksil water montmorillonit and renders strong influence on their charge in mixes. Experimental and analytical dependences between thermostability of bentonites and factor fresh, temperature of loss hidroksil waters, and also the maintenance in mineral Fe_2O_3 are received.

Key words: cast iron; casting; bentonite; thermostability; moulding mixture.

Дата поступления 20.10.2008

Принято к печати 23.10.2008

შაპ 667.212:677.842

ახალი ტიპის ანთრაპირიდონული საღვარები პოლიეთერული და კოლიამილური ბოჭკოვანისთვის

ი. ლაგვილავა, დ. ბიბილეიშვილი, ლ. დათუკიშვილი, ე. ელიზბარაშვილი*

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: elizbarashvili@gtu.ge

რეზიუმე: ანთრაპირიდონულ ნაერთებს აქვს საღებრებისათვის დამახასიათებელი სპექტრული თვისებები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ საფეიქრო მრეწველობაში მაინც ვერ პოვეს გამოყენება როგორც ბუქებრივ, ისე ხელოვნურ და სინთეზურ ბოჭკოვანთან არათავსებადობის გამო. საპატენტო ლიტერატურაში მხოლოდ ერთეული შრომები მოიპოვება, რომელშიც აღწერილია ანთრაპირიდონების ისეთი ნაწარმები, რომელთაც შესწევს უნარი შეღებოს ბოჭკო. 1-ამინოანთრაპირიდონის ბოჭკოზე ამოკრების უნარის გაზრდის მიზნით განხორციელდა 1-ამინოანთრაპირიდონის იმობილიზაცია პოლიმერულ სარჩეულზე. კერძოდ, 1-ამინოანთრაპირიდონის ურთიერთქმედებით მეთოლმეთაკრილმჟავას ქლორანპიდრიდთან ბენზოლის არეში სარეაქციო სისტემის დუღილის ტემპერატურაზე 37 სო-ის განმავლობაში შეაღებული პროცესის სახით მიიღება 1-მეთოლმეთაკრილმჟავას ქლორანპიდრიდთან ბენზოლის თავისთავად პოლიმერიზაციას და გარდაიქმნება შესამაბის პოლიმერში. 1-ამინოანთრაპირიდონის პოლი(მეთოლმეთაკრილატის) სარჩეულზე იმობილიზაციით იზრდება საღებრის ამოკრების უნარი პოლიეთერულ და პოლიამიდურ ბოჭკოზე. მიღებული დამენობილი საღებრებით შესაძლებელია განხორციელდეს პოლიეთერული და პოლიამიდური ბოჭკოების დისერსიული დებგა. შეღებილი ნიმუშები ხასიათდება სხვადასხვა ტონალობის ნარინჯისფერი-წითელი შეფერილობით და აკმაყოფილებს სტანდარტით წაეწენებულ მოთხოვნებს.

საკვანძო სიტყვები: ანთრაპირიდონები; საღებრები; დებგა; პოლიამიდი; პოლიეთერი.

1. შესავალი

სინთეზური საღებრების ქიმიას უდიდესი წელი მიუძვის როგორც ორგანული ქიმიას, ისე მთელი ქიმიური ტექნოლოგიის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის შექმნილია სინთეზური საღებრების საქმაოდ დიდი ასორტიმენტი, მეცნიერთა და მკვლევართა ინტერესი ქიმიის ამ სფეროს მიმართ არ კლებულობს. ასეთი დაინტერესება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ თანამედროვე

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი სინთეზური საღებრების ქიმიის წინაშე მუდმივად აყენებს ახალ-ახალ მოთხოვნებს. გარდა ამისა, ეკო- და ტოქსიკოლოგიური ქიმიის განვითარება მრეწველობას იმულებულს ხდის წარმოებიდან ამოიღოს ზოგიერთი პროცესი ან უარი თქვას რომელიმე ნახევარი დამოუკიდებელი გამოყენებაზე. ყოველივე ეს კი, ცხადია, წარმოშობს მათი ახალი, ნაკლებტოქსიკური ანალოგების შემუშავების აუცილებლობას.

ცნობილია, რომ პეტეროციკლური ნაერთების ბაზაზე ქიმიური მრეწველობის მიერ დღეისათვის მრავალი ბიოლოგიურად და ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთი იწარმოება. აქედან გამომდინარე, ბოლო წლებში პეტეროციკლურმა ნაერთებმა სინთეზური საღებრების ქიმიაშიც პოვა გამოყენება [1-3]. ანთრაპირიდონულმა ნაერთებმა აღმოჩენის მომენტიდანვე (გასული საუკუნის 30-იანი წლები) დიდი პოპულარობა მოიპოვა, ვინაიდან ისინი წარმოადგენდნენ ფლუორესცენციური თვისების მქონე ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთებს [4-7]. მიუხედავად იმისა, რომ ანთრაპირიდონებს ახასიათებს საღებრების დამახასიათებელი სპექტრული თვისებები, მათ საფეიქრო მრეწველობაში გამოყენება მაინც ვერ პოვეს როგორც ბუქებრივ, ისე ხელოვნურ და სინთეზურ ბოჭკოებთან არათავსებადობის გამო. საპატენტო ლიტერატურაში მხოლოდ ერთეული შრომები მოიპოვება, რომელშიც აღწერილია ანთრაპირიდონების ისეთი ნაწარმები, რომელთაც შესწევს უნარი შეღებოს ბოჭკო, მაგრამ აღნიშვნელი ნაერთების სტრუქტურული სირთულის (და შესაბამისად, დიდი თვითდიორგებულების) გამო მათი წარმოებაში დანერგვა ვერ მოხერხდა [8-9].

ჩვენს ერთ-ერთ ადრეულ შრომაში ფაზათშორისი კატალიზის პირობებში განხორციელდა ამინოანთრაპირიდონის პირდაპირი ერთსტადი-იანი ალკილორების რეაქცია სხვადასხვა ალკილოლოგიუნიდებით [10]. მიღებულ 1-ალკილამინო-ანთრაპირიდონებს აღმოაჩნდა სინთეზური ბოჭკოების (პოლიეთერი, პოლიამიდი) დებგის უნარი. ამასთან, დადგინდა, რომ ალკილური ფრაგმენტის ზრდასთან ერთად უმჯობესდებოდა საღებრის სამღებრო აბაზანიდან ბოჭკოზე ამოკრების უნარი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალკილური ჯაჭვის დაგრძელება უარყოფით გავლენას ახდენს რეაქციის გამოსავლიანობაზე.

ამინოანთრაპირიდონულ ნაერთებში გრძელი


ნახშირბადოვანი ჩონჩხის ჩანაცვლების მიზნით, წინამდებარე ნაშრომში განხორციელებულია პოლიმერიზაცია 1-ამინოანთრაპირიდონული საღებრების სინთეზი.

2. ძირითადი ნაწილი

პოლიმერულ მასალაზე იმობილიზებული 1-ამინოანთრაპირიდონული საღებრების სინთეზი გან-

ხორციელდა ქვემოთ მოყვანილი სქემის (სქემა 1) მიხედვით.

მიზნობრივი ნაერთი მიიღება 1-ამინოანთრაპირიდონის ბენზოლურ ხსნარში მუდმივი მორევის პირობებში სარეაქციო სისტემის დუდილის ტემპერატურაზე მეთოლმეთაპრილმჟავას ქლორანჰიდრიდის (2) წვეოწვეობით დამატებით.



სქემა 1. პოლიმერულ მასალაზე იმობილიზებული 1-ამინოანთრაპირიდონული საღებრების სინთეზი

1-ამინოანთრაპირიდონი (1) აქტიური რეაქციის უნარიანი ცენტრების სახით მოიცავს ამინოდა ჰეტეროციკლურ ლაქტამურ NH-ჯგუფებს. გარდა ამისა, სპეციფიკურ პირობებში შესაძლებელია ელექტროფილური ჩანაცვლების განხორციელება 6-მდებარეობაშიც. ჩვენ ადრეულ შრომებში დადგენილია, რომ ჩვეულებრივ პირობებში ელექტროფილური შეტევა ძირითადად ხორციელდება პირველად ამინოჯგუფზე [11]. პრაქტიკულად ანალოგიური მიდგომით პ. ოლივერიასა და მ. გვარდენის მიერ მეთოლმეთაპრილატით 1,3-დიიზოპროპილკარბოდიმიდისა და N-მეთოლმორფოლინის თანაობისას აზოტის ატმოსფეროში 9-ამინოკარიდინიდან სინთეზირებულ იქნა აკრიდინ-9-N-მეთაკარილაიდი [12]. ამდენად, ჩვენ მიერ განხორციელებულ სინთეზშიც მოსალოდნელი იყო რეაქციის პირველ საფეხურზე წარმოქნილიყო 1-ამინოანთრაპირიდონის (1) აცილირების პროდუქტი ანთრაპირიდონ-1-N-მეთაკრილამიდი (3). მორგაგირე კომპონენტების 1:20 მოლური თანაფარდობით აღების შემთხვევაში რეაქციის ძირითადი პროდუქტი 4a სარეაქციო სისტემიდან გამოიღება 37 სო-ს შემდეგ წითელი კრისტალური მასის სახით, რომლის ლლობის ტემპერატურა ეთანოლში გადაკრისტალების შემდეგ 80-82 °C-ია. პარალელური ექსპერიმენტების ჩატარებისას შეინიშნებოდა, რომ აცილირების რეაქციის პროდუქტის გვარობა დამოკიდებული იყო მორევაგირე კომპონენტების მოლურ თანაფარდობაზე. კერძოდ, რეაქციის იმავე პირობებში ჩატარებისას მორევაგირე კომპონენტების 1:30 მოლური თანაფარდობის პირობებში მიღებულ პროდუქტს 4b ჰქონდა

ნარინჯისფერი შეფერილობა, ხოლო ლლობის ტემპერატურა – 107-110 °C იყო.


აქედან გამომდინარე, ნათელი გახდა, რომ აცილირების რეაქციის პროდუქტი არ შეიძლება ყოფილიყო აცილწარმოებული 3. სხვადასხვა პირობებში მიღებული პროდუქტების შესწავლამ თხელფენოვანი ქრომატოგრაფიული, უი და იწ საქეტრომეტრული მეთოდებით დაადასტურა ჩვენი მოსაზრება. კერძოდ, თხელფენოვანი ქრომატოგრაფიული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ორივე რეაქციის პროდუქტი ძირითადად ერთი კომპონენტისაგან შედგებოდა, თუმცა 4a-ს 4b-თან შედარებით, უფრო დიდი R_F-ის მნიშვნელობა ჰქონდა (0.385 და 0.305 შესაბამისად). თვით ის ფაქტიც, რომ 4a-სა და 4b-ს განსხვავებული ლლობის ტემპერატურები აქვს და ამასთან, 4a-ს ლლობის ტემპარატურა უფრო დაბალია (80-82 °C), ვიდრე ნაერთის 4b (107-110 °C), მიუთითებს, რომ ადგილი აქვს სხვადასხვა მოლებულური მასის მქონე ნაერთების წარმოქმნას. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოითქვას თამამი ვარაუდი, რომ ზემოაღნიშნულ რეაქციის პირობებში ადგილი აქვს აცილირება-პოლიმერიზაციის ერთდროულ მიმდინარეობას. აცილწარმო 3 წარმოქნება მხოლოდ შეაღებული პროდუქტის სახით, რომელიც რეაქციის პირობების მიმართ საკმაოდ გრძელიბიარეა და ადგილად განიცდის შემდგომ გარდაქმნას პოლიმერულ ნაერთში. მიზეზი, თუ უშეაღლოდ რა განაპირობებს პოლიმერიზაციის რეაქციის ინიციირებას, ამ ეტაპზე დადგენილი არ არის დაიგი ჩვენი შემდგომი კვლევის საგანია.

მიღებული პროდუქტების 4a და 4b-ს უი საქეტრომეტრული შესწავლა აჩვენებს, რომ ორივე

ნაერთს პრაქტიკულად ერთნაირი შთანთქმის სპექტრი აქვს. შთანთქმის ტალღის სიგრძისა და შთანთქმის ინტენსიურობის მნიშვნელობები ცდომილების ზღვრების გათვალისწინებით პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს (ნახ. 1 და 2). იგი შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, ხოლულ უბანში შთანთქმაზე პასუხისმგებელია მხოლოდ 1-ამინოანთრაპირიდონის მოლეკულური ფრაგმენტი. პოლი(მეთილმეთაკრილატი), მოიცავს რა მხოლოდ ჯერად ბმებს, ხილულ უბანში არ ექნება შთანთქმის მაქსიმუმები. ამდენად, ორივე ნაერთის უ-სპექტრები ერთმანეთს ემთხვევა. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ **4a** და **4b**-ში


შთანთმის ზოლები პიპერექტომულადაა წანაცვლებული 1-ამინოანთრაპირიდონის (1) შთანთქმის ზოლებთან შედარებით, განკირობებულია პირველადი ამინოჯგუფის აცილირებით (NH_2 ჯგუფი უფრო ძლიერი ელექტრონოდონორია, ვიდრე RCONH_2).

საკმაოდ დიდი მსგავსება შეინიშნება **4a** და **4b**-ს იუ-სპექტრებზეც, რომლებიც მოიცავს როგორც 1-ამინოანთრაპირიდონზე, ისე პოლი(მეთილმეთაკრილატზე) შემავალი ფუნქციური ჯგუფებისათვის დამახასიათებელ შთანთქმის ზოლებს (ნახ. 3).




ნახ. 1. **4a**-ს ელექტრონული შთანთქმის სპექტრი დიმეთილფორმაზიდში

მაჩინერი ჰუნტერულ-
გი, მარალიანი



ნახ. 2. **4b**-ს ელექტრონული შთანთქმის სპექტრი დიმეთილფორმაზიდში



ნახ. 2. 4a-ს ირ-სპექტრი (KBr-ის აბი)

ღებვა

პოლი(მეთილმეთაკრილატზე) იმობილზებული სადებრები 4a და 4b გამოყენებულ იქნა პოლიეტერული და პოლიამიდური (ნაილონი) ბოჭკოები.

ღებვისათვის გამოყენებულ იქნა ღებვის დისპერსული მეთოდი. სამღებრო აბაზანის შედგენილობა მოდულით 50 მოცემულია ცხრილში (ცხრილი 1).

ცხრილი 1. სამღებრო აბაზანის შედგენილობა დისპერსული ღებვისათვის

კომპონენტი	% ნიმუშის წონიდან
სადებარი	1
დისპერგატორი HF	2
აცეტონი	1

ღებვას წინ უსწრებდა ბოჭკოების სპეციალური დამუშავება – გაუცხიმოება და აქტივაცია, რისთვისაც შესაღებად გამზადებული 1 გ მასის ქსოვილი თავსდება 50 მლ წელში, რომელიც შეიცავდა საფეიქრო საპონს OPI-10 3% რაოდენობით და დუღდა 10-15 წთ-ის განმავლობაში. შემდეგ სინჯი ირცხებოდა ჯერ თბილი წყლით, შემდეგ ცივით რამდენიმეჯერ და იწურებოდა მინის წყირით ჭიქის კედვლზე ამგვარად მომზადებული ბოჭკო თავსდებოდა სამღებრო აბაზანაში (შედგენილობა იხ. ცხრილი 1) 30-40 °C-ზე და ყოვნდებოდა 30 წთ-ს. შემდეგ სამღებრო აბაზანა ცხელდებოდა 80 °C-მდე და ღებვა მიმდინარეობდა 1 სთ-ის განმავლობაში. სამღებრო აბაზანა ოთახის ტემპერატურამდე ცივდებოდა თავისით და შედგილი ნიმუში ირ-

ეცხებოდა ჯერ 40 °C-იანი წყლით, შემდეგ ცივი წყლით რამდენიმეჯერ.

სადებრის ღებვითი უნარის შემოწმების მიზნით შედგებილი ნიმუში თავსდება თეთრ ფონზე გაშლილი სახით კარგი განათების პირობებში და აკვირდებიან შეფერილობის თანაბარ განაწილებას. როგორც წესი, გამოცდილი სადებრები ხასიათდება კარგი ღებვითი უნარით და ყველა შეფერილ ნიმუშში შეფერილობის განაწილება თანაბარია.

სადებრების ამოკრების უნარს ამოწმებენ ფოტოკოლორიმეტრიული მეთოდით, რისთვისაც იყენებენ ფოტოკოლორიმეტრს ΦΕΚ-56М ან სპექტროფოტომეტრს СФ-26. ღებვის პროცესის დამთავრების შემდეგ სამღებრო აბაზანაში ფოტომეტრიულად საზღვრავენ თპტიკურ სიმკრივეს და დარჩენილი სადებრის რაოდენობას ანგარიშობენ წინასწარ აგებული საკალიბრო მრუდების საშუალებით. საბოლოოდ კონცენტრაციების სხვაობით გამოითვლება ბოჭკოზე გადასული სადებრის %-ული რაოდენობა. როგორც წესი, გამოცდილი სადებრების ამოკრების უნარი ვარირებდა 60-64%-ის ფარგლებში.

შედებილი ნიმუშების შექმედებობის შემოწმებისათვის თოთოული შედებილი ნიმუში იჭრებოდა სამ ტოლ ნაწილად, ზომებით 20×25 მმ. ერთი ნაჭერი ინახებოდა სიბნელეში, ხოლო ორი მათგანი თავსდებოდა 4 სთ-ის განმავლობაში ულტრაიისფერი დასხივების პირობებში სპეციალურ აპარატში „КФ-4М“. დასხივების შეწყვეტის შემდეგ დასხივებული და დაუსხივებული სინჯები თავსდებოდა თეთრ ფონზე ერთმანეთის გვერდით მონაცვლეობით (დასხივებული-დაუსხივებელი-დასხივებული) და ვიზუალურად მოწმდებოდა გაუფერულების ხარისხი. შეფასება

წარმოებდა 8-ბალიანი სისტემით სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით [13].

შეღებილი ნიმუშები აგრეთვე გამოიცადა სხვადასხვა მეთოდით სეველი დამუშავების მიმართ (ტუტე, მჟავა, ოფლი, საპონი, ორგანული

გამსხველები) [14, 15]. მათი ტექნიკური შეფასება ასევე 8-ბალიანი სისტემით განხორციელდა. მიღებული შედეგები მოყვანილია ცხრილში (ცხრილი 2) და აქმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 2. შეღებილი პოლიეთერული და პოლიამიდური (ნაილონი) ბოჭკოვების მდგრადობა სინათლისა და ფიზიკურ-ქიმიური ზემოქმედების მიმართ

№	საღუბარი	ბოჭკო	შეღებილ ნიმუშთა		მდგრადობა ფიზიკურ-ქიმიური ზემოქმედების მიმართ				
			სინათლე	უთო	მჟავა	ტუტე	ოფლი	საპონი	ორგანული გამსხველები
1	4ა	პოლიეთერი	7	6	4	3	5	5	5
2	4ბ	პოლიეთერი	7	6	5	4	6	6	6
3	4ა	პოლამიდი	6	5	5	4	6	6	6
4	4ბ	პოლამიდი	6	7	6	3	6	5	6

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ დებგაში გამოყენებული ყველა საღებარი ხასიათდებოდა ფლუორესცენციის უნარით, შეღებილი ბოჭკოები არც მშრალ და არც სეველ მდგომარეობაში აღარ ლუმინესცენციურებენ. ეს, თავის მხრივ, მიუთითებს, რომ აღნიშნულ საღებრებს აქვს ბოჭკოზე შეკავების დიდი უნარი. ისინი ბოჭკოს მაკრომოლეგაულებთან იმდენად ახლოს განთასვდებიან, რომ მათ შორის ადგილი აქვს ურთიერთებულებებს (აქტივაციის ენერგიის გადატანა აგზნებული მდგომარეობიდან და სხვ.), რაც ფლუორესცენციის ჩახშობას იწვევს.

ექსპერიმენტული ნაწილი

ექსპერიმენტში გამოყენებული რეაგენტები კომერციული იყო. მათი გასუფთავება განხორციელდა გადაკრისტალებისა და გამოხდის საშუალებით. სპექტრების ჩაწერისას გამოყენებული გამსხველები აქმაყოფილებდა სისუფთავის კვალიფიკაციას “სპექტროსკოპიისათვის”. იუ-სპექტრები ჩაწერილ იქნა 4000-400 სმ⁻¹ დო-აპარატით სპექტრომეტრზე Thermo Nicolet KBr-ის აქების სახით, ხოლო უი-სპექტრები CΦ-26 სპექტროფოტომეტრზე. ტალღის სიგრძეები მოცემულია ნმ-ში. ლლობის ტემპერატურები განსაზღვრულია Electrothermal - 9100 აპარატის საშუალებით. მეთილმეთაკრილმჟავას ქლორანაპიდრიდი მიღებულია შესაბამისი მჟავასა და ბენზო-ლქლორორიდის ურთიერთებულებით ლიტერატურაში აღწერილი მეთოდის მიხედვით [16].

პოლი(მეთილმეთაკრილატის) სარჩულზე იმობილიზებული საღებრების სინთეზი (ზოგადი მეთოდიკა)

150 მლ მოცულობის მრგვალირა კოლბაში, რომელიც აღჭურვილია უკუმაციერითა და საწვეთი მაბრით, ათავსებენ 1-ამინოანთრაპირიდონს (1) და 30 მლ ბენზოლს. სარეაქციო სისტემას აცხელებენ წყლის აბაზანაზე სისტემის დუღი-

ლის ტემპერატურაზე ხშირი შენჯლრევის პირ-პირებში. სარეაქციო ნარევის ადუდების შემდეგ საწვეთი ძაბრის საშუალებით ამატებენ ახლად სინოზირებულ მეთილმეთაკრილმჟავას ქლორანაპიდრიდს. სარეაქციო მასა მოყვითალონარინჯისფერიდან ნელ-ნელა გადადის მოწითალო-ნარინჯისფერში. სარეაქციო სისტემას აცხელებენ 37 სთ-ის განმავლობაში HCl-ის გამოყოფის შეწყვებამდე, აცივებენ და აყოვნებენ მეორე დღემდე. გამოყოფილ კრისტალებს ფილტრავენ, რეცხავენ მცირე რაოდენობის ბენზოლით და აშრობენ ოთახის ტემპერატურაზე. გადაკრისტალებენ ეთანოლში.

4a: მიღებულია 4 მმოლი 1-ამინოანთრაპირიდონისა და 80 მმოლი მეთილმეთაკრილმჟავას ქლორანაპიდრიდის ურთიერთებულებით. გამოსავლიანობა 78-80%. ლლობის ტემპერატურა 80-82°C. R_F 0.385 (ტოლუოლი:ეთანოლი 6:1). **უი-სპექტრი(ნმ):** 273, 407, 511, 588.

4b: მიღებულია 4 მმოლი 1-ამინოანთრაპირიდონისა და 120 მმოლი მეთილმეთაკრილმჟავას ქლორანაპიდრიდის ურთიერთებულებით. გამოსავლიანობა 80-82%. ლლობის ტემპერატურა 107-110 °C. R_F 0.305 (ტოლუოლი:ეთანოლი 6:1). **უი-სპექტრი (ნმ):** 273, 407, 511, 588.

დეგვა (ზოგადი მეთოდიკა)

დეგვას აწარმოებენ 20 წთ-ის განმავლობაში 30 °C-ზე და 1 სთ-ის განმავლობაში მდგრად აბაზანაში. დეგვის დამთავრების შემდეგ ნიმუშს სამღებრო აბაზანაში აყოვნებენ 15-25 წთ, შედეგ რეცხავენ თბილი (30 °C) და ცივი წყლით. ნიმუშს აშრობენ პაერზე ოთახის ტემპერატურაზე.

შეღებილი ნიმუშების გამოცდა საპის სსნარით დამუშავების მიმართ

წინასწარ ამზადებენ ნიმუშის გამოსაცდელ აბაზანას, რომელიც შეღება ნიმუშის წონის მიხედვით 5% საპისა და 2% ნატრიუმის კარბონატისაგან. მექანიკური სარეგელით აღჭურ-

ვილ აბაზანაში ათავსებენ გამოსაცდელ ნიმუშს. 30-40 წთ-ის განმავლობაში აყოვნებენ 40-50 °C-ზე და ყოველი 5 წთ-ის ინტერვალში ურევნ 2-3 წთ-ს. დამუშავების დამთავრების შემდეგ ნიმუშს რეცხვენ ციფრ დისტილირებული წყლით 2-ჯერ, შემდეგ გამდინარე წყალში 10 წთ-ის განმავლობაში და წურავენ. ნიმუშს აშრობენ პაერზე ოთახის ტემპერატურაზე.

შეღებილი ნიმუშების გამოცდა მუსას სსნარით დამუშავებაზე

შეღებილ ნიმუშზე მინის პიპეტით აწვეთებენ 5%-იანი HCl, H₂SO₄, CH₃COOH-ის წვეთს და ქდენთავენ 20 მმ დიამეტრზე პიპეტის მოძრაობით. დამუშავების შემდეგ ნიმუშს აშრობენ პარზე. Na₂CO₃-ის ნალექს აშორებენ მშრალად, ჯაგრისის საშუალებით.

შეღებილი ნიმუშების გამოცდა ტუტის სსნარით დამუშავებაზე

შეღებილ ნიმუშზე მინის პიპეტით აწვეთებენ 5%-იანი, Na₂CO₃-ის წვეთს და ქდენთავენ 20 მმ დიამეტრზე პიპეტის მოძრაობით. დამუშავების შემდეგ ნიმუშს აშრობენ პარზე. Na₂CO₃-ის ნალექს აშორებენ მშრალად, ჯაგრისის საშუალებით.

შეღებილი ნიმუშების გამოცდა „ოფლიო“ დამუშავებაზე

ნიმუშს ათავსებენ ჭიქაში, რომელიც შედგება Na₂HPO₄, NaH₂PO₄, NaCl-სა და NH₄OH-ის წყალსსნარებისაგან და აყოვნებენ 30 წთ-ს. დამუშავების შემდეგ ნიმუშს წურავენ და აშრობენ პაერზე.

შეღებილი ნიმუშების გამოცდა ორგანული გამსნელების დამუშავებაზე.

ნიმუშს ათავსებენ ჭიქაში, რომელშიც მოთავსებულია ორგანული გამსნელი (ეთანოლი, DMF, დიოქსანი) და აყოვნებენ 30 წთ-ს. ურევნ ყოველ 20 წთ-ში. დამუშავების შემდეგ ნიმუშს წურავენ და აშრობენ პაერზე.

3. დასკვნა

1-ამინოანთრაპირიდონის ურთიერთქმედება მეთოლმეთაკრილმჟავას ქლორანდიდრიდოთას ბენზოლის არეში სარეაქციო სისტემის დუღილის ტემპერატურაზე 37 სთ-ის განმავლობაში შეალედური პროდუქტის სახით მიიღვა 1-მეთოლმეთაკრილამინონაწარმი 3, რომელიც განიცდის თავისთავად პოლიმერიზაციას და გარდაიქმნება შესამაბის პოლიმერში. 1-ამინოანთრაპირიდონის პოლი(მეთოლმეთაკრილატის) სარჩულზე იმობილიზაციით იზრდება სადებრის ამოკრების უნარი პოლიეთერულ და პოლიამიდურ ბოჭკოებზე. მიღებული დამტობილი სადებრებით შესაძლებელია განხორციელდეს პოლიეთერული და პოლიამიდური ბოჭკოების დისპერსიული დეგვა. შეღებილი ნიმუშები ხასიათდება სხვადასხვა ტონალობის ნარინჯისფერი-

წითელი შეფერილობით და აკმაყოფილებს სტანდარტით წაყენებულ მოთხოვნებს.

ლიტერატურა

- Maradiya H. R., Patel V. S. Synthesis and dyeing performance of some novel heterocyclic azo disperse dyes. *Journal Brazilian Chemical Society*, 2001, 12, 6, 710-714.
- Raposo M. M. M., Ferreira A. M. F. P., Belsley M., Moura J. C.V.P. 5'-Alkoxy-2,2'-bithiophene azo dyes: a novel promising series of NLO-chromophores. *Tetrahedron*, 2008, 64, 25, 5878-5884.
- Yagi Sh., Ohta T., Akagia N., Nakazumi H. The synthesis and optical properties of bis-squarylium dyes bearing arene and thiophene spacers. *Dyes and Pigments*. 2008, 77, 3, 525-536.
- Wingard R.E., Swanson S.A. Tertiary amides as solvents in anthrapyridone synthesis. US Pat. No. 4386206. 31.05.1983. Appl.No. 306783. Filed 29.09.1981.
- Nakamatsu T., Suzuki Y. Anthrapyridone compounds, their production process and their use. US Pat. No. 5367075. 22.11.1994. Appl.No. 167443. Filed 14.12.1993.
- Simon M.S., Rojers H.B. Synthesis of anthrapyridone compounds. *J. Org. Chem.*, 1961, 26, 11, p. 4352-4359.
- Matsumoto H., Murakami Y., Ioshiola J., Shirasaki Y., Fujii K. Anthrapyridone compound, aqueous magenta ink compositions and ink-jet recording method. US. Pat. No. 6648952 B1. 18.11.2003. Appl. No. 10/018,613. Filed 28.08.2000.
- Matsumoto H., Murakami Y., Shirasaki Y., Fujii K., Taipei T. Anthrapyridone compound, aqueous magenta ink composition, and method of ink-jet recording. US. Pat. No. 6471760, 29.10.2002, Appl. No. 646635. Filed 20.09.2000.
- Matsumoto H., Fujii T., Shirasaki Y., Kitayama H. Anthrapyridone compounds, water-based magenta ink compositions, and method of ink-jet printing. US. Pat. No. 6645283. 11.11.2003, Appl. No. 786564. Filed 7.03.2001.
- ელიზაბერ გვირაბეგი, გ. ლაგვიავავა ი., ჭირაქაძე გ. ფლუორესცენციური საღებრების სინთეზი ფაზათმორისი კატალიზის პირობებში. საქ. მეცნ. აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2003, 29, 1-2, გვ. 35-38.
- Элизбарашвили Э.Н., Лагвиава И.В., Самсония Ш.А. Новый способ N-алкилирования пиридинового кольца. Химия гетероциклических соединений, 2005, 12, 1868-1869.
- De Oliveira H. P. M., Gehlen M.H. Time resolved fluorescence anisotropy of basic fyes bound to poly(methacrylic acid) in solution. *Journal Brazilian Chemical Society*, 2003, 14, 5, 738-747.

13. ГОСТ 9733.3-83. Методы испытания устойчивости окрасок к свету в условиях искусственного освещения.
14. ГОСТ 97333-83. Методы испытания устойчивости окрасок к физико-химическим воздействиям.
15. ГОСТ 25993-83. Красители дисперсные. Методы испытания.
16. Вейганд-Хилгетаг. Методы эксперимента в органической химии. М.: Химия, 1968.-237 с.

UDC 667.212:677.842

NEW TYPE ANTRAPYRIDONE DYES FOR POLYESTER AND POLYAMIDE FIBRES**I. Lagvilava, D. Bibileishvili, L. Datukishvili, E. Elizbarashvili***

Department of chemical and biological technology, Technical University of Georgia, 77 Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: Anthrapyridone compounds have good spectral properties characterized for dyes. In spite of this, they could not find application in textile industry for dyeing neither natural nor synthetic fibres because of low affinity. There are only a few patents describing derivatives of anthrapyridenes, which are usable for dyeing textiles. In the current paper for the aim of increasing dye uptake property of 1-aminoanthrapyridone, the last one has been immobilized on the surface of poly(methylmethacrylate) polymer. Namely, treatment of 1-aminoanthrapyridone with methylmethacrylate chloride in benzene media at reflux temperature for a period of 37 hours forms 1-methylmethacrylamino derivative, which undergoes rapid conversion into the polymer. Obtained polymer immobilized -1-aminoanthrapyridone has excellent dye uptake property on polyamide and polyester fibres. They may be used for disperse dyeing in orange-red colors of various hues. The dyed fibres are characterized with good technical properties and are in agreement with standards.

Key words: anthrapyridone; dye; dyeing; polyamide; polyester.

УДК 667.212:677.842

АНТРАПИРИДОНОВЫЕ КРАСИТЕЛИ НОВОГО ТИПА ДЛЯ ПОЛИЭФИРНЫХ И ПОЛИАМИДНЫХ ВОЛОКОН**Лагвилава И.В., Бибилиешвили Д.В., Датукишвили Л.А., Элизбарашвили Э.Н.**

Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: Для антрапиридановых соединений характерны спектральные свойства красителей, но несмотря на это, они так и не нашли применения в текстильной промышленности из-за несходства как с природными, так и с искусственными и синтетическими волокнами. В патентной литературе известны только некоторые труды, в которых описаны антрапиридановые производные, способные окрашивать волокна. Для увеличения выборочной способности красителя осуществлена иммобилизация 1-аминоантрапиридана на полимерной матрице. В частности, взаимодействием хлорангидрида метакриловой кислоты с 1-аминоантрапириданом в среде бензола, при нагревании реакционной смеси до температуры кипения в течение 37 часов, получается промежуточный продукт в виде метилметакриламинопроизводного антрапиридана, который подвергается самопроизвольной полимеризации и превращается в соответствующий полимер. При иммобилизации 1-аминоантрапиридана на основе поли(метилметакрилата) возрастает выборочная способность красителя на полиэфирных и полиамидных волокнах. Полученными иммобилизованными красителями можно осуществить дисперсионное крашение полиэфирных и полиамидных волокон. Окрашенные образцы характеризуются разными красно-оранжевыми оттенками и удовлетворяют требованиям стандарта.

Ключевые слова: антрапиридан; красители; крашение; полиэфир; полиамид.

ზემოხელი თარიღი 11.09.2008
მიღებულია დასაბუღადი 11.09.2008

მუშაობის ფარგლენი
სტუდენტთა კონფერენციის გამოცემა

უპ 66.098

ფუძემდებული გენერაციულ და [ბ] ანელირებული თიოზენემცელი

კონდენსირებული სისტემა მოსალოდნელი ანტიტუპერაზური

და ანტიცირუსული აქტივობით

ნ. გახოვიძე, მ. მაისურაძე*, თ. ხოშტარია

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: m-maisuradze@mail.ru

რეზიუმე: ტუბერკულოზისა და ვირუსული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. აღნიშნული დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენ მიერ შემოთავაზებულია ტეტრაციკლური სისტემები ბენზოთიოფენისა და ბენზიმიდაზოლის ბაზაზე. არჩევანი განპირობებულია აღნიშნული ჰეტეროციკლური სისტემების მაღალი ბიოლოგიური აქტიურობით. სამუშაოს მიზანი იყო დიბენზოთიოფენის 1,2- 2,3- და 3,4 დიამინების მიღება, რომელსაც ცნობილი მეთოდიკების მიხედვით ვახორციელებდით საწყისი მონოამინების აცილირებით/ბენზოილირებით, შემდგომი ნიტრირებით, ალდგენით ამინამდე და დაცვითი ჯგუფის მოხსნით. შემდგომ ფილიპსის კლასიკური და ჩვენ მიერ მოდიფიცირებული რეაქციების გამოყენებით ვახდენდით ციკლიზაციას შესაბამისი ბენზო[გ]თიოფენბენზიმიდაზოლების მიღებამდე. კვლევების შედეგად მიღებულია სამი ახალი ტეტრაციკლური კონდენსირებული სისტემა, რომელებიც გამოყენებული იქნება შემდგომ კვლევებში მოსალოდნელი ბიოლოგიური აქტიურობის მქონე მრავალრიცხოვანი წარმოებულის მისაღებად.

საკვანო სიტყვები: ბენზიმიდაზოლი; ბენზოთიოფენი.

1. შესავალი

ტუბერკულოზით დაავადებისას სულ უფრო მზარდი რეზისტენტობა (გამდლენბა) სამკურნალო საშუალებების მიმართ, უდავოდ ქმნის პირობას ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პრეპარატების შექმნის აუცილებლობისათვის.

მზარდი მოთხოვნილებაა ახალი ანტიფირუსული საშუალებების მიმართაც, განსაპუთრებით კი გრიპის პანდემიის განმეორების შემთხვევაში.


ჩატარებული კვლევების შედეგად ჩვენ დავასაბუთეთ, რომ ერთ მოლეკულაში ორი ფარმაკოლოგიური აქტიურობის მქონე ბიციკლური სისტემის შერწყმა, ხშირად ზრდის ახლად წარმოქმნილი მოლებულის ბიოლოგიურ აქტიურობას.

ამჟამინდელ კვლევაში ძირითად ბიციკლურ სისტემად მიღებულია ბენზიმიდაზოლი. მეორე


ბიციკლურ სისტემად ჩვენ მიერ შერჩეული იყო ბენზოთიოფენი.

იმიდაზოლის ქიმია ფარმაკოლოგებისა და ქიმიკოსების უკრადღების ცენტრში მოექცა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ეს საკმაოდ მარტივი ციკლური სისტემა, განსაკუთრებით კი მისი წარმოებულები, გასაოცრად მრავალფეროვანი ფიზიოლოგიური აქტიურობით ხასიათდება.

იმიდაზოლის წარმოებულებს შორის აღსანიშნავია ანტიბიოტიკი აზომიცინი (2-ნიტრო-იმიდაზოლი) და ამინება – იზოპისტიდინი.



4,5-დიმეთილიმიდაზოლი, იმიდაზოლ-4-ალდეჟიდი, 4-ქლორიმიდაზოლი, 4-ამინომეთილიმიდაზოლი და N-ჩანაცვლებული 4-ამინომეთილიმიდაზოლები იწვევენ სისხლძარღვების შევიწროვას და სისხლის წნევის აწევას.




ზემოთ მოყვანილი აღნაგობის იმიდაზოლები ხასიათდება მაღარიის საწინააღმდეგო თვისებით (როდესაც R=H და R არის 11-დან 14-მდე ნახშირბადატომთა ჯგუფის შემცველი ალკილური და ჯგუფები).

1-დეცილ-2-მეთილიმიდაზოლი მიეკუთვნება ადგილობრივ ანესტეზიურ საშუალებებს.


თოთ- და 4-ამინომეთილიმიდაზოლი ხასიათდება ინსულინის მსგავსი ქმედებით და წარმატებით გამოიყენება დიაბეტით დაავადებისას.

ჰისტამინი – 4(5)-(β-ამინომეთილ) იმიდაზოლი, აღნიშნული კლასის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ჰისტამინი მესკულატურის მასტიმულირებელი საშუალებაა და მნიშვნელოვნად მოქმედებს ძუძუმწოვართა სისხლის მიმოქცევაზე.



ჰისტამინი კუჭის მუშაობის მასტიმულირებელი საშუალებაა და ხელს უწყობს შაქრის მომატებას სისხლში.

ჰისტიდინი ერთ-ერთი ბუნებრივი წარმოშობის ამინმჟავაა.




იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ალანინის წარმოებული.

XX საუკუნის 50-იან წლებში დადგინდა, რომ პურინები არ არის ის ერთადერთი იმიდაზოლუმცველი კონდენსირებული სისტემები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასიცოცხლო პროცესების წარმართვაში. გაირკვა, რომ კიტამინ ც12-ის სტრუქტურა, ფრაგმენტის სახით შეიცავს 5,6-დიმეთილბენზიმიდაზოლს.

ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად გააღმრმავა ინტერესი ბენზიმიდაზოლის და, კერძოდ, არიმიდაზოლების მიმართ. ბენზიმიდაზოლი ამჟერუკებებს ზოგი სახის სოკოსა და ბაქტერიის ზრდას. არის მონაცემები, რომ ბენზიმიდაზოლის ნაწარმი აფერხებს ვირუსის გამრავლებას ქსოვილებში. ალკილჩანაცვლებული ბენზიმიდაზოლები ინაბირებას უწევს გრიპის ვირუსის გამრავლებას (შეამო ლ).

გარდა აღნიშნული თვისებებისა, აღსანიშნავია ბენზიმიდაზოლის ანალგეტიკური აქტიურობა, რასაც განაპირობებს ალკილური ჩამნაცვლებლის სიგრძე და მათი ბუნება.



ბენზო[ბ]თიოფენბენზიმიდაზოლი, გარდა იმისა, რომ თვითონ არის ახალი ჰეტეროციკლური სისტემა, არის საწყისი ნივთიერება მოსალოდნელი ბიოლოგიური აქტიურობის მქონე მრავალრიცხოვანი წარმოებულის მისაღებად. კვლევის შემდგომი ეტაპია მოსალოდნელი ბიოლოგიური აქტიურობის მქონე იზომერული ბენზო[ბ] თიოფენბენზიმიდაზოლების მრავალრიცხოვანი წარმოებულის მიღება.

ჩვენს ლაბორატორიაში მიღებულ ნაერთებს აღმოაჩნდა მაღალი ანტიბაქტერიული, სიმსივნის საწინააღმდევო, სისხლძარღვთა გამაფართოებული, სპაზმური, ნეიროტროპული და მრავალი სხვა აქტიურობა. აღმოჩენილია აგრეთვე მაღალი ტუბერკულოსტატიკური აქტიურობის მქონე ნაერთები.


ჩატარებული კვლევის შედეგებმა ნათლად გვიჩვენა, რომ ჩვენ მიერ სინთეზირებულ ტეტრა-ციკლურ სისტემებს ახასიათებს მაღალი ფარმაკოლოგიური აქტიურობა, რაც ახალი თაობის სამკურალო საშუალების შექმნის წინამორბედად უნდა ჩაითვალოს.

რამდენიმე წლის წინ ჩვენ დავიწყეთ თანამშრომლობა ამერიკელ კოლეგებთან, რომლებმაც ფარმაკოლოგიურად შეისწავლეს ჩვენს ლაბორატორიაში მიღებული დაბალოებით ორმოცდათი ნაერთი. მათგან მრავალს, ცდებში *in vitro* აღმოაჩნდა მაღალი ტუბერკულოსტატიკური აქტიურობა შტამ *Mycobacterium tuberculosis* H37Rv-ის და მეტნაკლებად მაღალი ანტივირუსული აქტიურობა შტამების (IVA (H1N1), IVA (H3N2) და IVB) მიმართ.

2. ძირითადი ნაწილი

წინამდებარე კვლევის ჩასატარებლად ჩვენ წინაშე გადასაჭრელად რამდენიმე ამოცანა დადგა:


1-ლი ამოცანა იყო ფუძემდებლური იზომერული 1H-ბენზო(ბ)-თიოფენ-ბენზიმიდაზოლების მიღება. ამოცანა მოიცავს დიბენზოთიოფენის 1,2-, 2,3- და 3,4-დიამინების მიღებას და მათ გამოყენებას საწყის ნივთიერებად ციკლიზაციის გავლით იზომერული ბენზო[ბ]თიოფენბენზიმიდაზოლების მისაღებად.



სადაც $R_1 = NH_2, CH_3, C_2H_5, C_3H_7, C_6H_5, CH_2C_6H_5$ და $a.S. R_2 = CH_3, CH_2CH_3, C_6H_5, CH_2C_6H_5, C_6H_4Cl, C_6H_4NH_2, C_6H_4OH, CH_2Cl, CF_3$ და ა.შ.

მიღებული წარმოებულების ბიოლოგიურ კვლევას ახორციელებს ამერიკელი პარტნიორი – სამსრეთი კლევითი ინსტიტუტი – ბიომინექმი. შესაბამისი აქტიურობის აღმოჩენის შემთხვევაში ბიოლოგიური კვლევის შემდგომი ეტაპი განხორციელდება. წინასწარი მონაცემებით ჩვენ მიერ გაგზავნილი ნაერთებიდან ათხე მეტმა გამოიჩინა მაღალი ბიოლოგიური აქტიურობა.

ზემოხამოთკლილი კვლევების ჩასატარებლად საჭიროა დიბენზოთოფენის კველა მდგომარეობის დიამინის მიღება.



ყოველ სტადიაზე რეაქციები მიმდინარეობს საკმაოდ მაღალი გამოსავლით, მიღებული ნაერთები დახასიათებულია კვლევის თანამედროვე მეთოდების მიხედვით.


მიღებული იზომერული დიამინების კონდენსაციით ჰიანქველმჟავასთან მარილმჟავას კატალიზური რაოდენობის თანაობისას ფილიპსის მედიცინირებული კლასიკური რეაქციის პირობებში მიღებულ იქნა ჩაუნაცვლებელი ბენზო[გ]-თიოფენბენზიმიდაზოლის სამი იზომერი. მოსალოდნებლი ბიოლოგიური აქტიურობის მქონე წარმოებულები მიიღება როგორც ჩაუნაცვლებელი ბენზიმიდაზოლებიდან, ისე დიამინებიდან მათი კონდენსაციის დროს სხვადასხვა აგენტთან.

ექსპერიმენტული ნაწილი. რეაქციის მსვლელობასა და სინთეზირებული ნაერთების სისუფთავეს გაკონტროლებდით თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით Silufol-254 ფირფიტებზე სილიკაგელის დაფიქსირებული შრით. ინფრაწილები (იწ) სპექტრები გადაღებულ იქნა UR-20 ხელსაწყობზე NaCl და LiF პრიზმებით (ვაზელინის ზეთში). **ბმრ-** სპექტრები კი – ხელსაწყობზე Bruker VP-200 SY (200MHz), შინაგანი სტანდარტი TMC. 1,2-2,3- 3,4- დიამინებს ვიდებდით [1-4] მეთოდიკის მიხედვით.

1H-ბენზო[ბ]ფურო[3,2-ე]ბენზიმიდაზოლი

1 გრამ (4,45 მმოლი) 1,2-დიამინოდიბენზოთოფენის, 4,5მლ ჰიანქველმჟავას და 2მლ კონცენტრირებულ მარილმჟავას ვათავსებდით სამყელა კოლბაში, უპუმაცივართან ერთად ვაღუდებდით 1,5-2 საათის განმავლობაში. ვაზავებდით 10 მლ წყლით, ვუმატებდით 1გ გააქტიურებულ ნახშირს და კვლავ ვაღუდებდით 15 წუთის განმავლობაში. ნახშირს ვფილტრავდით, ფილტრატს ფრთხილად ვატუტიანებდით მორევისა და გაცვების პირობებში განზავებული ამიაკით, ამიაკის სუსტი სუნის გაჩენამდე. გამოლექილ კრისტალებს ვფილტრავდით და ვრეცხავდით ცივი წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე. გამოსავალი ბენზოლიდან გადაკრისტალების შემდეგ 60%-ია; ლდობის ტემპერატურა - 220-222°C;

შემცირებული მიიღება შესაბამისი მონოამინების, რომლებიც, თავის მხრივ, დიბენზოთოფენის ნიტრირებით და აღდგენით მიიღება, თანამიმდევრული აცილირებით ან ბენზოთილირებით, ნიტრირებით, აცილის/ბენზოის ჯგუფის მოხსნით და მიღებული ნიტროამინის აღდგენით შესაბამის დიამინამდე ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით, სადაც X=S.



ნულოვანი წყლით და ვაშრობდით 100-110°C გრადუს ტემპერატურაზე. გამოსავალი ბენზოლიდან გადაკრისტალების შემდგებ 80% -ია; ლდობის ტემპერატურა - 235-237°C;

იწ- სპექტრი (ვაზ.ზეთი), v, სმ⁻¹ 3300(NH); 1550 (იმიდაზოლის ბირთვი).

პმრ-სპექტრი: (დმსო) 12.6(1H; c, NH); 8.97(1H, d, J0=7,98 CH); 8.01(1H, d, J0=8.1, CH); 7.71(1H, d, J0=8.0, CH); 7.62(1H, d, J0=8.0,CH); 7.5(1H, τ, J0=7.65, Jn=1.10, CH); 7.5(1H, τ, J0=8.1 Jn=1.2); C15H10N2OS. M=224.

1H-ბენზო[బ]თიოფენ[3,2-ე]ბენზიმიდაზოლი

მრგვალირა სამყელა კოლბაში, რომელიც აღჭურვილია უპუმაცივრით, მოვათავსეთ 0,2 გ (0,89 მმოლი) 2,3- დიამინოდიბენზოთიოფენი, 2მლ ჰიანქველმჟავა და 1-2 წვეთი კონცენტრირებული HCl. მიიღება თეთრი ფერის სუსტენზია, რომელსაც ცივად ვამატებდით 2 მლ პოლიფოსფორმჟავას, ნარევს ვაცხელებდით 70-80°C-ზე და ვურევდით 1 სთის განმავლობაში. მიღებულ გამჭვირვალე სსნარს ვაცივებდით, ვაზავებდით ცივი წყლით და ვატუტიანებდით ამიაკის განზავებული სსნარით, სუსტი სუნის გაჩენამდე. გამოლექილ კრისტალებს ვფილტრავდით და ვრეცხავდით ცივი წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე. გამოსავალი ბენზოლიდან გადაკრისტალების შემდეგ 60%-ია; ლდობის ტემპერატურა - 220-222°C;

იწ-სპექტრი (ვაზ.ზეთი), v, სმ⁻¹ 3330(NH); 1570 (იმიდაზოლის ბირთვი).

პმრ-სპექტრი: (დმსო) 12.8(1H; c, NH); 8.97(1H, d, J0=7,98 CH); 8.01(1H, d, J0=8.1, CH); 7.99(1H, d, Jp=0.6, CH); 7.62(1H, d, J0=8.0,CH); 7.61(1H, τ, J0=7.65, Jn=1.10, CH); 7.5(1H, τ, J0=8.1 Jn=1.2); C15H10N2OS. M=224.

1H-ბენზო[బ]თიოფენ[3,4-დ]ბენზიმიდაზოლი

მიიღება წინა შემთხვევის ანალოგიურად, გამოსავალი 55%-ია.

ლდობის ტემპერატურა 207-210°C;

იღ-სპეციალისტი (ვაზ. ზეთი), в, სტ¹ 3330(NH); 1550 (იმიდანობის ბირთვი).

პარ-სპეციალისტი: (დმხო) 12.7(1H; с, NH); 8.97(1H, д, J₀=7.97, CH); 8.01(1H, д, J₀=8.0, CH); 7.99(1H, д, CH); 7.62(1H, д, CH); 7.61(1H, т, J₀=7.65, CH); 7.5(1H, т, J₀=8.1, CH,); C15H10N2OS. M=224.

3. დასკვნა

ჩატარებული პალევების შედეგად ბენზოთიოფენისა და ბენზომიდანობის ბიციკლური სისტემების შერწყმის საშუალებით მივიღეთ ახალი ფუძემდებლური პეტეროციკლური სისტემები, რომლებიც ლიტერატურაში ჯერ არ არის აღწერილი. დავამუშავეთ მათი მიღების პრეპარატურული მეოდი, შევისწავლეთ მიღებული ნაერთების სპეციალული მახასიათებლები.

ლიტერატურა

1. Gilman H., Wilder G. R. The nitration of some 2- and 3- amino derivatives of dibenzotriophene.. J.Amer. Soc. 1955, v.77. p. 3920-3921.

2. Gulinane N.M., Davies C.G., Davies G.I.. Substitution derivatives of diphenolene sulphide and diphenilenesulphone.- J. Chem. Soc. 1936. p 1435-1437.
3. Brown R.K. Cristiansen R.G. Sandin R.B. Some derivatives of dibenzethiophene- J.Amer. Soc. 1948, v.70, p. 1748-1749.
4. Gilman H., Wilder G.R. Some 1-substituted dibenzothiophene derivatives.- J.Amer. Soc. 1954, v.76, p. 2906-2907.
5. Пожарский А.Ф., Гарновский Ю.Д., Симонов А.М. Успехи химии, Т.XXXXV. Вып.2, с 269-270 (1966).
6. Эльдерфильд Р. Гетероциклические соединения. Т.5. М.: ИЛ, 1961, с. 161-241.
7. Пожарский А.Ф., Анисимова В.А., Цупак Е.Б. Практические работы по химии гетероциклов. Изд. Ростовского университета, 1988, с.78-79.

UDC 66.098

BENZIMIDAZOLE AND B-ANNEALIED BENZOTIOPHEN ABD/OR BENZOFURAN-CONTAINING SYSTEMS WITH ANTI VIRUS ACTIVITY AND FOR STRUGGLE AGAINST TUBERCULOSIS

N. Gakhokidze, M. Maisuradze, T. Khoshtaria

Department of chemical and biological technologies, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: The fight against tuberculosis and virological diseases is one of most acute problems of the modern world. There is offered tetracyclic systems basing on benzimidazole and benzo(b)furo or/and benzo(b)thiophen for treatment of the above mentioned diseases. This choice has been stipulated by many-sided biological activity of these heterocyclic systems and preliminary data of the biological research. There was got various derivatives, conducted spectral studies. Now there are performed biological tests.

Key words: benzimidazole; benzothiophen.

УДК 66.098

БЕНЗИМИДАЗОЛ И [B]АННЕЛИРОВАННЫЕ ТИОФЕНСОДЕРЖАЩИЕ КОНДЕНСИРОВАННЫЕ СИСТЕМЫ С ОЖИДАЕМОЙ АНТИТУБЕРКУЛЕЗНОЙ И АНТИВИРУСНОЙ АКТИВНОСТЬЮ

Гахокидзе Н., Маисурадзе М., Хощтария Т.

Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: Борьба против туберкулёза и вирусных заболеваний является одной из актуальных проблем современного мира. Против вышеуказанных заболеваний нами предлагаются тетрациклические системы на основе бензимидазола и бензотиофена. Выбор обусловлен многогранной биологической активностью этих гетероциклических систем и предварительными данными биологических исследований.

Суть работы заключается в получении 1,2-2,3-3,4-диаминов дibenзотиофена, которые производились из первичных моноаминов ацилированием/бензоилированием с последующим нитрированием, восстановлением до амина и снятием защитной группы, впоследствии классической, а также модифицированными нами реакциями Филиппса производили циклизацию до получения соответствующих бензо[b]тиофенбензимидазолов. В результате исследований получены три новые тетрациклические конденсированные системы, которые будут использованы в последующих исследованиях для получения многочисленных производных с ожидаемой биологической активностью.

Ключевые слова: бензимидазол; бензотиофен.

შემოსევის თარიღი 01.07.2008
ძირებულია დასაბუღად 04.07.2008

საპ 663.252

**Laffort-ს ვირმის ებზოგენური ფერმენტული პრეპარატის ზებავლენის
შესწავლა წითელი ღვინის ფიზიკურ-ქიმიურ პარამეტრებსა და
ორგანოლექტიკურ მაჩვენებელზე**

გ. დათუერველი, მ. ხომასურიძე*

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტე-
ტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: marika_khommasuridze@yahoo.com

რეზიუმე: საფერავის ჯიშის ყურძნისაგან დამზადებულ დურდოში შევიტანეთ იტალიური (ლაფარტე) წარმოების ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატი „Lafase rand Cru“. ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე დადგინდა, რომ ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატით დამუშავებული დურდოდან მიღებულ ღვინომასადას აქვს სუფთა ჯიშის დამახასიათებელი არომატი, გამოირჩევა დადებითი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით საკონტროლოსთან შედარებით, რაც დაადასტურა დაბორატორიული კვლევების შედეგებმა. კერძოდ, ეთილის სპირტის მოცულობითი წილი გაიზარდა 4,4%-ით, საერთო ფენოლების შემცველობა – 1,8 გ/ლ-ით, ხოლო საღბავი ნივთიერებების შემცველობა – 1.9 გ/ლ-ით.

საკვანძო სიტყვები: ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატები; წითელი ღვინო; დურდო; ალკოჰოლური დუღილი.

1. შესავალი

ქართული ღვინის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებისათვის აუცილებელია ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა და აპრობირებული თანამედროვე მეთოდების დანერგვა. განსაკუთრებით საფურადებო და პერსპექტიულია წითელი ღვინო, რომელიც შეიცავს ფენოლურ და პოლიფენოლურ ნაერთებს, რომელთაც ახასიათებს რადიოპროტექტორული, ანტიოქსიდანტური თვისებები და ადამიანის ჯამრთელობაზე დადებოთად მოქმედებს [1].

ქართული საწარმოები ფოკუსირებულია მაცერაციის სწორად წარმართვასა და პროდუქციაში რაც შეიძლება მეტი სტაბილური ფენოლებისა და პოლიფენოლების შენარჩუნებაზე, რაც არცთუ იშვიათად მიუღწევადია. მაცერაციის სწორად წარმართვა ღვინოს შექმნების არა მარტო ფერის ინტენსივობას და სხეულს, არამედ კვებით დირებულებასაც და მოიმარებს მისი დადებითი მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან წითელი ღვინის მოხმარება და პოპულარობა მკვეთრად გაიზარდა. ზოგიერთი ამ მოვლენას საინფორმაციო საშუალებებით ადამიანის ორგანიზმზე წი-

თლი ღვინის სასარგებლო მოქმედებისა და მისი მაღალი კვებითი ღირებულების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის ზეგავლენით ხსნის.

მაგალითად, იაპონიაში ბოლო დროს ს წრაფად გაიზარდა წითელი ღვინის მიმართ მომხმარებლის ინტერესი. 2002-დან 2005 წლამდე მისი მოხმარება 4-ჯერ გაიზარდა (იაპონიის საგადაბასადო დეპარტამენტი), რასაც ხელი შეუწყო მრავალმა მეცნიერულმა გამოკვლევამ.

მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე შედარებით ოპტიმალურ ვარიანტად მიჩნეულია ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატების გამოყენება. ცნობილია, რომ ფერმენტული კომპლექსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ღვინის ტექნოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესებში, აქედან გამომდინარე, მათი მიზანდასახული აქტივაცია და ფერმენტაციული რეაქციების სასურველი მიმართულებით წარმართვა ხელს შეუწყობს ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას და საერთო ჯამში პროდუქციის ხარისხის გაზრდას [2].

2. ძირითადი ნაწილი

თანამედროვე მედიცინური ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატების გამოყენება ახალ და პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება, ვინაიდან მათი მეშვეობით შესაძლებელია სრულვალებრივ დანერგვას მიღების ტექნოლოგიური პროცესები და ავამაღლოთ ღვინის ხარისხი.

ჩვენ შემთხვევაში პირველად საქართველოში შესწავლილ იქნა იტალიური Laffort-ს ფირმის ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატების ავექტურობა ტექნიკურ ასორტიმენტში შემავალი ვაზის ჯიშებისაგან დამზადებულ ღვინომასასალაზე.

არსებული პერიოდიტურ-პემიცელულაზერ ფერმენტული პრეპარატი დანართულია Lafase HE Grand Cru განკუთვნილია წარმოშობის ადგილის დასახლებების, მაღალხარისხის სევენტის ღვინის საწარმოებლად. მაცერაციის პროცესი ხელს უწყობს სტაბილური ფენოლების (ანტოციანებისა და პოლიმერული ტანინების), არომატული ეთერების და მათი წარმოებულების ექსტრაქტების უფრონის მაგარი ნაწილებიდან ტებილში.

პრეპარატის გამოყენება საშუალებას გვაძლევს დავამზადოთ სხეულიანი დვინო, რომელიც განკუთვნილი იქნება დასამველებლად.

საექსპერიმეტოდ გამოყენებულ იქნა საფერავის ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული დვინო. ყურძნი მოწეულ იქნა მუქუნის ადგილწარმოშობის მიერთობაში (2007 წლის მოსავალი).

დასახული მიზნების მისაღწვად საჭირო გახდა შეძლების სამუშაოების ჩატარება:

დურდოს მომზადება, სულფიტაცია, მაცერაცია ფერმენტული პრეპარატებით, ფერმენტაცია კულტურული საფუარებით, დაწეხა, სულფიტაცია და სამჯერადი დეკანტაცია. იმავე მეთოდით (მაცერაციის გარეშე) მოვამზადეთ საკონტროლო ნიმუში და განვსაზღვრეთ საკონტროლო და

საანალიზო ნიმუშების ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები.


ლაბორატორიული კვლევების შედეგად დვინოში ვამოწმებდით:

1. ეთილის სპირტის მოცულობით წილს, %;
2. ფენოლების მასურ კონცენტრაციას, გ/ლ;
3. პოლიფენოლური ნივთიერებების მასურ კონცენტრაციას, გ/ლ;
4. აქროლადი მჟავების მასურ კონცენტრაციას, გ/ლ;
5. ტიტრული მჟავების მასურ კონცენტრაციას, გ/ლ;
6. რედუცირებული შაქრების მოცულობით წილს, %;
7. დაყვანილი ექსტრაქტის მასურ კონცენტრაციას, გ/ლ.

საანალიზო და საკონტროლო ნიმუშის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები

საპლევი დვინო	ეთილის სპირტის, მოც. %	მქროლავი მჟავები, გ/ლ	ტიტრული მჟავები, გ/ლ	დაყვანილი ექსტრაქტი, გ/ლ	შაქრების შემცველობა, მოც. %	pH	საერთო ფენოლფები,	დებავი ნივთიერებები გ/ლ,
1. საკონტროლო	13,6	0,35	5,2	28	0,23	3,41	3,8	3
2. საანალიზო	14,2	0,5	5,4	32,1	0,19	3,25	5,6	4,9


როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, ალკოჰოლის მოცულობითი წილი 4,4%-ით გაიზარდა, რაც საფერაუდო გამოწვეულია მაცერაციისას მაღალმოლექულური ნახშირწყლების პიროლიზის შედეგად ტკბილში დამატებით გადასული გლუკოზისა და ფრუქტოზის ალკოჰოლური დუღილით. მიღებული შედეგი ნათლად არის გამოხატული 1-ლ ნახაზზე.



ნახ. 1. საკონტროლო და საანალიზო ნიმუშებში ეთილის სპირტის მოც. წილი, %

ტიტრული მჟავების, დვინის pH-ისა და აქროლადი მჟავების შემცველობა უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან საანალიზო და საკონტროლო დვინოში. მიღებული შედეგებიდან შეიძლება დაგვსავნათ, რომ დურდოს ფერმენტული მაცერაცია ტიტრული მჟავების, დვინის pH-ისა და აქროლადი მჟავების შემცველობაზე გავლენას არ ახდენს.

როგორც მე-2 ნახაზზეა ნაჩვენები, საერთო ფენოლების შემცველობა საანალიზო დვინოში საკონტროლოსთან შედარებით 0,8 გ/ლ-ით გაიზარდა, რაც მაცერაციის დროს დვინოში სტაბილური ფენოლების ექსტრაქციით არის გამოვეული.




ნახ. 2. საკონტროლო და საანალიზო ნიმუშებში საერთო ფენოლური ნაერთების მასურ კონცენტრაცია, გ/ლ

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საანალიზო დვინომასალაში რედუცირებული შაქრების შემცველობა მაცერაციის შედეგად შემცერდა 17,4%-ით, საკონტროლოსთან შედარებით.

ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატის ზემოქმედებით ექსტრაქტული ნივთიერების შემცველობა საანალიზო დვინოში საკონტროლოსთან შედარებით 4,1 გ/ლ-ით გაიზარდა, რაც ადასტურებს ყურძნის კანიდან ფენოლური, პოლიფენოლური, მთრიმლავი (ტანინი) საერთების

დამატებით ექსტრაქციას ტკბილში. ამ პროცესმა ტკბილს და შემდგომ შეკვე ღვინომასალას მიანიჭა ინტესიური, მუქი დალისფერი შეფერვა, ხილის: მარწყვი, ალუბალი, კენკრა და შავი ქლიავის ჩირის ტონები. საანალიზო ღვინის არომატში უფრო გამოკვეთილად დომინირებდა აღნიშნული ტონები, ვიდრე საკონტროლო ნიმუშში. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატი გარკვეულად მოქმედებს არომატულ ნაერთებზე და ხელს უწყობს ჯიშის არომატის ინტენსიფიკაციას (გაძლიერებას).



ნახ. 3. საკონტროლო და საანალიზო ნიმუშებში პოლიფენოლური ნაერთების მასური კონცენტრაცია, გ/ლ

ლაბორატორიული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საანალიზო ღვინოში პოლიფენოლური ნივთიერებების შემცველობა 1,8 გ/ლ-ით გაიზარდა, საკონტროლო ღვინოსთან შედარებით. აღსანიშნავი და საყურადღებოა ამ პარამეტრის განსაზღვრისას მიღებული შედეგი, ვინაიდან, როგორც ლიტერატურულ წყაროებშია მოცემული [3] და ამას მრავალი კვლევის შედეგიც ადასტურებს, წითელი ღვინის შემადგენელი კომპონენტებიდან ადამიანის ჯამრთელობაზე დადგებითად სწორედ პოლიფენოლური სტილი.

ბენური ჯგუფის ნაერთი – რეზვერატროლი მოქმედებს. მიღებული შედეგი ნათლად არის გამოხატული მე-3 ნახაზზე.

ღვინის ანალიზს ვატარებდით ა. ლაშეს მეთოდების მიხედვით [4].

3. დასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატებით დამუშავებულ ღვინომასალას გაცილებით უკავთესი ორგანოლებტიკური მახასიათებლები აქვს (არომატი, სხეული, შეფერილობა), რაც დაადასტურა ლაბორატორიული კვლევების შედეგებით. კერძოდ, ეთილის სპირტის მოცულობითი წილი გაიზარდა 4,4%-ით, საერთო ფენოლების შემცველობა – 1,8 გ/ლ-ით, საღებავი ნივთიერებების შემცველობა 1,9 გ/ლ-ით. ხოლო დურდობას თვითნადენი ფრაქციის გამოსავლიანობა, ეგზოგენური ფერმენტული პრეპარატების გამოყენების შედეგად – 8,2 %-ით.

ლიტერატურა

- Zimman A., Joslin W., Lyon M., Meier J., Waterhouse A. Maceration variables affecting phenolic composition in commercial-scale Cabernet Sauvignon wine-making trials. *Am. J. Enol. Vitic.* 2002, 53, 93-98.
- Gerbaux V., Vincent B., Bertrand A. Influence of maceration temperature and enzymes on the content of volatile phenols in pinot noir wines. *American journal of enology and viticulture*, 2002, 53, 131-137.
- Garland Ch. **Addition of enzymes to white and red wines – timing, amounts and effects on color and flavor extraction.** *Am. J. Enol. Vitic.* 2003, 54, 93-98.
- IaSxi a. yurZnis produqtTa analizi. Tbilisi: ganaTleba, 1970, 295-378.

UDC 663.252

STUDY OF INFLUENCE EXOGENIC ENZYME PREPARATION LAFFORTE ON PHYSICOCHEMICAL PARAMETERS AND ORGANOLEPTIC CHARACTERISTICS OF RED WINE

G. Datukishvili, M. Khomasuridze

Department of chemical and biological technologies, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resum: In sediment received from Grape variety „Saperai” was macerated with Italian exogenous enzyme preparation „Lafase HE Grand Cru”. Organoleptic estimation and obtained results from conducted analyses confirmed, that must treated with high mentioned enzymes was the more harmonious and bodied than control sample. It is remarkable that intensity of flavor, concentration of anthocyanins, tannin compounds and ethanol was significantly increased. The proper grape variety aroma was more intensive in analytical winematerial than in control sample. Based on the results of conducted analyses, it is confirmed that content of ethanol is increased by 4.4%, total phenolics are increased by 1.8g/l and dye-stuffs by 1.9g/l.

Key words: exogenous enzyme preparations; red wine; must; alcoholic fermentation.

УДК 663.252

**ИЗУЧЕНИЕ ВЛИЯНИЯ ЭКЗОГЕННОГО ФЕРМЕНТНОГО ПРЕПАРАТА LAFFORT НА
ФИЗИКО-ХИМИЧЕСКИЕ ПАРАМЕТРЫ И ОРГАНОЛЕПТИЧЕСКИЕ ПОКАЗАТЕЛИ КРАСНЫХ ВИН**

Датукишвили Г.А., Хомасуридзе М.В.

Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175,
Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: В мезгу сортов винограда Саперави будет введен итальянский экзогенный препарат "Lafase HE Grand Cru" производства "Laffort". На основании проведенных экспериментов было установлено, что полученный виноматериал путем обработки мезги экзогенным ферментным препаратом обладает качественными, вкусовыми, свойствами, отличается положительными физико-химическими свойствами и имеет чистый, более высокосортный аромат по сравнению с исходным, что было подтверждено результатами лабораторных исследований. В частности, увеличились объемная доля на 4.4%, общее содержание фенолов - на 1.8 г/л, количество красящих веществ- на 1.9 г/л.

Ключевые слова: экзогенные ферментные препараты; красное вино; мезга; алкогольное брожение.

შემოსის თარიღი 03.06.2008
მოვალეობის დასაბუღავი 06.06.2008

შაპ 72

თბილისის კოსტაბჭოთა აერიოდის ურბანული და საცხოვრებელი
ბანაშნიანების ბანგითარების ზონამდრღვები

გ. მახარაშვილი*, თ. მახარაშვილი

არქიტექტურის, ქალაქომშენებლობის (ურბანისტიკის) დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავაშვილი 77

E-mail: gio_mak@yahoo.com

რეზიუმე: აღნიშნულია, რომ პოსტსაბჭოთა ეტაპის პირველსავე წლებში გამოიკვეთა არქიტექტურისა და ქალაქომშენებლობის ახალ რეალობასთან ადაპტაციის სიძლეები. საჭირო იყო საპანონმდებლო, ინსტიტუციური, მართვისა და დაგეგმვარების სისტემური რეფორმა. მოცემულია თბილისის პოსტსაბჭოთა განვითარების 18-წლიანი პერიოდის ეტაპობრივი განხილვა და ანალიზი. უკანასკნელი გამახვილებულია იურიდიულ-საქანონმდებლო, არქიტექტურულ-გეგმარებით, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში. დადგენილია, რომ ქვეყანაში ძალზე გაიზარდა შიგა და გარე მიგრაციული პროცესები, კერძოდ, თბილისიდან მოსახლეობის გასვლამ 1993 წელს პიკს მიაღწია. 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით მოცემულია თბილისში მომხდარი დემოგრაფიული მაჩვენებლების ცვლილებები.

საკვანძო სიტყვები: განაშენიანება; არქიტექტურა და ქალაქომშენებლობა; საბაზრო ეკონომიკა; მიგრაცია.

1. შესავალი

1991 წლიდან სოციალისტური წყობის რდევების შედეგად, კომუნისტური მეთოდით განაშენიანებულ ქალაქებში ახალი ქალაქმაფორმირებელი ძალები ამოძრავდა: მიწის და უძრავი ქონების ბაზარი, კერძო სექტორი, ფინანსური სექტორი და სხვ.

პოსტსაბჭოთა ეტაპის პირველსავე წლებში გამოიკვეთა კომუნისტური წყობის ქალაქომშენებლობისა და საბჭოთა 70 - წლიანი პრაქტიკის ახალ რეალობასთან ადაპტაციის სიძლეები. მიუხედავად ამისა, არქიტექტურული საზოგადოებისა და სპეციალისტებისათვის ცხადი გახდა არქიტექტურისა და ქალაქომშენებლობის განვითარების ძირითადი ამოცანები:

არქიტექტურის და ქალაქომშენებლობის სფეროს ტოტალიტარული რეჟიმის იზოლირებული სივრციდან ევროპულ დემოკრატიულ დირექტებითა ერთიან სივრცეში ინტეგრირება;

არქიტექტურისა და ქალაქომშენებლობის სფეროს ეტანდარტების შესატყვისი როგორც საკანონმდებლო და ინსტიტუციური, ასევე მართვის და დაგეგმვარების სისტემური რეფორმა.

სისტემური რეფორმის გარეშე ამ ცვლილებების ამოქმედება გზას უსსინდა ურბანისტული პროცესების ქაოსურ განვითარებას და ქალაქური გარემოს დეფორმაციას.

2. ძირითადი ნაწილი

1991-1993 წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ასეთი მოულოდნებლი საფრთხის ეპიცენტრი საქართველოს დედაქალაქი იყო, რადგან იგი ქვეყნის ძირითადი ურბანული გარემოა და, ბუნებრივია, სრულად ასახავს პოსტსაბჭოთა ევოლუციისა და წინადმდევებრივი განვითარების ძირითად თავისებურებებს.

თბილისის პოსტსაბჭოთა განვითარების 18-წლიანი პერიოდი სამ ეტაპად შეიძლება დაყორო:

თბილისის ქალაქომშენებლობითი არქიტექტურულ-გეგმარებითი განვითარებისა და სამართლებრივი პრინციპების სრული იგნორირება.

ქალაქომშენებლობითი კრიზისის დაძლევის მცდელობები.

ქალაქომშენებლობითი კრიზისიდან გამოსვლის აქტიური ეტაპი.

რიგ შრომებში, რომლებშიც განხილულია საქართველოს, კერძოდ კი თბილისის, ურბანული განვითარების ეს ეტაპი, სუსტად არის გაანალიზებული ურბანული კრიზისის პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები, რაც თბილისის მაგალითმაც თვალწათლივ დაადასტურა და რომ კრიზისის ძირითადი მიზეზი სწორედ აღნიშნული მოვლენებია [1].

1991-1995 წლებში ქ. თბილისში, პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის გამო, პრაქტიკულად არ არსებობდა ქალაქის ურბანული განვითარების პერსპექტივა. მშენებლობის მოცულობა ძალზე შეზღუდული იყო და შენდებოდა მხოლოდ ცალკეული საცხოვრებელი სახლები. აქედან გამოდინარე, აღინიშნა ქალაქომშენებლობითი და მოცულობითი დაპროექტების ერთიანი სისტემის სრული მოშლა.

ამას ემატებოდა ახალი საბაზრო ეკონომიკას მისადაგებული იურიდიულ-საკანონმდებლო ბაზის არარსებობა, უფრო მეტიც, აღნიშნული

სამართლებრივი განვითარებისა და სამართლებრივი განვითარების სამინისტრო

წლებში ძალაში დარჩა საბჭოთა პერიოდში შემუშავებული განსახლების სქემები, ქალაქის გენერალური გეგმა, ისტორიული ზონირება, მისი საზღვრები და ა.შ. ეს, უპირველესად, გამოწვეული იყო იმით, რომ არ არსებობდა მათი შემცვლელი ახალი დოკუმენტაცია.

ამ დროიდან დაიწყო მასობრივი პრივატიზაცია, მოქალაქებზე ცალკეული ბინების კერძო საკუთრებაში გადაცემა. პრაქტიკაში გვიჩვნა, რომ ეს პროცესი არ ეყრდნობოდა სამართლებრივად სწორად მომზადებულ, ყოვლისმომცველ კანონს. მას პქონდა მინისტრთა კაბინეტის დადგენილების ფორმა, ამიტომ იგი საბაზო ეკონომიკისადმი მექანიკური ხარჯის გადახდის აქტს უფრო წარმოადგენდა.

ამ პერიოდში მწვავედ დადგა შენობების ტექნიკური მდგომარეობის, მათი მოვლა-პატრონობის, ინფრასტრუქტურის, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბინავების და ა.შ. პრობლემები. 1991-2001 წლების პერიოდისთვის თბილისის საცხოვრებელი ფონდის ავარიულობის მაჩვენებლები ყოველწლიურად იზრდება. თუ 1999 წლისათვის ავარიული სახლების რაოდენობა 1651-ს შეადგენდა, 2001 წლისათვის ეს მაჩვენებელი 2248-მდე გაიზარდა [2].

ავარიულობის საკითხი განსაკუთრებით მტკიცნეულია ისტორიული ზონისათვის, სადაც ძირითადი საცხოვრებელი ფონდი XIX საუკუნისაა. ავარიულობის მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება პირველი თაობის მასობრივი მშენებლობის სახლებს შორის, რომელთაც დიდი ხანია გაუვიდა საამორტიზაციო პერიოდი (25 წელი).

ამასთანავე, მეტად მძიმეა წყალგაყვანილობა-კანალიზაციის სისტემის ტექნიკური მდგომარეობა. ამორტიზაციის გამო სანიაღვრე კანალიზაციის ქსელის გაუმართობა კიდევ უფრო აზიანებს შენობებს. ამავე მიზეზების გამო წყლის დანაკარგება 40%-ს მიაღწია, რის გამოც შეიქმნა სასმელი წყლის დეფიციტი [4].

განსახილეველ პერიოდში ქალაქის უდიდესი ნაწილი არ მარაგდებოდა ბუქებრივი აირით, სრულად მოშლილი იყო ელექტროენერგიით არა მარტო თბილისის, არამედ მთელი ქვეყნის მომარაგება და ეს პრობლემა 2003 წლამდე გადაუქრებლი დარჩა.

1991 წლიდან შეწყდა აღრე დაწყებული მუნიციპალური, საუწყებო და კოოპერატიული ბინების მშენებლობა. დაუფინანსებლობის გამო 1998 წლის 1 ივლისის მდგომარეობით დაუმთავრებელია 91 სახელმწიფო და 49 კოოპერატიული საცხოვრებელი სახლი. ქალაქის საბინაო ფონდს საგრძნობი ზარალი მიაყენა 1991-92 წლების შემდეგ თმის შედეგად თბილისის ცენტრში დანგრეულმა და დაზარალებულმა შენობებმაც. დაზიანდა 36, მათ შორის, 15 ძეგლის სტატუსის მქონე შენობა[1]. ამ პერიოდში სახელმწიფო შეძლო სახსრების გამონახვა და მშენებლობის

დაწყება, მაგრამ რიგი ძეგლის სტატუსის მქონე შენობები არ იქნა აღდგენილი. 3-5 - სართულიანი საცხოვრებელი სახლების აღვილზე №1 სკოლის უკან აშენდა 5-9 - სართულიანი კორპუსები, რამაც საგრძნობლად შეცვალა ისტორიული განაშენიანების მასშტაბი და მხატვრული სახე.

ამ პერიოდში მცირე მასშტაბებით საცხოვრისის მშენებლობა ძირითადად ადგილობრივი კერძო ინვესტორის მიერ ხორციელდებოდა.

ამასთან, მკეთრად გაუარესდა არსებული საცხოვრებელი შენობების და ბინების მოვლა-პატრონობა. საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი ფონდის საბინაო კომუნალურ მომსახურებას, კაპიტალურ და მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს სახელმწიფო აფინანსებდა.

ასევე მოგვარებული იყო კოოპერატიული და საუწყებო საბინაო ფონდის კომუნალური მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ამ სისტემას გააჩნდა ორგანიზებული და ხარისხებრივი ხარვეზები, საერთო ჯამში, იგი მაინც უზრუნველყოფდა საცხოვრებელი ფონდის გარკვეულ დონეზე შენარჩუნებას.

1992 წლიდან ანუ ტოტალური პრივატიზაციის პირობებში, მინისტრთა კაბინეტის №107 დადგენილების საფუძველზე საცხოვრებელი სახლების მოვლა უკვე პრივატიზებული ბინების მესაკუთრებებს დაევალა.

უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის პირობებში, როდესაც დაიმალა ცენტრალიზებული კომუნალური მომსახურების სამსახურები, არ იყო შექმნილი ანალოგიური საბაზრო ეკონომიკაზე გათვალისწინებული სტრუქტურები და, რაც მთავარია, მოსახლეობას არ გააჩნდა ფინანსური საშუალებები, პრაქტიკულად მოშალა საცხოვრებელი ფონდის საბინაო კომუნალური მომსახურება და შეწყდა კაპიტალური და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების შემდეგ პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ქვეყანაში გაჩნდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი რაოდენობა, დაიწყო საქართველოდან უცხოეთში ემიგრაციის შეუქცევადი პროცესი, გაძლიერდა შიგა მიგრაციაც პერიფერიიდან ცენტრისკენ, თბილისისკენ.

ამჟამად, თბილისში განსახლებულია დაახლოებით 70-80 ათასი დევნილი. ამასთან, რაც უფრო დროში გაიწელება დევნილთა დაბრუნების პროცესი, მით უფრო გაიზარდება მათი თბილისში დამკიდრების ტენდენცია. როგორც ექსპერტები ასკვნიან, აღნიშნული რიცხოვნობიდან თითქმის 40% (30-40 ათასი) თბილისის პოტენციურ მკიდრად უნდა მივიჩნოთ [2].

ახალმა ეკონომიკურმა პირობებმა საგრძნობლად გააადგილა შიგამიგრაციული გადაადგილებები. მირითადად ამას ქანქარისებრი მიგრა-

ციის ხასიათი (დროებით სამუშაოზე ჩამოსულ-თა კონტინგენტი) ჰქონდა, რომელიც სშირ შემთხვევაში თბილისში დამკაიდრებით მთავრდება. შემდგომ ეტაპზე ამ კონტინგენტის ნაწილი საზღვარგარეთ ემიგრაციაში მიემგზავრება. ქანქარისებრი მიგრაციის მიზეზი, პირველ რიგში, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე უმუშევრობის მაღალი დონეა.

მიგრაციის სხვა ფორმებიდან აღსანიშნავია ახალგაზრდობის თბილისში სასწავლებლად თუ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩამოსვლა.

ცხრილი 1
თბილის მოსახლეობის მიგრაციული
სალდო [3]

წლები	შემოვიდა	გავიდა	მიგრაციული სალდო(+ -)
1990	15334	14012	1322
1991	12389	19607	-7218
1992	7169	21204	-13855
1993	4181	20358	-16177
1994	2739	15727	-12988
1995	901	8498	-7597
1996	1373	7790	-6417
1997	2176	971	1196
1998	1854	725	1120
1999	2220	819	1401
2000	3221	1144	2077

როგორც ცხრილიდან ჩანს, დადგითი მიგრაციული სალდო 1991 წლისათვის უარყოფითი ხდება, თბილისიდან მოსახლეობის გასვლამ პიქს 1993 წელს მიაღწია.

1996 წლიდან მოსახლეობის გასვლის ტალღა ნელ-ნელა შენედდა და 1997 წლიდან შემოსულთა რიცხვმა გასულთა რიცხვს გადააჭარბა. უპანასკნელ 6-7 წლის მანძილზე კი მეტ-ნაკლებად სტაბილური გახდა.

მთლიანად განვლილ თერთმეტ წელიწადში თბილისიდან ამოეწერა 57,1 ათასით მეტი ადამიანი, კიდევ ჩაეწერა.

ცნობილია, რომ 1989 წლის შემდეგ, მხოლოდ 2002 წელს მოხერხდა საქართველოს მოსახლეობის აღწერა. სოციოლოგებისთვის, ურბანისტებისთვის, ეკონომისტებისთვის და ა.შ. უცნობი იყო დამოუკიდებლობის წლებში საქართველოში მომხდარი კონკრეტული დემოსოციალური ცვლილებები.

უნდა აღინიშნოს, რომ აღწერამდე გამოქვეყნებულ შრომებში მოცემულია მხოლოდ მიახლოებითი მონაცემები, ხოლო აღწერამ აჩვენა, რომ იგი ხშირად საკმაო ცდომილებებს შეიცვას.

2002 წლის აღწერის მონაცემებმა საშუალება მოგვცა გაგვეანალიზებინა რეალური დემოგრა-

ფიული და სხვა ცვლილებები როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე თბილისში.

ცხრილი 2
საქართველოსა და თბილისის მოსახლეობის რაოდენობა 1989 წლის და 2002 წლის აღწერების მონაცემებით [3]

	1989წ.	2002წ.	სხვაობა
საქართველო	5.443.359	4.335.676	-1.084.000
თბილისი	1.263.489	1.084.087	-179.000

როგორც ცხრილიდან ჩანს, განვლილი 13 წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობა მილიონზე მეტით, ხოლო თბილისის მოსახლეობა 179 ათასით შემცირდა. თბილისის რიცხვობრივის დანაკარგების შედარებით მცირე მაჩვენებელი გამოწვეულია შიგამიგრაციული პროცესებით (რაიონებიდან - თბილისისაკენ) და თბილისში მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი რაოდენობით.

ამრიგად, თბილისში შეიცვალა არა მარტო მოსახლეობის რაოდენობა, არამედ დემოგრაფიული სტრუქტურაც. იგი უფრო ჭრელი და არა-ერთგვაროვანი გახდა, კერძოდ, შედგება აბორიგენი თბილისელებისაგან, რაიონებიდან მუდმივად და დროებით ჩამოსული მიგრანტებისაგან და იძულებით გადაადგილებულ პირთა კონტინენტისაგან.

ამავე პერიოდში მოხდა თბილისის მოსახლეობის ტერიტორიული განსახლების დიფერენციაცია, თუმცა უკლასო სოციალისტურ საზოგადოებაშიც ხდებოდა იატაკევეშა კლასობრივი გამიჯვნა-განსახლება პრესტიულ და არაპრესტიულ რაიონებში. საბჭოთა პერიოდში პრიგოლებირებულად ითვლებოდა პარტიული ნომენკლატურის, სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელების, ინტელიგენციის მაღალი ეშელონების აგრეთვე ე.შ. საქმოსანთა ფენა. სწორედ ამ კონტინენტთა ოჯახები და ახლობლები გახდნენ თბილისის ე.შ. პრესტიული რაიონების მაცხოვებლები. არაპრესტიული, პერიფერიული საცხოვრებელი მასივები კი ძირითადად შეავსო მუშა-მოსამსახურეთა, მომსახურე პერსონალის და მიგრანტთა კონტინენტში.

საბჭოთა პერიოდში უძრავი ქონების, მათ შორის, ბინების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის მიუხედავად, არსებობდა მისი დაფარული, მაგრამ ლეგალური ფორმა-ბინების გაცვლა.

კანონით დაშვებული ფორმის გამოყენებით ხდებოდა თბილისის და სხვა ქალაქების რაიონებს შორის ბინების გაცვლითი გარიგებები, ფაქტიურად ბინების ყიდვა-გაყიდვა. ამავე გზით ხორციელდებოდა ოჯახების “მიგრაცია” ქალაქის რაიონებს შორის.

3. დასკვნა

ამრიგად, საბჭოთა პერიოდში საქმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა უკანონო “საბაზრო გარიგებები”, ბინების ყიდვა-გაციდვა, ფასები კი რაიონის პრესტიჟულობის გათვალისწინებით განისაზღვრებოდა.

ქალაქის ტერიტორიის პრესტიჟულ და არა-პრესტიჟულ რაიონებად განაწილება არ შეცვლილა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც.

1991-95 წლების პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისმა და სამართლებრივმა განუკითხაობამ, უარყოფითად იმოქმედა შემდგომ წლებში თბილისის ურბანულ განვითარებაზე. საცხოვრებელი განაშენიანების განაწილებაზე, დაგეგმარების პრინციპებზე, რამაც საბოლოოდ განაპირო-

ბა თბილისის ქალაქთმშენებლობის კრიზისის ჩამოყალიბება.

ლიტერატურა

- თბილისის ურბანული რეაბილიტაციის ძირითადი საკითხები; რედაქტორი დ. თუმანიშვილი, თბილისი, 2001.
- თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების მეთოდოლოგიური პრობლემები, წიგნი პირველი; რედაქტორი გ. ბერიძე, თბილისი, 2003.
- საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომ I. თბილისი, 2003.
- თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების მეთოდოლოგიური პრობლემები. წიგნი მესამე. თბილისი, 2005.

UDC 72

PREREQUISITES OF POST SOVIET URBAN AND RESIDENTIAL DEVELOPMENT IN TBILISI

G. Makharashvili, T. Makharashvili

Department of architecture, city-building (urbanist), Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is stressed, that in early years of post soviet period could be distinguished problems of adaptation of architectural and urban issues with new reality. It was necessary to reform legislative, institutional, management and planning systems.

There is presented 18 year retrospective analysis of post soviet development Tbilisi. Attention it is paid attrntion on juridical-legislative, architectural-planning, demographic and social-economical issues, in conditions of existing political and economical crisis.

It is concluded, that migration problems were increasing rapidly in the country. In 1993 emigration from Tbilisi reached its peak. Demographic changes of Tbilisi are shown as well.

There is noted, that political and economical crisis of post soviet period, legislative vacuum, demographic changes etc. affected negatively on Tbilisi urban development process and creation of new residential building up.

Key words: Building up; architecture and town-building; market economics; migration.

УДК 72

ПРЕДПОСЫЛКИ РАЗВИТИЯ УРБАНИСТИЧЕСКОЙ И ЖИЛОЙ ЗАСТРОЙКИ ТБИЛИСИ ПОСТСОВЕТСКОГО ПЕРИОДА

Махарашвили Г.Т., Махарашвили Т.Г.

Департамент архитектуры, градостроения (урбанистики), Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: В статье отмечается, что в первые же годы постсоветского периода выявились трудности адаптации к новым реалиям архитектуры и градостроительства. Выявилась необходимость проведения законодательных, институциональных, планировочных системных реформ.

Дается поэтапный анализ 18-летнего постсоветского периода развития Тбилиси. Особое внимание уделяется юридическо-законодательным, архитектурно-планировочным, демографическим, социально-экономическим и т.д. вопросам в условиях политico-экономического кризиса.

Установлено, что в стране увеличились внутренние и внешние миграционные процессы, в частности выезд населения из Тбилиси достигла пика в 1993 г. На основе всеобщей описи населения за 2002 год даются показатели демографических изменений в Тбилиси.

Ключевые слова: застройка; архитектура и градостроительство; рыночная экономика; миграция.

შემოხვევის თარიღი 18.07.2008
ძლიერდებულია დასაბუქრიდ 25.07.2008

სამართლებრივი კონსულტაციები
სამართლებრივი კონსულტაციები

უპ 338.5

ქ. თბილისში შძრავ ქონებაზე ვასტარმოშმის პრიტერიუმები

გ. მახარაშვილი*, თ. მახარაშვილი

არქიტექტურის, ქადაგისტებლობის (ურბანისტიკის) დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: gio_mak@yahoo.com

რეზიუმე: აღნიშნულია რომ სამშენებლო ბიზნესი მსოფლიოში ერთ-ერთი მსხვილმასშტაბიანი და მოგებიანია. ამასთან, უძრავი ქონების ფასებზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობაა.

ბოლო 10-12 წელიწადში საქართველოში უძრავ ქონებაზე ფასები ქაოსურად გაიზარდა. ბოლო პერიოდში ბინებში და კომერციულ ფართობებში დაბანდებული კაპიტალის საშუალო მოგებამ წელიწადში 20% შეადგინა.

განხილულია უძრავ ქონებაზე ფასორუმოქმნის კრიტერიუმი და აღნიშნულია, რომ თბილისის პრესტიულ რაიონებში ფასები ბევრად აღემატება პერიფერიული ნაწილისას. ბოლო წლებში ინგესტორები დიდ მნიშვნელობის ანიჭებენ მშენებლობის ხარისხს, ბინების ელიტურობას, ეკოლოგიურ მდგომარეობას, ხედს და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: საცხოვრებელი განაშნიანება; ფასორუმოქმნა; კრიტერიუმი; ინგესტორი; მშენებლობა.

1. შესავალი

ცნობილია, რომ საბაზრო ურთიერთობები და თავისუფალი ბაზარი საზოგადოებაში წარმოქმნილი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. კონკურენციის პირობებში კერძო კაპიტალი ცდილობს ახალი შემოთავაზებებით, ახალი მიღებითა და ტექნოლოგიებით განავთაროს წარმოება, გაზარდოს პროდუქციის ხარისხი. ამიტომაც, საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენცია საერთო პროგრესის მამოძრავებელი ძალაა.

სამშენებლო ბიზნესი დიდი ხანია მსოფლიოში ერთ-ერთი მსხვილმასშტაბიანი და მოგებიანია. ამასთან, ბიზნესის სხვა მიმართულებებისგან განსხვავებით, ეს არის უძრავი ქონების ბიზნესი, რომელზედაც ფასები მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება. უძრავი ქონება მრავალი ათეული წელი და მასში კაპიტალის დაბანდება დროსა და სივრცეში კი არ განიცდის დევალვაციას, არამედ მოგებას იძლევა. შედარებისთვის ისეთი მოძრავი ქონების ფასი, როგორიცაა ავტომობილი და

სხვ., ექსპლუატაციის სხვადასხვა ეტაპებზე სულ უფრო და უფრო მცირდება.

განვითარებულ ქვეყნებში სუთი წლის ექსპლუატაციის შემდეგ ავტომობილის ფასი საგრძნობლად ეცემა, ხოლო 7-10 წლის შემდეგ იგი ძალზე სიმბოლურ ფასად იყიდება. გარდა ამისა, უფრო სწრაფად ხდება ფასების გარდნა კომპიუტერებზე, ტელევიზორებზე და სხვა თანამედროვე ტექნიკაზე.

ამრიგად, საქართველოში და მთელ მსოფლიოში ყველაზე სამდებარებელი ინვესტირების საშუალებად, კვლავ უძრავი ქონება და ძვირფასი ლითონები რჩება.

2. ძირითადი ნაწილი

უძრავი ქონების ფასებსა და ყიდვა-გაყიდვის ტემპებზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. ამის თვალსაზინო მაგალითია 2007 წლის შემოღვიძელან განვითარებული შინაპოლიტიკური კრიზისის შედეგები. მაშინ, როდესაც 2003 წლიდან უძრავ ქონებაზე ფასების მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა და ეს პროცესი დინამიკურად მიმდინარეობდა 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ივნისამდე, პოლიტიკური არასტაბილურობის ფონზე ბინების გაყიდვების ოდენობა და ტემპები მკვეთრად დაეცა, შეჩერდა მიწის დიდი ნაკვეთებისა და უძრავი ქონების მსხვილი ობიექტების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები.

ექსპერტების აზრით, როგორც ქართველი, ისე უცხოელი ინგესტორები პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებზე მყისვე რეაგირებენ. ისინი სიფრთხილეს იჩენენ და მდგომარეობის გაუმჯობესებამდე ინგესტორებას აჩერებენ.

საქართველოში საპარლამენტო არჩევნებისა და შინაპოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის კვალობაზე, ინგესტორები უძრავ ქონებაში კალაპ განახლდა და ფასებმაც ზრდა დაიწყო. სტაბილური პოლიტიკური გარემო ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა, ამიტომ დირს ბინა ყველაზე ძვირი – ლონდონში, ყველაზე იაფი კი – სომალში.

ბოლო 10-12 წლის მანძილზე საქართველოში უძრავ ქონებაზე ფასები ქაოსურად, ნახტომისებრად იზრდებოდა. ამას ხან პოლიტიკური სიტუაცია, ხან კი მასალებისა და კრედიტორების გაძვირება აძლევდა ბიძგს.

თბილისში ბინებზე და სხვა უძრავ ქონებაზე ფასების ზრდას, სხვა ფაქტორებთან ერთად, უძრავი ქონების ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაც განაპირობებს.

ბაზარზე ფართობების დეფიციტია ანუ მოთხოვნა უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე სამშენებლო კომპანიები აშენებენ. ახალი მშენებარე ბინების დასრულებას საშუალოდ 2-3 წლი სჭირდება და ამასობაში ბინებზე ახალ-ახალი მოთხოვნა ჩნდება.

ამასთან, თბილისი კვლავ რჩება მიგრაციის ცენტრად, რომელიც დედაქალაქში რეგიონებიდან ცხოვრების მსურველთა ახალ-ახალ ტალღას კვლავინდებურად იზიდავს. გარდა ამისა, იპოტეკური სესხები, მყიდველებისთვის უძრავ ქონებას უფრო ხელმისაწვდომს ხდის, ხოლო სამშენებლო კომპანიას თავიანთი პროდუქციის გაყიდვაში ეხმარება, რაც უძრავ ქონებაზე ფასების ზრდას დამატებით სტიმულს აძლევს.

ექსპერტების მონაცემებით, უძრავ ქონებაზე ფასების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება მოსახლეობის შემოსავლებისას. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები, შეძლებული და საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეები, უცხოეთში დროებით ემიგრირებულნი ფულის დაბანდებას მაიც უძრავ ქონებაში ამჯობინებენ, რადგან საქართველოში ბინებში, კომერციულ ფართობში და მიწის რესურსებში დაბანდებული კაპიტალის საშუალო მოგება 20%-ია წლიწადში. ამასთან, რაც უნდა მოხდეს ქვეყანაში, დეფოლტი თუ ინფლაცია, უძრავი ქონება ხელუხლებელი რჩება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდში ინვესტორები უფრო მეტ მოგებას კომერციული უძრავი ქონებიდან იღებენ. რომლის 1კვ-ში ფასი 1,5-2-ჯერ აღემატება ანალოგიური საცხოვრებელი ფართობის ფასს.

საცხოვრებელ ფართობზე ფასების ზრდის დინამიკამ 1995-დან 2008 წლამდე წლიწადში საშუალოდ 30-40% შეადგინა. შესაბამისად მაღალი იყო ინვესტორთა მოგებაც. შედარებისთვის, ევროპაში უძრავი ქონება ბიზნესმენებს წლიწადში 4-5%-იან მოგებას აძლევს, საქართველოში კი წლიური მოგება 15-40% შორის მერყეობს [1].

ქალაქის უბნების პრესტიულობიდან გამომდინარე, ფასები იცვლება. ტრადიციულად ქართველებს ქალაქის ცენტრი იზიდავს, მაშინ, როცა ევროპაში ძირითადად გარეუბანში იშენებენ ეზოიან სახლებს, რადგან ცენტრში პარკი დაბინძურებულია, ხმაურია, მოძრაობა გადატვირთულია.

დღესდღეობით შესაძლებლობიდან და ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, უკეთაზე დიდი მოთხოვნა საბურთალოზეა. ჩვენთან ჩამოყალიბების პროცესში გარეუბნებში ცხოვრების

მსურველთა ზრდის ტენდენცია, რაც 5-10 წლის წინ არ არსებობდა.

ბოლო წლებში საგრმნობლად გაიზარდა ავლაბრის უბის პრესტიულობაც, რის გამოც აქ ინვესტიციების განხორციელების მსურველთა რაოდგობაც იმატა.

აქედან გამომდინარე, ქვეყანაში მშენებლობას სულ უფრო მეტი კომპანია ახორციელებს. ახალმშენებლობათა ზრდის ტემპებმა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში თითქმის 40%-ით მოიმატა. ამასთან, ანალოგიური პროცესები პოსტგრადუალობით გვეხვებშიც მიმდინარეობს.

ყველაზე დიდი ნახტომისებრი ფასების ზრდა ბალტიის ქვეყნებში აღინიშნა. აქ უძრავი ქონების მიმართ ინტერესი მას შემდეგ გაიზარდა, რაც ისინი ევროპაგშიც შევიდნენ. ინვესტორებს იზიდავთ საგრაფო მაღალი ცხოვრების დონე, პოლიტიკური სტაბილურობა და ევროპასთან გეოგრაფიული სიახლოეს. თუ ლიტვაში, რამდენიმე წლის წინ, კვ. მეტრის ყიდვა ათას დოლარად შეიძლობოდა, ახლა უკვე 3 ათასი აშშ დოლარი დირს. თითქმის იგივე ფასი აქვს ელიტურ საცხოვრებელ ფართობს ლატვიის დედაქალაქ რიგაში, სადაც კვ. მეტრის ფასი 2000 აშშ დოლარიდან იწყება. ამასთან, აქ ინვესტორთა ინტერესებს, გარკვეულწილად, ანელებს ლატვიის კანონმდებლობა, რომელიც უცხოებს ზღვისპირეთში მიწის შეძნას უკრძალავს. ასეთივე შეზღუდვებია უკრაინაში, თუმცა ბოლო მონაცემებით კიევის კომერციულ ფართობებში დაბანდებულ კაპიტალს დაახლოებით 12-პრცენტიანი წლიური მოგების მოტანა შეუძლია, ქალაქის ცენტრში კი ეს მაჩვენებელი 60%-მდე იზრდება.

მრავალჯერადი ზრდის შემდეგ ფასები სტაბილური გახდა მოსკოვში, მაგრამ ის მაღალ მაჩვენებელზე გაჩერდა. ამჟამად კვ. მეტრის ფართობი მშენებარე სახლებში საშუალოდ 4,2 ათასი აშშ დოლარი დირს (ძველ სახლებში კვ. მეტრის ფასი 3700-3800 აშშ დოლარია). საგულისხმოა ის, რომ მოსკოვის ბაზრიდან მთლიანად გაქრა იაფი ბინები. რუსეთის დედაქალაქში 2008 და მომდევნო წლებში ფასების ზრდას თვეში საშუალოდ 1-2%-ით გარაუდობენ [1].

ფასების ზრდა აღინიშნება აზერბაიჯანშიც, სადაც ამა წლის იანვრიდან უძრავ ქონებაზე ფასებმა 15%-ით მოიმატა და ამჟამად ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ფასი 1100-1650 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს. ელიტურ უძრავ ქონებაზე კი კვ. მეტრის ფასი 3000 აშშ დოლარს აჭარბებს.

სტაგნაციაა სომხეთის უძრავი ქონების ბაზარზე, სადაც ძალიან დაბალია ბინების გაყიდვის ტემპები. აქ კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობის ფასი 500-900 აშშ დოლარს შორის მერყეობს.

სამართლებულების
აღმასრულებელი

აშშ-ში ბოლო წელს ბინათმშენებლობის მოცულობამ მნიშვნელოვნად დაიკლო და 31% შეადგინა წელიწადში, რაც აქ განვითარებული იპოთეკური კრიზისის შედეგია. აღნიშნული კრიზისი ევროპულ ბაზრებსაც შეეხო. ყველაზე მეტად კი დიდი ბრიტანეთის უძრავ ქონებაზე იმოქმედა. აქ ბოლო პერიოდში უძრავ ქონებაზე ფასებმა 0,8%-ით დაიკლო, რაც ბოლო 12 წელიწადში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. თუმცა სტაგნაცია ევროპაში ელიტურ უძრავ ქონებას არ შეხებია. მათ შორის, არც ლონდონის ელიტურ ბინების, რომლის ფასებიც კვლავ იზრდება და ბოლო 31 წლის მანძილზე რეკორდულ ნიშნულს მიაღწია – კვ. მეტრი საცხოვრებელი ფასი 2,5 ათასი გირვანება სტერლინგია ანუ 5.1 ათასი აშშ დოლარი.

საქართველოში, კერძოდ თბილისში, პროგნოზის მიხედვით უძრავ ქონებაზე ფასების ზრდა გაგრძელდება, მაგრამ უფრო სტაბილური ტემპებით. რადაც ნიშნულზე ფასების ზრდა შესაძლოა შეტერდეს. მოსალოდნელია, ფასები ზოგიერთმა კომპანიამ საკუთარი მოგების შემცირების ხარჯზე დასწიოს, თუმცა ეს მოკლევადიანი მოვლენა იქნება, რადგან მიწის ფასი მატულობს, ძვირდება საშენი მასალები და საწვავი. ამიტომ უძრავი ქონების გაიაფება უახლოეს პერიოდში მოსალოდნელი არ არის. ამ პერიოდში საშუალო და მცირეშემოსავლიანი მოსახლეობა იძულებული იქნება უფრო დაბალი სეგმენტის ბინებზე გადაერთოს. ექსპერტების აზრით, მომავალში ფასების საშუალო წლიური ზრდა 20% იქნება [2].

ბინებზე ფასწარმოქმნის კრიტერიუმები ბოლო წლებში იცვლება. ე.წ. პრესტიულ უბინებში სამშენებლო რესურსების თანდათან ამოწურვასთან, ჩვეულებრივი ბინებით ბაზრის გაჯერება

ბასთან, კონკურენციის გაძლიერებასა და მოთხოვნების გაზრდასთან ერთად, მოიმატა ელიტურ საცხოვრებელზე მოთხოვნამ. მოქალაქეთა გარკვეულ კონტინგენტს აღარ აკმაყოფილებს მარტო ბინის ფართობი და შიგა კომფორტი. იგი მზადა გადაიხადოს მეტი თანხა კომპლექსური მომსახურებისათვის, დასვენების, გართობისა და სპორტის შესაძლებლებისთვის, უკოლოგიური სისუფთავისთვის და ა.შ.

ბოლო წლებში გაიზარდა აგრეთვე მოთხოვნა ქალაქის განაპიროს მშენებარე დაბალსართულიან და ინდივიდუალურ ვილას ტიპის კერძო სახლებზე, რომლებიც თანამედროვე ინფრასტრუქტურით, მომსახურების მაღალი დონით, ერთიანი დაცული ქალაქთგეგმარებით სტრუქტურას წარმოადგენს.

3. დასკვნა

ამრიგად, დამკვეთის ინტერესების ცვლილებების გათვალისწინებით ბინის ფასწარმოქმნის ძირითადი კრიტერიუმებია: ბინის ფართობი, გეგმარების ხარისხი, სართული და ხედი, ორიენტაცია, გამჭოლი ანუ კუთხური განიავების შესაძლებლობა, ეკოლოგიური მდგომარეობა, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, საგანმანათლებლო, საბანკო და ა.შ. მომსახურება, აგრეთვე მთელი ინფრასტრუქტურისა და ბინის დაცულობა.

ლიტერატურა

1. ქურნალი “უძრავი ქონება”, თბილისი, მაისი, 2008.
2. თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების მეთოდოლოგიური პრობლემები, წიგნი მესამე, რედ. გ. ბერიძე, თბილისი, 2005.

UDC 338.5

SOME FEATURES OF PRICE SETTING ON REAL ESTATE IN TBILISI

G. Makharashvili, T. Makharashvili

Department of architecture, city-building (urbanist), Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is noted, that building business is one of the large scaled and profitable in the world. Many factors affect on prices of real estate, but in Georgia most important is political-economical situation.

There is also mentioned, that last 10-12 years prices on real estate increased chaotically in Georgia. Average profit from investments in housing and commercial development reached 20% in year.

Real estate price setting criteria are discussed and stressed, that in prestigious districts prices are much high, than in suburbs. Last years investor pays quite big attention on quality, ecological conditions, nice views and other factors of development.

There is mentioned, that prices on real estate will rise with more stable temps.

Key words: housing; price setting; criterion; investor; building.

УДК 338.5

ОСОБЕННОСТИ ПРОЦЕССА ЦЕНООБРАЗОВАНИЯ НА НЕДВИЖИМОСТЬ В Г. ТБИЛИСИ

Махарашвили Г.Т., Махарашвили Т.Г.

Департамент архитектуры, градостроения (урбанистики), Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: Строительный бизнес является стабильно прибыльным во всем мире. Вместе с тем, много факторов влияют на цену на недвижимость, однако в Грузии самым значительным является политико-экономическое положение. Отмечается что за последние 11-12 лет в Грузии цены на недвижимость росли хаотично.

В последние годы прибыль от недвижимости составила в среднем 20% в год.

Рассмотрены критерии ценообразования на недвижимость и отмечено, что в престижных районах Тбилиси цены гораздо выше, чем на периферии. В последние годы заказчик большое внимание уделяет элитности квартир, качеству строительства, экологии местности и т.д.

Отмечается, что рост цен на недвижимость продолжится, но более стабильными темпами.

Ключевые слова: жилая застройка; ценообразование; критерии; инвестор; строительство.

შემოსევის თარიღი 30.09.2008
მიღებულია დასაბუქდად 03.10.2008

სამართლებრივი
სამსახური
სამართლებრივი
სამსახური

უკ 72

XX საუკუნის არქიტექტურული სტილი - ბუბი

ი. გაბაშვილი*, მ. მილაშვილი**

არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას ქ., 77

E-mail: arxigabi@hotmail.com*, amv59@mail.ru**

რეზიუმე: განხილულია XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი გამორჩეული არქიტექტურული მიმდინარეობათაგანი ე.წ. “გუგის” სტილი. გუგის (ინგლ. "Googie", ასევე პოპულუჯესი ან დუუპი), როგორც ერთ-ერთი ახალი და გავრცელებული არქიტექტურული სტილის, წარმოშობის იდეურ-მხატვრული წინაპირობები, გავრცელების არეალები, ამ სტილით აგებული გამორჩეული ნაგებობები და ამ მიმდინარეობის ცნობილი ოსტატების ნამუშევრები. გუგი ექსპრესიონისტული და ფუტურისტული ნიშანთვისებების მატარებელი სრულიად ახლებურად გააზრდებული და გადმოცემული არქიტექტურის განშტოება იყო, რომელიც კალიფორნიაში, სამანქანო ტექნიკულტურის, კოსმოსისა და ატომის ხანის ზეგავლენით, 1940-იანი წლების ბოლოს წარმოშვა და 1960-იანი წლების ბოლომდე იარსება. გუგი, ერთი შეხედვით, მარტივი და კოტჩური შარმის მქონე არქიტექტურული სტილი, მეორე მხრივ, კონსტრუქციულად სრულიად ახალი და ნოვატორული იდეების მატარებელი იყო. აღწერილია გუგის არქიტექტურის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები—გამოკვეთილი დეტალების სიუხვე, მახვილი კუთხები, ილუმინირებული პლასტიკური პანელები და შენობებზე თავისუფალი ფორმის შვერილები. დროთა განმავლობაში გუგის არქიტექტურულმა სტილმა ფუტურისტული ელფერი დაკარგა და მოდიდან გავიდა. იმის გამო, რომ თანამედროვეები მას სათანადოდ ვერ აფასებდნენ ამ მიმდინარეობის მრავალი საუკეთესო ნიმუში სრულიად განადგურდა და სამუდამოდ დაიკარგა. ამჟამად, ამერიკაში ამ სტილის ყველა მდიდრებული ძალითა დაცვის ორგანიზაცია აკონტროლებს და იცავს.

საკვანძო სიტყვები: კიტჩის შარმი; არქიტექტურული სტილი; კოსმოსი; ტექნიკულტურა.

1. შესავალი

არქიტექტურული სტილის ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს კაცობრიობის მშვენიერებისკენ მუდმივი სწრაფება. მათზე დიდ ზეგავლენას ახდენდა მთელი რიგი იმ ფაქტორებისა, როგორიცაა: რელიგიური შეხედულებები, სახელმწიფო ბრივი წყობა, აზროვნების სტილი, ნაციონალუ-

რი თავისებურებები, ადგილმდებარეობა, კლიმატი და სხვა ბუნებრივი პირობები.

არქიტექტურული სტილის განვითარებას, როგორც რაიმე იდეის მხატვრულ გამოხატულებას, პირველ რიგში, ხელს უწყობდა ტექნიკური და ტექნილოგიური საშუალებების ზრდა. ახალი ტექნილოგიების დანერგვით გაჩნდა მრავალი ახალი არქიტექტურული სტილის განვითარების წინაპირობა. სწორედ ახალი ტექნილოგიების საშუალებით იცვლებოდა სხვადასხვა დანიშნულების შენობებისა და ნაგებობების, ტაძრებისა თუ საცხოვრებელი სახლების იერსახე.

ახალი არქიტექტურული სტილი, როგორც წესი, არასდროს არ იყო ძველი მემკვიდრეობის აბსოლუტური უარყოფა, იგი აუცილებლად შეიცვდა ძველის ნიშნებს. ამავე დროს, ჩნდებოდა სრულიად ახალი, აქამდე არარსებული მხატვრული ფორმები და ნიშან-თვისებები. თუმცა, კაცობრიობის უახლეს ისტორიაში შემოდის რიგი არქიტექტურული სტილისა, სადაც თითქმის მთლიანად უარყოფილია წარსული ათასწლეულების გამოცდილება, ძველი არქიტექტურული მეთოდები და წესები, ისინი თითქოს “განზრახ” უარყოფენ არქიტექტურაში საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას.

საგულისხმოა თანამედროვე არქიტექტორების მცდელობები აბსოლუტურად განსხვავებულის და ახლის შექმნისა, რის შედეგადაც იქმნება მრავალი ახალი ესთეტიკა, მიმდინარეობები, სტილი.

ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამძლდა XX საუკუნეებში, როცა ახალი ტექნიკური და ტექნილოგიური საშუალებების გაჩენასთან ერთად, მსოფლიო არქიტექტურაში ექსპრიმენტების ხანა დაიწყო.

2. ძირითადი ნაწილი

XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთ მიმდინარეობათაგანია ე.წ. “გუგი”, რომელიც საინტერესოა თავისი ესთეტიკით და იდეური დატვირთვით.

გუგი (ინგლ. "Googie", ასევე პოპულუჯესი ან დუუპი) – ექსპრესიონისტული, ფუტურისტული არქიტექტურის განშტოებაა, რომელიც კალიფორნიაში 1940-იანი წლების ბოლოს, სამანქანო ტექნიკულტურის, კოსმოსისა და ატომის ხანის ზეგავლენით წარმოშვა და 1960-იანი წლების ბოლომდე გრძელდებოდა.


ეს სტილი ერთგვარი სინონიმი გახდა იმ თაობის სულისკვეთებისა, რომელიც მომავალ კაშაშა ტექნილოგიურ-ფუტურისტულ ხანას დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდა.




Space Nidle ხილის „სპეციალური“ (დუბალი)

გუგის არქიტექტურის უნიკალურ სტილზე ამერიკელთა კოსმოსში მოგზაურობით გატაცებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქნია. მოსაზრებები კოსმოსში მოგზაურობის შესაძლებლობაზე უკვე 20-იანი წლების სამეცნიერო ფანტასტიკაში გაჩნდა. 1950-იან წლებში, ისტორიაში პირველად, ადამიანის კოსმოსში მოგზაურობა რეალობდა გახდა. ამერიკელთათვის ეს თემა უკვე აკვიატებულ იდეად იქცა, მას შემდეგ, რაც 1957 წელს საბჭოთა კავშირმა პირველი ხელოვნური თანამგზავრი „სპუტნიკ-1“ კოსმოსში „იდუმალი წყვდიადის“ დასაპყრობად გაუშვა. 1961 წელს კი დედამიწის ორბიტაზე პილოტირებული ხომალდის - „ვოსტოკ-1“ გაშვების შემდეგ, რომელმაც კოსმოსში პირველი ადამიანი - იური გაგარინი გაიყვანა. ამის შემდეგ კოსმოსში პირველობაზე ეიზენპაუერისა და კენედის ადმინისტრაციებმა „წითლებთან“ შეჯიბრი უმნიშვნელოვანებს ეროვნულ პრიორიტეტად გამოაცხადეს. ეს აკვიატებული იდეა უკვე თითქმის საყოველთაო მანიად გადაიქცა.

ვინაიდან კოსმოსის დაპყრობა ეროვნული „ცაიტგაისტის“ მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა, არქიტექტორებმა გადაწყვიტეს, მასებისთვის მომავლის მცირეოდენი „გემოს გასინჯები“ საშუალება ახალი არქიტექტურული ესთეტიკის დანერგვის საშუალებით მიეცათ. ამიტომ, გუგის არქიტექტურული სტილის ერთგვარი ხელწერა მახვილი კუთხები და მორკალული ფორმები გახდა, რაც იმ დროისთვის ტექნილოგიური სიახლის - სარაკეტო ხომალდის აეროდინამიკურობას მიანიშნებდა. თუმცა, ამ უნიკალურ არქიტექტურაში ეს ფორმები ხშირად გაზვიადებულ და გამომწვევ ხასიათს ატარებდა.



General Motors' Futurama ჯენერალ მოტორსის გუბურამა



Spase Nidle 1959 (ხილის ნიღლი - ინგლ. კოსმოსური ნებსი ელგარდ ჭ. კარლსონი (ხილბლუ, მხოფლიო უქსერზია)

არქიტექტორი, არქიტექტორი, არქიტექტორი

გუგის არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშნები - გამოკვეთილი დეტალების სიუხვე, მასკილი კუთხები, ილუმინირებული პლასტიკური ანელები და შენობებზე თავისუფალი ფორმის შვერილები სრულიად მიუღებელი იყო მოდერნისტი არქიტექტორებისთვის, თუმცა ამ სტილმა მე-20 საუკუნის მიურულს დამცველები პოსტმოდერნისტულ გარემოში პოვა.

ელემენტები, რომლებიც განასხვავებს გუგის სხვა არქიტექტურული სტილისაგან, არის - ცალ მხარეს კუთხით ატყორცნილი სხვადასხვა ფორმის სახურავები. ეს ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ელემენტია, რითაც არქიტექტორები თავს იწონებდნენ და რაც ნაგებობას განუმორებელ ელფერს ანიჭებდა. გუგის სტილით აშენებული მრავალი ყავის სახლის და სხვა შენობის სახურავები 2/3-ით ინვერტულად ჩაზნექილი სამკუთხევის ფორმისა იყო.


მახვილი და მორკალული გეომეტრიული ფორმების, მინის, ლითონისა და ნეონის განათების ელემენტების თამაში გამოყენებით გუგი ყავის სახლების, მოტელების, საბილიარდოების, ბოჟლინგისა და ბარების ექსტერიერების და ინტერიერების მოდური არქიტექტურული სტილი გახდა იმ განვითარებულ და გამომწვევ ხასიათს ატარებდა.



ტერმინი „გუგი“- /”Googie“/ დასაბამს 1946 წლიდან იღებს. ალან ჰესი თავის წიგნში „გუგი – ორმოცდაათიანების კუკის სახლების არქიტექტურა“, წერს, რომ ეს სახელწოდება პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც არქიტექტორმა ჯონ ლოტნერმა შექმნა მკვეთრად გამორჩეული არქიტექტურული ელემენტების მქონე შენობა ამავე სახელწოდების ყავახანისთვის („Googie“). ეს ყავახანა ლოს-ანჟელესში სანსეტ ბულვარისა და კრესცენტ ჰაიტსის კუთხეში მდებარეობდა. იგი 1980-იან წლებში დაანგრიეს. ჰესის თანახმად, არქიტექტურული სტილისთვის სახელი „გუგი“ აკვიტებული რუბრიკა გახდა. ერთ დღეს, როცა იელის პროფესორი დუგლას ჰასკელი და ფორმგრაფი იულიუს შელმანი ლოს-ანჟელესში მანქანით მგზავრობდნენ, „Googie's“ დანახვაზე ჰასკელს მანქანის გაჩერება მოუთხოვია და აღმაცემულს განუცხადებია: „ეს გუგის არქიტექტურაა!!“. შემდგომ, 1952 წელს ჰასკელის მიერ ჟურნალ „House and Home“-ში სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, ამ სტილს ეს სახელი საბოლოოდ შერჩა.

არქიტექტორის პროფესორ დუგლას ჰასკელს ეკუთვნის გუგის სტილის ენამახვილი აღწერა, მისი თქმით: „თუ ჩიტ ჰაგს, მაშინ ეს გეომეტრიული ჩიტი უნდა იყოს და შეძლებისდაგვარად ეს შენობები ცაზე უნდა იყვნენ გამოკიდებულინი“. რადგანაც, ერთი შეხედვით, ისინი მოზიდულობის კანონს ეწინააღმდეგებიან.

აღსანიშნავია, რომ გუგი არ გამოირჩევა სინატიფით, მისთვის მთავარი ნიშან-თვისებაა ყოვლისმომცველობა და არა მინიმალიზმი.



„Gugie“-ის სტილში შეხრულებული ინტერიერი

ზოგისთვის ტერმინი „გუგი“ ასოცირდება ესთეტიკურად განდგომილ და გარიფულ არქიტექტურულ სტილთან. სხვათათვის კი – „გუგი“ მომავლის, ენთუზიაზმის იუმორის და გონებამახვილი დამოკიდებულების ასახვაა არქიტექტურულ სტილში, რომელსაც ამჟამად უკავ წარსული პერიოდის სასიამოვნო მოგონება მოაქვს.

გუგის სტილის დამაარსებელი პირველი არქიტექტორის ვინაობა საკამაოა. ამ რანგში ხშირად მოიხსენებენ უეინ მაკალისტერს, მის

მიერ 1949 წელს ტოლუკა ლეიკში რესტორანი „Bob's Big Boy“ - სთვის პროექტის შექმნის გამო.



„Bob's Big Boy“ რესტორანი ტოლუკა ლეიკში, 1949წ. –არქიტ. უეინ მაკალისტერი



Anaheim ConventionCenter (ანაჰიმის კონვენციის ცენტრი) მუშაობა კატეგორიაზე

მაკალისტერთან ერთად გუგის სტილის ყველაზე ნაყოფიერი არქიტექტორები იყვნენ: ჯონ ლოტნერი, დუგლას ჰანოლდი, ლუი არმერი და ელდონ დევისი. ასევე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის დიზაინერ ელენ ლიუ ფონს- „არმერ და დევისის“ ფირმის მთავარ წევრს. ფირმაში მოხვდის შემდეგ, 1951 წელს მან შექმნა გუგის სტილის ისეთი სანიმუშო ინტერიერები, როგორიცაა - „Johnie's Coffee Shop“ უილშირის ბულვარსა და ფერფიქს ავენიუზე, ნორმის პირველი რესტორანი ფიგეროს ქუჩაზე და „პოლიდეკო ბოული“ კრენშოუ ბულვარზე.



Theme Building 1962წ. არქიტ. ჯეიმს ლანგენბაიმი, ლონ-ანჯელები


გუგის სტილის ერთ-ერთი ყველაზე განთქმული შენობა ლოს-ანჟელესის საერთაშორისო აეროპორტთან მდებარე ჯეიმს ლანგენბაიმის აროექტით 1961 წელს აგებული Theme Building-ია.

გუგის მემკვიდრეობის ყველაზე განთქმულ ნიმუშად, უდაცოდ, სიეტლის Space Nidle (სპეის ნიდლი - ინგლ. კოსმოსური ნების, სურათების ზემოთ) ითვლება.

გუგის სტილის ერთ-ერთ უდიდესი და უკანასკნელი შენობებია – კალიფორნიაში ეკლესია „დრაივ-ინ“ და დაუნიში კი რესტორანი „ჯონის

ბროილერი", რომელიც ნაწილობრივ 2007 წელს დაინგრა.

გუგის არქიტექტურულმა სტილმა დიდი გავლენა იქნია რეგრო-ფუტურიზმზე. ეს ერთგვარი მულტიპლიკაციური სტილი სათანადოდ არის ასახული ჯეტსონების ანიმაციებში. ხოლო კალიფორნიაში თავდაპირველი ახაძაიმის დისნეილენდის თება – გუგის თუმოროულენდი (მომავლის ქვეყანა) იყო.



ხარჯლამო ფირნიში

გუგის დამახასიათებელი დეკორატიული ელემენტი – "starbursts" – ("გარსკვლავთფრქენება") ორნამეტია, რომელიც თითქმის გუგის სტილის ყველა ნამუშევარში მეორდება, რაც კოსმოსის ეპოქის გავლენაზე მეტყველებს. ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი ნიმუშია ფირნიში "Welcome to Fabulous Las Vegas" (კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თვალისმიმჭრელ ლას-ვეგასში), რომელიც ამჟამად უკვე საქვემდებრი არის განთქმული.



"Welcome to Fabulous Las Vegas," წარწერა ლას-ვეგასის შესახლელებაზე

ცნობილია გუგის არქიტექტურული სტილის გავრცელების სამი არეალი: მაიამი-ბიზი (ფლორიდა), სადაც მეორეული კომერციული ნაგებობები სესხელობს ფორმებს მორის ლაპიდუსის და სხვა სასტუმროების დიზაინერების საკურორტო ბაროკოსგან. ლას-ვეგასის (ნევადა) და სამხრეთ კალიფორნია, სადაც გარდენ-გრუპში რიჩარდ ნუტრამშმა ააგო ეკლესია "დრაივინ".

გუგის სტილი შთაგონების წეაროდ იქცა ასევე ანიმაციური ფილმის "The Incredibles" (სუკერ ბიბა) მიზანსცენის გაფორმებისთვის.

3. დასკვნა

გუგის თვალში საცემი საკარნავალო იერის მქონე სტილი სწრაფად მოედო მრავალზოლიან ავტოსტრადების მოტელების არქიტექტურას, ყველაზე კარგად კი საგზაო ნიშნებს. გუგის მთავარი

სულისხმამდგმელები მცირე ბიზნესის მფლობელები იყვნენ, რომელთათვისაც ეს მყირალა სტილი თავის გამოჩენის და რეალამირების ხელმისაწვდომი საშუალება გახდა.

დროთა განმავლობაში ამ არქიტექტურულმა სტილმა ფუტურისტული ელფერი დაკარგა, მოდიდან გავიდა. იგი უფრო ფუნქციონალურმა, მაგრამ, გუგის კიტჩურ შარმს მოკლებულმა ნაგებობებმა შეცვალა.



Malibu Surfer Motel, მაღიდუს ერთ-ერთი მოტელის აბრა, კალიფორნია

გუგის თანამედროვეები მას სათანადოდ ვერ ავასებდნენ, სანამ ამ მიმდინარეობის მრავალი საუკეთესო ნიმუში, 1930-იანი წლების არტ-დეკოს სტილის მსგავსად, სრულიად არ განადგურდა და სამუდამოდ არ დაიკარგა.



შიტელლიტე ჰითალანდ (ხატელაიბ შოპსენდი) კატელას გზაზე, ანაკუმი, 1998

ლიტერატურა

1. learning from Las Vegas, Robert venture, 1972.
2. Googie Redux, Alan Hess, 2005.
3. Mimo: Miami Modern Revealed, Eric P. Nash and Randall C. Robinson, Jr. 2004.
4. Orange Roofs, Golden Arches, Philip Langdon, 1986.
5. Southern California in the 50s, Charles Phoenix, 2001.
6. Los Angles Neon, Nathan Marsak and Nigel Cox, 2002.

არამატერული, არასამარტინის
უამისამარტინის

UDC 72

ARCHITECTURAL STYLE OF THE 20 TH CENTURY-GOOGIE**I. Gabashvili, M. Milashvili**

Department of foundations and theory of architecture, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is considered one of the distinguished architectural courses of the second half the 20th century the so called “Googie’s” style, as an ideological and artistic precondition for one of a new and prevalent architectural style’s begining, spheres of spreading, the buildings with this style and works of well-known masters.

Googie was in a new manner considered and given branch of architecture with expressionistic and futuristic signs, which was appeared in California in the end of 1940, till the and 1960, under the influence machine technoculture, space and atom. From one side, this architectural style with the charm of kitsch is ordinary, but the other side it was full with constructive and innovative ideas.

There are described the fundamental typical symbols of architecture Googie-abundance of details, sharp corners, illuminating plastic panels and free form of ledges on the buildings. In due course this style had lost its futuristic sign and now it is out of fashion. As the contemporaries didn’t evaluated it, a lot of beautiful models were destroyed and lost for ever.

Just now, in America, all the objects of this style are under the control of the organization of monument defencing.

Key words: charm of kitsch; architectural style; space; technoculture.

УДК 72

АРХИТЕКТУРНЫЙ СТИЛЬ ХХ ВЕКА - ГУГИ**И.И. Габашвили, М.Т. Милашвили**

Департамент основ и теории архитектуры, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: Рассмотрено одно из выделяющихся архитектурных течений второй половины XX века, так называемый, стиль «Гуги». Это совершило по-новому осмысленное и переданное ответвление архитектуры с экспрессионистскими и футуристическими признаками, возникшее в Калифорнии в 40-ых годах и просуществовавшее до конца 60-ых годов XX века, сложившееся под влиянием эры технокультуры, космоса и атома. С одной стороны, это архитектурный стиль, обладающий шармом китча, с другой стороны, этот стиль был носителем совершенно новых конструктивных и новаторских идей.

Описаны основные характеристические признаки архитектуры Гуги – изобилие деталей, острые углы, иллюминированные пластические панели и свободной формы выступы на зданиях. Со временем этот стиль утерял свой футуристический колорит и вышел из моды. Ввиду того что современники не оценили по достоинству многие чудесные образцы этого течения, они были разрушены и навсегда утеряны. Сегодня в Америке все объекты этого стиля контролирует и охраняет организация по защите памятников.

Ключевые слова: шарм китча; архитектурный стиль; космос; технокультура.

შემოსევლის თარიღი 14.07.2008
მიღებულია დახაბეჭდით 15.10.2008

შაპ 338.24

**საქართველოს ურთიერთობები სამრთაშორისო, საფინანსო-ეკონომიკურ
ორგანიზაციებისან**

მ. მალრაძე*, ნ. ხაჩიძე, ო. წერეთელი, ა. ბურდულაძე

საგზაო დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,
კოსტავას 77

E-mail: mmanana0109@yahoo.com

რეზიუმე: საქართველოს საგარეო ურთიერთობების გაფართოება და განვითარება უახლოესი პერსპექტივის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში სისტემური და ეკონომიკური გარდაქმნები შეუძლებელი იქნებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების მორალური, პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. განხილულია საქართველოს ურთიერთობები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მოცემულია თურა მიზნებსა და ამოცანებს გეგმავენ ისინი ჩვენს ქვეყანაში, რა სახის პროექტები ფინანსდება და ხორციელდება, როგორია ის მოთხოვნები და წინაპირობები, რასაც ისინი უყენებენ საქართველოს და როგორთა შესრულებაც აუცილებელია, რა რეკომენდაციებს იძლევიან ისინი, როგორია ჩვენი ქვეყნის მიზნები ამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში, რა უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრაში ხელშეწყობას მოედნის საქართველო მათგან.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ურთიერთობები; საფინანსო სისტემა; საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციები.

1. შესავალი

საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციები მსოფლიო მასშტაბით უდიდეს როლს ასრულებს როგორც ფინანსური რესურსების მოზიდვის, ისე საქმიანობის საერთაშორისო ნორმების დამკვიდრების თვალსაზრისით. საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურმა ინსტიტუტებმა საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა მსოფლიოში გაონომიკური და ფინანსური წესრიგის დასამყარებლად. მნიშვნელოვანია, რომ დღეს საერთაშორისო გაცვლა, საერთაშორისო ურთიერთობები და გლობალური პრობლემების გადაწყვეტა სწორედ საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების გენდიოთ ხორციელდება.

საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურმა ორგანიზაციებმა მრავალი ჩამორჩენილი და განვითარებადი ქვეყანა გამოიყვანა ეკონომიკური კრიზისიდან, მისცა მათ საკუთარი დამოუკიდებელი საფინანსო სისტემისა და ეროვნული გალუბის

შექმნის საშუალება, ჩააბა ისინი მრავალმხრივ საერთაშორისო ურთიერთობებში.

2. ძირითადი ნაწილი

საქართველოს უპირველესი და უმთავრესი ინტერესი საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტებთან ურთიერთობაში სწორედ დამოუკიდებელი ეკონომიკური და ფინანსური სისტემის ფორმირებაში.

საქართველოსათვის მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციების თანადგომა. სწორედ მათი მხარდაჭერით შეიქმნა და განხორციელდა მრავალი ისეთი პროგრამა, რომელმაც უზრუნველყო საფინანსო და ფულად-საკრედიტო სეგმენტის სტაბილურობის შენარჩუნება, სტრუქტურული გარდაქმნების მხარდაჭერა, ეროვნული ვალუტის შემოღება და დამკვიდრება, მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა განხორციელება და ა.შ.

საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობდა და ამჟამადაც თანამშრომლობს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, გაეროს სააგენტოებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა. მსოფლიო ბანკსა და საქართველოს შორის საქმიანი ურთიერთობები 1992 წლიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც საქართველო გაწევრიანდა ამ ორგანიზაციაში.

აღსანიშნავია საერთაშორისო ჯგუფის შევეღები, რომელსაც მსოფლიო ბანკი სისტემაზე დამტკიცებულ (2 წელიწადში ერთხელ) აწყობს საქართველოსათვის. ამ ღონისძიებაში მონაწილეობს პრაქტიკულად ეველა საერთაშორისო ორგანიზაცია და ღონისძიება, რაც ხელს უწყობს საგარეო დახმარების მობილიზაციას.

საქართველო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წევრი 1995 წელს გახდა. მას შემდეგ კორპორაციამ საქართველოსათვის დამტკიცა შვიდი პროექტი, რომელთა საერთო დირექტულება 55 მლნ აშშ ღოლარია. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილია, რომლის მიზანი კერძო სექტორის გაძლიერებაა. ამ მიზანს კორპორაცია ახორციელებს პირდაპირი ინვესტიციების დაბანდებით კერძო სექტორში სტრატეგიულ ინვესტი-

საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური მდგრადი განვითარებისათვის

რებორ ერთად, აგრეთვე ტექნიკური დახმარებით, რათა კერძო სექტორი უფრო საინტერესო გახადოს უცხოელი ინვესტორებისთვის. პირველი პროექტი კორპორაციამ რეალისტურული ციისა და განვითარების ეფორტულ ბანკთან (EBBD) ერთად საქართველოს მინისა და მინერალური წელების კომპანიაში ინვესტიციებით დაიწყო 1997 წლის.

საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრია 1999 წლიდან.

რა უპირატესობას ანიჭებს ჩვენს ქვეყანას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობა, არის თუ არა ეს მოვლენა პოზიტიური?

ერთი მხრივ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ ქვეწის ეკონომიკის ინტეგრაცია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვითარებას. კერძოდ, იმას, რომ დაიცვს საკუთარი მეურნეობა გარე ძალების დისკრიმინაციული ზემოქმედებისგან, რაც გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია; ქვეყანაში პროდუქცია (თუ ის კონკურენტულიანია) რეალურად შევა ევროკავშირის და სხვა ბაზარზე შედავთიანი პირობებით; ამასთანავე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ტრიბუნაა ქვეწის პრობლემურ საკითხებზე საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მისაქცევად. იგი იძლევა დამატებით ბერებებს აღნიშნულ პრობლემათა მოსაბარებლად, ჩვენს პარტნიორებთან ცვილიზებული, თანასწორი სავაჭრო ურთიერთობების დასამყარებლად. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისათვის ეს ძლიერი მხარდაჭერაა, ხოლო მწარმოებლისათვის რეალური სტიმული.

მეორე მხრივ, ვმო-ს წევრობა საქართველოს ავალებულებს უზრუნველყოს საკუთარი საკანონმდებლო ბაზის პარტნიზაცია საერთაშორისო ნორმებთან. ამასთან, ეფექტურად ამოქმედდა ორმხრივი ხელშეკრულების ფაქტორი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო მიიღებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სხვა წევრ ქვეყნებთან.

ვმო-ს ფარგლებში შეიქმნება ხელსაყრელი პირობები ექსპორტ-იმპორტის დივერსიფიკაციისათვის (იგულისხმება სხვადასხვა ქვეწის ბაზარზე პროდუქციის გადანაწილება). ვმო-ს წევრობა საქართველოს ავალებულებს უზრუნველყოს საპრივატიზაციო პროცესების გამჭირვალობა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებისთვის ეკონომიკური და სავაჭრო რეჟიმის შესახებ ინფორმაციის სისტემაზე მოწოდება, ასევე კანონმდებლობით სასამართლოში აღმინიჭება და მიმდინარეობს გამჭირვალობა და რეგისტრაცია, თავისუფლება, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და თავისუფლები ბაზარი. საქართველოს აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა გლობალურ და რეგიონალურ ორგანიზაციებთან ეროვნული ინტერესების განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მქანიზმია. ეს თანამშრომლობა შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენი წლილი შევიტანო საერთაშორისო მშენებლის, სტაბილურობისა და კმთილდებობის განმტკიცების საქმეში.

ვმო-ში გაწევრიანებამ პრაქტიკულად ჩვენი სახელმწიფოს წინაშე დააყენა ახალი სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების ამოცანა. პოლიტიკის ამოსავალი უნდა იყოს ეროვნული ეფექტიანი ეკონომიკის ფუნქციონირება

და ვმო-ს პრინციპებით ურთიერთგანმსაზღვრული “თამაშის წევების” დაცვის აუცილებლობა. ახალ პოლიტიკაში რეალურად უნდა განისაზღვროს გეოპოლიტიკური პრიორიტეტები, ქვეწის შიგნით ბაზრის კონიუნქტურის შესწავლისა და პროგნოზირების, პროდუქციის რეკლამირების, უცხოელ მეწარმეთავოს ვაჭრობის გარემოს შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდების მექანიზმები, მომსახურების ექსპორტის ზრდის გარემოს შექმნა, კვალიფიციური კადრების მომზადების ორგანიზაცია. აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობით ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიზობის ამაღლება, პარტნიორ სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობათა სისტემის სრულყოფა, საინვესტიციო აქტივების ამაღლება, შესაბამისი საკონსულტაციო-საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნა და ა.შ. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით საყურადღებო ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის და ანალიზის, პარტნიორ სახელმწიფოების შესაბამის სტრუქტურებთან ინფორმაციის გაცვლის ორგანიზაცია; ყოველმხრივ შესწავლას მოითხოვს სატრანზიტო შესაძლებლობათა ეფექტიანად გამოყენების საკითხები და სხვ.

დასასრულ, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ: მსოფლიო ბაზის ბოლო ანგარიშის – ბიზნესის კეთება 2007 – მიხედვით საქართველოს გასულ წელს ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე დიდი წინსვლა ჰქონდა. მსოფლიო ბაზის შესაბამის რეიტინგში ქვეყანამ 112-ე ადგილიდან 37-ზე გადაინაცვლა და ისეთ სახელმწიფოებსაც კი გაუსწრო, როგორებიც იტალია და ესპანეთია.

3. დასკვნა

გლობალურ სამყაროში მრავალმხრივი დიპლომატია გადამზევები როლს ასრულებს საერთო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომელიც ეფუძნება ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა დემოკრატია, თავისუფლება, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და თავისუფლები ბაზარი. საქართველოს აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა გლობალურ და რეგიონალურ ორგანიზაციებთან ეროვნული ინტერესების განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მქანიზმია. ეს თანამშრომლობა შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენი წლილი შევიტანო საერთაშორისო მშენებლის, სტაბილურობისა და კმთილდებობის განმტკიცების საქმეში.

საქართველოსთვის, როგორც მრავალსაუკუნვანი ისტორიისა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე სახელმწიფოსათვის, მნიშვნელოვანია იუნესკოს როლის გაძლიერება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში,

ასევე საერთაშორისო საფინანსო-სავაჭრო ორგანიზაციებთან ინტენსიური თანამშრომლობა მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს უზრუნველყოფს ტექნიკური დახმარების პროგრამებით, რეკომენდაციებით ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე და ეკონომიკური ზრდის მისაღწევად სესხების გამოყოფით.

ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატო) საქართველოს თანამშრომლობა უფრო მნება საერთო ფასეულობებს და იმ პრინციპს, რომ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელია მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით. ნატოსთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საქართველოში დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცებას, დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას.

ევროპავშირთან საქართველოს მზარდი თანამშრომლობა განპირობებულია საქართველოს მიერ ევროპული ფასეულობების აღიარებითა და ქართველი ხალხის ევროპულ ოჯახში დაბრუნების ისტორიული მისწრაფებით.

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) რეგიონალური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა, რომლის მეშვეობითაც საქართველო ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად საერთაშორისო მხარდაჭერას მოიპოვებს.

ვაჭრობის მხოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ პრაქტიკულად ჩვენი სახელმწიფოს წინაშე დააყენა ახალი სავაჭრო პოლიტიკის (როგორც საშინაო, ისე საგარეო) შემუშავებისა და განხორციელების ამოცანა, სახელმწიფო ეკონომიკური ზრდის ურთიერთობათა სისტემის სრუ-

ლეფოდა, საინვესტიციო აქტივების ამაღლება, შესაბამისი საკონსულტაციო-საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნა და ა.შ. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით საყურადღებოა ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის და ანალიზის, პარტნიორ სახელმწიფოების შესაბამის სტრუქტურებთან ინფორმაციის გაცვლის ორგანიზაცია; ყოველმხრივ შესწავლას მოითხოვს სატრანზიტო შესაძლებლობათა ეფუძნება გამოყენების საკითხები და სხვ.

ლიტერატურა

1. საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო 1992-2000. საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო საბჭოს სამდივნოს გამოცემა, თბილისი, 2002. გვ. 4-10.
2. საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო 1992-2000, საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის გამოცემა, თბილისი, 2000, გვ. 169-170.
3. გრიგოლია რ. მსოფლიო ბანკი და საქართველო // ეკონომიკა. თბილისი, 2001. №3.4. გვ. 69-71.
4. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 2001, გვ. 153-154.
5. www.embassy.mfa.gov.ge/mfa.gov.ge/files/final-gebolo.doc უკანასკნელად შემოწმების თარიღი 05.06.2008.
6. www.economy.gol.ge/websecurityguard.com/news.aspx უკანასკნელად შემოწმების თარიღი 05.06.2008.

საქართველოს მთავრობის
საგანვითაო მინისტრის
სამინისტრო

UDC 338.24

GEORGIA'S RELATIONS WITH THE INTERNATIONAL FINANCIAL-ECONOMIC ORGANIZATIONS

M. Maghradze, N. Khachidze, T. Tsereteli, A. burduladze

Department of road, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: Expansion and development of foreign affairs of Georgia are one of the most important priorities of the nearest perspective. It can be said, that system and economic reorganizations in our country would be impossible without moral, political and financial support of international organizations.

Proceeding concerns Georgia's affairs with international organizations, what aims and tasks are planned by them in our country, what kind of projects are financed and implemented, what are the requirements and prerequisites, which are conditioned to Georgia and execution of which is obligatory. What are the recommendations they give, what are the aims of the country in relation to these international organizations, assistance of what important issues solution Georgia awaits from them.

Key words: international relations; financial system; international financial-economic organizations.

УДК 338.24

СВЯЗИ ГРУЗИИ С МЕЖДУНАРОДНЫМИ ФИНАНСОВО-ЭКОНОМИЧЕСКИМИ ОРГАНИЗАЦИЯМИ

Маградзе М.Д., Хачидзе Н.Л., Церетели Т.Р., Бурдуладзе А.Р.

Департамент дорог, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: Расширение и развитие иностранных отношений Грузии является одним из важнейших приоритетов ближайшей перспективы. Можно сказать, что в нашей стране системные и экономические преобразования были бы невозможны без моральной, политической и финансовой поддержки международных организаций.

Труд касается отношений Грузии с международными организациями, какие цели и задачи ставят они в нашей стране, какие проекты финансируются и осуществляются, каковы те требования и предпосылки, которые они ставят Грузии и выполнение которых является необходимостью. Какие рекомендации дают они, каковы цели нашей страны в отношении этих международных организаций и содействия в решении каких важнейших задач ждет от них Грузия.

Ключевые слова: международные отношения; финансовая система; международные финансовые - экономические организации.

გემოსელი თარიღი 14.07.2008
მიღებულია დასაბუჭიდავ 18.07.2008

შაპ 625.7.8

ცივი ასფალტგათონის გამოყენების პერსპექტივები საბზაო მშენებლობაში

ა. ბურდულაძე*, მ. მაღრაძე, ბ. ყაჭიური, დ. გაბუნია

საგზაო დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,
ქოხებავას 77

E-mail: mmanana0109@yahoo.com

რეზიუმე: განხილულია ასფალტგათონის საგზაო სამოსების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის საკითხები ცივი ნარევების გამოყენებით. ცივი ბიტუმინერალური ნარევების მიღება შესაძლებელია სხვადასხვა მინერალური მასალების ნაკლებად ბლანტი ბიტუმებით დამუშავების შედეგად, ამასთანავე, ცივი ასფალტგათონის ნარევის დასამზადებლად შესაძლებელია გამოვყენოთ დაბალი სიმტკიცის ადგილობრივი მასალა, რაც დამატებით ეკონომიკურ უფექტს იძლევა. დასაბუთებულია, რომ ბიტუმის ემულსიის გამოყენებით შესაძლებელია ცივი ასფალტგათონის ფიზიკურ-მექანიკური და საექსპლუატაციო თვისებები მივუახლოვთ ცხელი ასფალტგათონის ნარევის მაჩვენებლებს, ხოლო ცივი ასფალტგათონის ნარევის და ცემენტქვაშის სხნარის ერთობლივი გამოყენებით შესაძლებელია ძვრისადმი მდგრადი საგზაო ფენილის შექმნა. მოცემულია ცივი ნარევების თვისებების გაუმჯობესების მეთოდები, კომპოზიციური საგზაო ფენილების კონსტრუირების შესაძლებლობა ცივი ნარევების გამოყენებით. დასაბუთებულია ამ ნარევების გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური უფექტურობა.

საკვანძო სიტყვები: ცივი ასფალტგათონი, ბიტუმის ემულსია.

1. შესავალი

საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგრამარების მიუხედავად, საავტომობილო პარკი მნიშვნელოვნად იზრდება. მგზავრთა გადაყვანასა და ტიკირთების გადაზიდვაში საავტომობილო ტრანსპორტის კუთრი წილის გაზრდა მოითხოვს საავტომობილო ქსელის სრულყოფას (როგორც ახალი გზების მშენებლობას, ასევე არსებულის რეკონსტრუქციას), რათა უზრუნველყოფილ იქნება ტრანსპორტის ნორმალური ქსელუატაცია წლის ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ამინდში.

საქართველოში საავტომობილო გზების დაქალაქის ქარხების სავალი ნაწილის სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მაჩვენებლები სშირ შემთხვევაში გაუარესებულია და სასწრაფო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. ეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია საგზაო ფენილების დაბალი სიმტკიცით, ძვრისადმი

არასაცმარისი მდგრადობით და დაბალი ცვეთა-მედებით, რის გამოც მათი ხანგამძლეობა შემცირებულია, ხოლო სატრანსპორტო ხარჯები გაზრდილი.

2. ძირითადი ნაწილი

მცირე დანახარჯებით მდგრადობის გამოსწორება-გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია ისეთი თანამედროვე საგზაო მიღწევების გამოყენება, როგორიცაა: ცივი ბიტუმინერალური ნარევები, ძვრისადმი მდგრადი საგზაო ფენილები და ა.შ.

შემოსევის თარიღი 15.07.2008
დოკუმენტის დასაბუჭიფად 22.10.2008

შპბ 336.5**თანამედროვე კაპიტალმოძრაობის ძირითადი თავისებურებანი**

რ. ქუთათელაძე* ა. აბრალავა, ნ. აბრალავა

ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, ქოსტავას 77

E-mail: r.kutatelaze@gtu.ge

რეზიუმე: განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნებში კაპიტალმოძრაობის სქემები მათი საეციფიკისა და სოციოკულტურულ თავისებურებათა გათვალისწინებით განხსნავებულია.

ცალკეული ქვემოთ დამტურებულ თავისებურებაა ქცევის ეწ. „ქსელური“ პრინციპი, რომელზეც დაფუძნებული სტრუქტურა არ არის ეროვნული მოდელი, თუმცა „ქსელური“ ტნკებს შეიძლება აღმოჩნდეს ეროვნული ადაბტაციის შესაძლებლობები. ტნკების ფუნქციური სისტემაში აისახება ინტერნაციონალური, მონდეალური და გლობალური ურთიერთობები.

გლობალიზაციის პირობებში კაპიტალმოძრაობის პროცესის ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვითილოთ მასთან დაკავშირებულ ფაქტორთა ფართო წრე და გავაკეთოთ ობიექტური თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ტნკ (ტრანსნაციონალური კორპორაციები); ადაბტური სისტემა; „ქსელური“ პრინციპი.

1. შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ფინანსური ბაზარი მთლიანობაში შეიძლება განვითილოთ როგორც ადაპტური სისტემა, რომელსაც შესწევს უნარი, ადეკვატური რეაქცია მოახდინოს გლობალურ ფაქტორთა ცელილებაზე, განსაზღვროს ინვესტიციური ნაკადების განაწილების დარგობრივი და გეოგრაფიული ორიენტირები, მოქმედების კონკრეტული სქემები.

2. ძირითადი ნაწილი

კაპიტალის გლობალიზაცია, ეს გახდავთ თავისებური პასუხი გლობალურ ეკონომიკურ გამოწვევებზე, მაგრამ ამავე დროს იგი საფრთხესაც უქმნის მსოფლიო ეკონომიკურ მდგრადობას, მის წონასწორობას, რადგანაც იგი ახდენს რეგიონალური და პერიფერიული კრიზისების პროცერებასაც, როგორც ამას ადგილი პერიოდის წარსულში სამსრეფი აღმოსავლეთ აზიასა და არსებობის შემთხვევაში მას და იწვევს ფართომასშტაბიან სოციალურ-ეკონომიკურ რყევებს.

და არგენტინაში (და რაც რეალურად ხდება დღეს კასპიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებში).

ექსპერტების შეფასებით არგენტინაში 1990-იან წლებში იმპორტირებული დოლარის მხოლოდ 1/3 ხმარდებოდა წარმოების სფეროს, ხოლო ამ კაპიტალის (1/3-ის), ასევე, 1/3 ხვდებოდა რეალურ დაბანდებაში, ხოლო 2/3 ხმარდებოდა საწარმოების შემენას. უცხოურმა კაპიტალმა შეიძინა აგრეთვე ბანკები, უცხოური ვალუტის პირდაპირი გავლენის ქვეშ აღმოჩნდა ქვეყნის ფინანსური სისტემა. რეალურად განხსორციელდა სპეციალური კაპიტალის დაბანდება, რამაც შეარყიდა ქვეყნის ეკონომიკის დინამიკური განვითარების საფუძვლები, მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტი. 2001 წელს დავალიანების დაფარვას მოხმარდა მოელი საექსპორტო შემოსავლების თითქმის 85%. მოუხედავად იმისა, რომ 2000 წელს სხვ-მა (საერთაშორისო სავალუტო ფონდი) მისცა 40 მლრდ დოლარიანი სესხი, ქვეყანა იქცა ბანკროტად იმ დისპროპორციების და არასტაბილურობის გამო, რომელიც წარმოშვა ეროვნულ სამეურნეო სისტემაში.

როგორც ვხდავთ, სურათი საკმაოდ ნაცნობია. თითქმის ანალოგიური სიტუაციაა პოსტკოიალისტურ სივრცეში, მათ შორის, არც საქართვლოა გამონაკლისი, და როგორც იტყვიან, „კომენტარი ზედმეტი“. ეს გახდავთ გლობალური კაპიტალმოძრაობის პპრობირებული, სტანდარტული სქემები, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ სპეციფიკას, ხოლო ზოგადი მიზანი და მისი მიღწევის საშუალებები პრაქტიკულად ერთი და იგივეა.

ფინანსური კაპიტალის მიგრაცია განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკის ციკლურ ხასიათს, რამდენადაც ესაა მოძრაობა ცნებრიდან პერიფერიისაკენ ეკონომიკური ბუმის პერიოდში და უკან დაბრუნება სტაბილურ ზონებში, როდესაც შესამჩნევი ხდება დამტავლების დაწესება. საერთაშორისო კაპიტალის ასეთი „რეზონანსული“ თავისებურება სულ უფრო აქტიურად ზემოქმედებს გლობალურ ეკონომიკურ სისტემაზე, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მას და იწვევს ფართომასშტაბიან სოციალურ-ეკონომიკურ რყევებს.

ვაჟრობასა და ფინანსებში კონკურენტული გარემოს დამკვიდრებისა და ლიბერალიზმის იდეოლოგია ეს ეკონომიკური დემოკრატიის უზრუნველყოფის აუცილებელი ფაქტორია, მაგრამ ამ იდეოლოგიას აქტიურად და ფართო

მასშტაბით იუქნებენ მხოლოდ მსხვილი ფინანსური ჯგუფები და ტრანსნაციონალური კორპორაციები, წარმოშობები რა გლობალურ მოხოლოდიებსა და ოლიგოპოლიებს. გლობალური მიზნების მიღწევის გზაზე ხდება სხვადასხვალობალური თუ რეგიონალური კონფლიქტების ინსპირაცია, რისი უზრუნველყოფაც პოლიტიკური და სამხედრო ინსტრუმენტებით ხდება.

გლობალური ეკონომიკური პროცესების მთავარი მოთამაშეები ისტრაფიან დაამყარონ სრული კონტროლი გლობალიზაციის პროცესზე და, აქედან გამომდინარე, ფინანსებზე, წარმოებაზე, ახალ ტექნოლოგიებსა და ინტელექტუალურ რესურსებზე.

სრულიად ახალ ფაზაში შედის ტრანსნაციონალური კაპიტალის კონცენტრაცია, იქმნება ძლიერი ცენტრები, ფართოვდება მათი უცხოური ფილიალები, რაც უნდა ჩავთვალოთ პირდაპირ ინვესტიციებად. ტერიტორიულ-სივრცობრივ კონტურთან ერთად თანამედროვე გლობალური ეკონომიკა ქმნის ტრანსნაციონალურ კორპორაციათმორის საწარმოო და ფინანსურ ურთიერთკავშირს. ტნკების მიერ კონტროლირებად საწარმოებში წარმოებული პროდუქციის მოცულობა მხოფლიო წარმოების დაახლოებით 25%-ია. ტნკ - ების ფარგლებში ვაჭრობაზე, დამოუკიდებელ კომპანიებთან ვაჭრობის ჩათვლით, მოდის მსოფლიო ვაჭრობის 2/3, მათ შორის, მესამედი – შინასაფირმო ვაჭრობაზე [1].

წარმოებასთან დაკავშირებული ტნკები თავიანთ ფინანსურ ნაკადებში ითვალისწინებენ თანხების რეინვისტირებას, რაც დაკავშირებულია უცხოური ფილიალების შექმნასა და გაფართოებასთან. გარდა ამისა, აქტიურად საქმიანობენ კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე ინვესტიციების მიმდევ ქვეყანაში დამატებითი რესურსების მოზიდვის მიზნით. ამიტომ ტნკების მიერ მოზიდული ინვესტიციების საერთო მოცულობა, ჩვეულებრივ, ადემატება მათ მიერ გათვალისწინებულ პირდაპირ ინვესტიციებს.

ცალკეულ გამოკვლევებში, ჩეხენი აზრით, აშკარად გადაჭარბებულია შეფასებული თანამედროვე საწარმოო კაპიტალის შესაძლებლობები მისი მობილურობისა და იაფი სამუშაო ძალის რაიონებში გადაადგილების თვალსაზრისით, ვინაიდან აქ სათანადოდ არაა შეფასებული კაპიტალის ექსპორტთან დაკავშირებული ისეთი ბუნებრივი ბარიერები, რომლებიც საჭიროებს დიდი ოდენობის ხარჯებს ახალი საწარმოების შექმნაზე, ადგილობრივი თავისებურებების შესწავლაზე, სამედიცინური კონტრაგენტისა და დამსაქმებლის რეპუტაციის შექმნაზე. ამიტომ ინდუსტრიულ და არაგები განიხილება, როგორც გლობალური კონტურენციის ძირითადი ინსტრუმენტები და კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი. მათი მხარდაჭერა უზრუნველყოფილია სამთავრობო პროგრამებითა და მმართველობითი გარდაქმნებით.

აგნიშნულ ქვეყნებში, მიუხედავად ასეთი ერთიანი მიდგომის, მიღწეული ცვლილებებისა და ეფექტიანობისა, დღის წესრიგში დადგა ეროვნულ ეკონომიკათა შედარებითი ანალიზის საკითხი, მათ შორის, სოციოეკონომიკული ასპექტით.

თანამედროვე განვითარებების პირობებში სწორედ ამ კონკურენტულ უპირატესობათა პრიორიტეტები განსაზღვრავს პირდაპირი საწარმო ინვესტიციების ნაკადების მიმართულებებს (იგივე ფაქტორები შედარებით ნაკლებ გავლენას ახდენს მოკლევადიან კაპიტალმოძრაობაზე, რომელთა საერთო ჯამი რეალური ეკონომიკის მოთხოვნებს ადგმატება). ქვეყნები, რომლებიც გვიან შევიდნენ ბაზარზე, არათანაბარ პირობებში ხვდებიან იმ მწარმოებლებთან, რომლებიც უკვე დამკვიდრებული არიან კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე.

არაერთი მკალევარისა და სპეციალისტისათვის გახდა საყურადღებო ეს სიტუაცია. ისინი ადნიშნავენ, რომ კაპიტალისა და სავალუტო ბაზრების დამოუკიდებლობა სულ უფრო მეტ ბარიერს უქმნის ცალკე რომელიმე ქვეყნის ჰემბარიტად დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის არსებობას. ამიტომ კონკურირება – ეს ნიშნავს მსოფლიოში საერთო-ეკონომიკურ ცვლილებებთან პოლიტიკის სინქრონიზებას და საქართველო მდგომარეობის განმტკიცებას სხვა ქვეყნებთან შედარებით, რაც, პირველ რიგში, მთელი სახელმწიფო პოლიტიკის პრეროგაბივა. ასეთი მიზანმიმართული პოლიტიკის წევალობით ჯერ იაპონიამ, შემდეგ “აზიის გეფხევებმ”, დაბოლოს გიგანტურმა ჩინეთმა, რომლებიც დიდნან იცავდნენ საკუთარ ბაზრებს, შეძლეს კონკურირება მსოფლიო დონეზე და დაიკავეს ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტი. ამ ქვეყნებში ახალი ტექნოლოგიები და დარგები განიხილება, როგორც გლობალური კონტურენციის ძირითადი ინსტრუმენტები და კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი. მათი მხარდაჭერა უზრუნველყოფილია სამთავრობო პროგრამებითა და მმართველობითი გარდაქმნებით.

აგნიშნულ ქვეყნებში, მიუხედავად ასეთი ერთიანი მიდგომის, მიღწეული ცვლილებებისა და ეფექტიანობისა, დღის წესრიგში დადგა ეროვნულ ეკონომიკათა შედარებითი ანალიზის საკითხი, მათ შორის, სოციოეკონომიკული ასპექტით.

იაპონიისა და რიგი აზიური ქვეყნების მიღწეულების რომ მათი ეკონომიკური სისტემების ორგანიზაცია არსებითად განსხვავდება დასავლეური მოდელებისაგან. ჩრდილო-აქტიური ცვლის ალტერნატიული იაპონური და აზიური სოციალურ-ეკონომიკური მოდელები ეხება როგორც სახელმწიფოს როლს ეკონომიკაში, ისე აზიისა და დასავლების ბიზნესის საბაზრო ფორმების მნიშვნელოვან ვარიაციებს. ამასთან, ტნკების სამხრეთკორეული, ჩინური, ტაივანური და პონგინგური ორგანიზაციული ფორმები განსხვავდება ერთმანეთისაგან არანაკლებ, ვიდრე უველა დანარჩენი ერთად ადგებული ანგლო-საქსური კორპორაციული მოდელისაგან.

ამიტომ, თუ საერთაშორისო კაპიტალის პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი ნაკადები უშეალიდ არის დამოკიდებული ეროვნულ ეკონომიკათა კონკურენტუნარიანობა-პოტენციალზე და მათ კონცენტრაციას უფრო გამოკვეთილი სახე აქვს შედარებით განვითარებულ ქვეყნებში, მაშინ საერთაშორისო არხებით მიღებული უცხოური ინვესტიციური ნაკადების გამოყენების ეფექტიანობა – ეს უკვე ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის კონკრეტული მოდელების ფარებია კომპანიის დონეზე.

გლობალიზაციის პირობებში კორპორაციული ბიზნესის ორგანიზაციაში მიმდინარე ცვლილებებს ცალკეულ ქვეყნებში ახასიათებს როგორც საერთო, ისე სპეციფიკური გამოვლინებები. მაგალითად, ნებისმიერი თანამედროვე ორგანიზაციული ფორმის ტრანზისისათვის საერთო ნიშანია მათი ქვევის ეწ. “ქსელური” ხასიათი, როგორც ურთიერთზემოქმედების პრინციპი თორგანიზაციის ყველა “ინსაიდურ” ჯგუფს შორის, ისე “ინსაიდერებსა” და “აუტსაიდერებს” (შიგა მიმწოდებლებსა და კლიენტებს) შორის. ახალი ორგანიზაციული ფორმები გამოირჩევა შედარებითი მოქნილობით თავისი რესურსების (ადამიანური, მატერიალური, არამატერიალური) ოპერატულობით. ტრანზის უარს ამბობენ როგორც ტრადიციულ “ვერტიკალურ”, ისე გლობალური “ადგილობრივი ბაზრების” ურთიერთობათა მოდელებზე. შედეგად ისინი გადაიქვევიან გლობალურ ინტეგრაციულ ქსელად, რომელსაც აქვს შემდეგი თავისებურებები: ძლიერი პორიზონტალური კავშირები, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნების მასშტაბით აღწევს გლობალური “ქსელის” თითქმის ყველა სტრუქტურაში და მდგრადი ურთიერთზემოქმედება გლობალური კორპორაციული “ქსელის” ყველა დონეზზ; უარის თქმა “მირითადი ბაზრების” ქვეყნისადმი შტაბ-ბინის ორგანიზაციულად და ფიზიკურად მკაცრად დაქვემდებარების პრინციპზ; შტაბ-ბინის საქმიანობის ფუნქციური გარდაქმნა, რათა დაძლევლი იქნეს მისი შემაგერხებელი გავლენა სხვადასხვა დონეზე კოორდინაციის პროცესში; ინოვაციური რესურსების “დისპერსიული” ტალღური გავრცელება ტრანზის მოედ “ქსელებში”.

სრულიად ცხადია, რომ თანამედროვე გლობალური ტრანზის “ქსელური” სტრუქტურა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ეროვნული ეკონომიკური მოდელი. ამიტომ ტრანზის გავრცელებულ ქსელურ სტრუქტურას სხვადასხვა ქვეყნაში ექნება თავისი არსებითი თავისებურებანი და გამორიცხული არაა პრობლემური ხასიათიც, რადგანაც შეიძლება კორპორაციული “ქსელის” მაქსიმალური გაფართოება მოითხოვის.

ამსთან, “ქსელური” ტრანზის ეროვნული ადაბტაციის შესაძლებლობები შეიძლება ფართო აღმოჩნდეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, მაგალითად, იაპონიის მიღწევებს, რომელიც ახორ-

ციელებს ბიზნესის საკუთარი, სხვადასხვა სახის ორგანიზაციული ფორმების ექსპორტირებას. ეს ფორმები საქმაოდ ეფექტიანად “მუშაობს” ცალკეულ ქვეყნებსა და სოციოკულტურულ გარემოში.

საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციის ეროვნული ფორმების ურთიერთშედწევა ხდება ქვეყნებისა და რეგიონების სპეციფიკის შეარჩენებით, რაც გალენის ახდენს როგორც ინვესტიციური ნაკადების გავრცელების გეოგრაფიაზე, ისე სხვადასხვა ეროვნულ პირობებში მაღალტექნილოგიურ-ინფორმაციულ სისტემებზე დაფუძნდელი ქსელური ტრანზის თანამედროვე დასაჭლელი მოდელების გავრცელების პერსპექტივაზე.

მსოფლიოს სამ ძირითად რეგიონში – დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა და აღმოსავლეთ აზია – ეს პროცესი გარკვეულად განსხვავდებულია და საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

3. დასკვნა

ტრანზის ფუნქციურ სისტემაში აისახება ინტერნაციონალური, მონდევალური და გლობალური ურთიერთობები, ტექნოლოგიურ და სოციოკულტურული შეთავსებადობის ხარისხი, ინვესტიციური ნაკადების მართვისა და შრომის ორგანიზაციის რეგიონალური სპეციფიკა. ყოველივე ამას საფუძვლად უდევს სხვადასხვა სფეროში არსებული აბსოლუტური თუ შედარებითი უპირატესობები.

ამ რაკურსით გაკეთებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს დაგაზუსტოთ გლობალიზაციის პირობებში ინვესტიციური ნაკადების განაწილებასთან დაკავშირებული ხელშემშლელი ფაქტორები, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რეგიონალური კონფლიქტები, რეგიონის განვითარების დონე და გავლენის მასშტაბი. ფაქტორთა ამ წრის ობიექტური განხილვა და მასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო სპექტრის ანალიზი არაერთი საინტერესო შეფასების გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

ლიტერატურა

1. World investment report 1999: foreign direct investment aither chellenge of development: over view // UN, conf. on trade. Development. – N. Y. Geneva: UN. 1999-VI, p. 15.
2. World investment Report 2000. Gross-country mergers and acquisitions and development – NY: UN-CTAD – 2000
3. Klare M. Waging postindustrial warfare on the global battle field// Current history. – Philadelphia, 2001 – vol. 100 - # 650

UDC 336.5

MAIN FEATURES OF CONTEMPORARY INVESTMENTS**R. Kutateladze, A. Abralava, N. Abralava**

Department of economics and business management, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: Taking into the consideration social cultural features scales of investments and their specifics differ in countries with different levels of development.

Attention of capitals and currency market create a threat to the independence of separate countries.

Efficiency of TNC is defined by their organization form. Their common characterized feature is so called “net” principle, the structure is based on, which doesn’t present native model, though nets TNC appeared to have properties of native adaptation.

There are reflected international and global relations in functional system of TNC.

Analysis of investment process in condition of globalization gives us a chance to reveal a wide circle of factors connected to it and make objective theoretical and practical meaning conclusions.

Key words: TNC (transnational corporations); systems of adaptation; “net” principle.

УДК 336.5

ОСНОВНЫЕ ОСОБЕННОСТИ СОВРЕМЕННОГО КАПИТАЛОВЛОЖЕНИЯ**Кутателадзе Р. Г., Абралава А. Г., Абралава Н. А.**

Департамент управления экономикой и бизнесом, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: С учётом социально-культурных особенностей отличаются схемы капиталовложения и их специфика в странах с разным уровнем развития.

Независимость капиталов и валютных рынков создает угрозу независимости отдельных стран.

Эффективность ТНК определяет их организационная форма. Их общей характерной особенностью является так называемый «сетевой» принцип поведения. Основанная на нем структура не представляет национальную модель, хотя у «сетей» ТНК могут оказаться возможности национальной адаптации.

В функциональной системе ТНК отражаются интернациональные, мондиальные и глобальные отношения.

Анализ процесса капиталовложения в условиях глобализации даёт нам возможность рассмотреть широкий круг связанных с ним факторов и сделать объективные теоретически и практически значимые выводы.

Ключевые слова: ТНК (транснациональные корпорации); системы адаптации; «сетевой» принцип.

შემოსვლის თარიღი 30.09.2008
მოღვაწეთა დასაბუღავი 07.10.2008

უსაკ 355.4 სამხედრო სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთდამოკიდებულების ახალი პონციბურაცია

ე. მემარიაშვილი

ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ისტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, ქოსტავას 77

E-mail: medzmariashvili@ggsmea.ge


რეზიუმე: განხილულია სამხედრო თეორიის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი – სამხედრო სტრატეგიის, ტაქტიკისა და ოპერატიული ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულების კონცეპცია და მისი კონფიგურაცია. ამ მხრივ, შემოთავაზებულია ახალი მიღღობა, რაც თანამედროვე პირობებში სამხედრო სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნების და ტაქტიკის ურთიერთდამოკიდებულების კონფიგურაციის საშუალებას იძლევა, მათ შორის, არაპირდაპირი მოქმედების და ინფორმაციული ომების ჩათვლით.

საკვანძო სიტყვები: ასიმეტრიული ომები; არაპირდაპირი მოქმედებები; კატასტროფების თეორია; სტრატეგია; ოპერატიული ხელოვნება; ტაქტიკა.

1. შესავალი

ჩვენი მიზნია, შეიარაღებული ძალების შშენებლობისათვის შესწავლილ იქნეს სამხედრო ხელოვნების შემაღებელი ნაწილების კონფიგურაციული და შინაარსობრივი ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რის გარეშეც წარმოუდგენელია განისაზღვროს თვით შეიარაღებული ძალების სტრუქტურა [1 - 8].


აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თეორიის სპეციალისტები [9] იყენებენ სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთდამოკიდებულების სქემას (ნახ. 1).



ნახ. 1. სამხედრო სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთდამოკიდებულების გაგრცელებული სქემა – გარიანტი I

მნელია, დაეთანხმო ასეთ პრინციპებს სქემას, მით უმეტეს, როცა ადიარებ, რომ ტაქტიკით წყდება სტრატეგიული ამოცანები ანუ ხაზს უსგამ მათ ურთიერთობას.


აღნიშნული მოთხოვნებისადმი, გარკვეულად ადაპტაციისათვის რიგ სტატიებში სტრატეგიის და ტაქტიკის ურთიერთობას ისინი ასეთი სქემით წარმოაჩენენ (ნახ. 2).



ნახ. 2. სამხედრო სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთდამოკიდებულების გაგრცელებული სქემა – გარიანტი II

მაგრამ მოცემული სქემა, ტაქტიკისა და სტრატეგიის ფუნქციური არების შემდგომი და-ახლოებით, მიზნმუმდე ამცირებს ოპერატიული ხელოვნების არსებობას, რაც არარეალურია.

ასევე, ხელოვნური წარმოშობის ნიშნების მა-ტარებელია სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნების და ტაქტიკის სამხედრო ხელოვნების სტრუქტურაში წარმოდგენის სქემა (ნახ. 3).




ნახ. 3. სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთგანთავსების გაგრცელებული სქემა

2. ძირითადი ნაწილი


საკითხის რეალური წარმოსახვისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია განხილული სქემების სხვა კონფიგურაციებით წარმოდგენა.

ამდენად, სამხედრო ხელოვნების შეფასების ლოგიკას და თანამედროვე ომების ხასიათს და შინაარსს შეესაბამება შემდეგი სქემა (ნახ. 4).



ნახ. 4. სამხედრო სტრატეგიის, მოქმედი სელოვნებისა და ტაქტიკის ახალი კონფიგურაცია (შემოთავაზებული აფტორის მიერ)

ასევე, რეალობას უკეთ ასახავს სამხედრო სელოვნების შემადგენელი კომპონენტების სტრუქტურული სქემა (ნახ. 5).



ნახ. 5. სტრატეგიის, მოქმედი სელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთგანთავსების სქემა, (აფტორის მიერ განხილული)

აქ წარმოდგენილი სქემების სისტემა, კონფიგურაცია და შინაარსი ასაბუთებს იმ კონ-

ცეფციას [10], რომელიც სულ უფრო და უფრო დამაჯერებელი ხდება და რომლის მიხედვით უძლიერესი სახლმწიფოს წინაშე დაგება სრულიად ახალი მოდელის მქონე შეიარაღებული ძალების შექმნის საკითხი. ამ სიახლის პრინციპი ის გახდავთ, რომ შეიარაღებული ძალები, პერსპექტივული, როდესაც მოხდება ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის ახალი, ხარისხობრივი განვითარება, არ უნდა დაიყოს სახმელეთო, საპარავო, საზღვაო თუ კოსმოსურ ჯარებად და ძალებად, რომლებიც სათანადო ვითარებაში განახორციელებენ შეტევით ან თავდაცვით ბრძოლებს, საბრძოლო მოქმედებებს, ოპერაციებს და საომარ მოქმედებებს, არამედ შეიარაღებული ძალები უნდა იყოს სპეციალიზებული და მხოლოდ ორი სახის:

— თავდაცვითი სტრატეგიული, ინტეგრირებული შეიარაღებული ძალები;

— შეტევითი სტარტეგიული, ინტეგრირებული შეიარაღებული ძალები.

კომბინირებული მოდელით ყოველი სახეობის შეიარაღებულ ძალებს მომავალში ეყოლება ბრძოლების, საბრძოლო მოქმედებების, ოპერაციების და საომარი მოქმედებების არეალის შესაბამისი ფუნქციური კომპლექსები.

რაც შეეხბა საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობას, იგი ბოლო პერიოდში ინტენსიუფიკირის და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვის გზით ვითარდება. ამასთან, არსებული საფრთხეებისა და მუქარების ფონზე, მის წინაშე დგება განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა – შეიარაღებული ძალების შემდგრომი მშენებლობის პოლიტიკის განსაზღვრის საკითხი.

საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს წინაშე მდგარი შემდგენი სამხედრო ამოცანების გადაწყვეტას:

I. საპუთოვნივ საქართველოს საშინაო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საგარეო თუ საშინაო საფრთხეები და მუქარები – მათი გადაწყვეტა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მოუწევთ დამოუკიდებლად ან გარე ძალების დახმარებით.

II. საქართველოს ტერიტორიის განთავსების არეალში, ტრადიციული განმარტებით ახლო აღმოსავლეთის საომარი მოქმედებების თეატრზე, განვითარებულ საომარ მოქმედებებში საბუთარი ინტერესებით ან სამოქავშირეო ვალდებულებებით მონაწილეობა – მათი გადასრა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მოუწევთ დამოუკიდებლად ან მოკაშირებთან ერთად, რიგ შემთხვევაში, კოალიციაში ყოფნითაც.

III. საომარ და საბრძოლო მოქმედებებში, ბრძოლებსა და ოპერაციებში მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ – აღნიშვნული მისის შესრულება მოიცავს მის განხორციელებას ავტონომიურ რეჟიმში, მოკავ-

შირებთან ერთად, კოალიციაში ან ინტერნაციონალურ მოქმედებებში.

აქ ყველაფერი გასაგები და მისადებია. მაგრამ თანამედროვე სამხედრო დოქტრინის, სამხედრო უსაფრთხოების სტრატეგიების და სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო, საქართველოსადმი შეიარაღებული ძალების მშენებლობაში პირდაპირი დახმარება მეტწილად განპირობებული იქნება II და, უპირატესად, III პირობის დასაქმაყოფილებლად.

ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის ოპტიმალური სისტემის შექმნა, რათა რამდენიმე პოზიციაში დახმარებით შესაძლებელი გახდეს უნივერსალური სამხედრო ორგანიზაციის ბაზაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ძლიერების გაზრდა სამივე პირობის მომზადებისათვის.

საქართველოში სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის, შეიარაღებული ძალების მშენებლობის, სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობის, სამხედრო ხელოვნების განვითარებისა და სახელმწიფო-სამხედრო პოლიტიკის ფორმირებისთვის აუცილებელია ქვეანაში სამხედრო მოღვაწეობა ერთდროულად სამმა საზოგადოებრივმა ფენამ განახორციელოს. კერძოდ:

1. სამხედრო მეთაურებმა;
2. სამხედრო ინტელიგენციამ;
3. სახელმწიფო სამხედრო მოღვაწეებმა.

ამ პრინციპით და მოდელით, ქვენის განვითარება უმთავრეს მიმართულებად უნდა იქნეს მიჩნეული.

დაბოლოს, ყველა შემთხვევაში, მით უმეტეს საქართველოსთვის, უმთავრესი პირობაა თავდაცვის სამხედრო უსაფრთხოების სისტემაში სამქალაქო კომპონენტების ამოქმედება. მათ შორის, დომინანტია ტერიტორიული თავდაცვის ფუნქციური მიმართულების განხორციელება და სახელმწიფოს, ტერიტორიის და ინფრასტრუქტურის მომზადება ომისთვის.

3. დასკვნა


სამხედრო ხელოვნებაში სულ უფრო რეალური ხდება ტაქტიკური მოქმედებებითა და საიარაღო დარტყმებით სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა და მიზნების მიღწევა. ამდენად, უნდა მოხდეს ახალი კონფიგურაციის შექმნა სტრატეგიის, ოპერატორიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთდამოკიდებულებებისა და ურთიერთთავსებადობის სქემებში, რაც მოცე-

მულ შრომაში გარკვეული სახით რეალიზებულია.

აღნიშნული ახალი კონფიგურაცია განაპირობებს ცვლილებებს სახმედრო, საპატიო, საზღვაო და კომბოსური ძალების სპექტრში, რაც პერსპექტივაში ფუნქციურ და სტრუქტურულ ცვლილებებს გამოიწვევს მთლიანად შეიარაღებულ ძალებში და სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობაში.

ლიტერატურა

1. მემარიაშვილი ე. საქართველოს სამხედრო-საინინრო დოქტრინის საფუძვლები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2006. - 1042 გვ.
2. არნოლ्ड ვ.И. თეორია კატასტროფ. М.: НАУКА, 1990.- 320 с.
3. Stability Operations And Support Operations. Headquarters Department of the Army. FM 3-07. 20 February 2003. USA: Washington. - 232 p.
4. Operations in a Low-Intensity Conflict. FM 3-21.98 (old7-98). Headquarters Department of the Army. USA:Washington. 19 October 1992. - 201 p.
5. Counterguerrilla Operations. FM 90-8. Headquarters Department of the Army. USA: Washington. 29 August 1986. - 176 p.
6. Civil Disturbances. FM 19-15. Headquarters Department of the Army. USA: Washington. 25 November 1985. 159 p.
7. Н.Н Ефимов; Ф.С. Фролов. О применении теории катастроф в военном деле // Военная мысль. №4, 1996. с. 57-63.
8. მემარიაშვილი ე. კონცეფტუალური პრინციპების ტრანსფორმირების აუცილებლობა სამხედრო ხელოვნებაში // ქურნ. „სამხედრო-საინინრო ხელოვნება“. 2005, გვ. 19-25.
9. David Jablonsky. US Military Doctrine and the Revolution in the Military Affairs. Parameters, US Army College Quarterly –Autumn. 1994. p.1-16.
10. Слипченко В.И. Подготовку государства и Вооруженных Сил необходимо вести к будущим войнам, а не к прошедшем // HBO, №31, 2003, с.15-16.



UDC 355.4

THE NEW CONFIGURATION OF INTERDEPENDENCE MILITARY STRATEGY, OPERATIONAL ART AND TACTICS ON THE MODERN DEVELOPMENT STAGE OF ARMED FORCES

E. Medzmariashvili

Institute of buildings, special systems and engineering maintenance, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is determined one of the most important issue of the military theory – the interconnecting concept of the military strategy, tactics and operational art and its configuration. On this case is offered the new approach, that in modern conditions gives possibility to satisfy all possible variants of military strategy, operational art and tactics concurrency, also among them including of irregular operations and informational wars.

Key words: asymmetrical wars; indirect actions; informational wars; catastrophe theory; strategy; operational art; tactics.

УДК 355.4

НОВАЯ КОНФИГУРАЦИЯ ВЗАИМОСВЯЗИ ВОЕННОЙ СТРАТЕГИИ, ОПЕРАТИВНОГО ИСКУССТВА И ТАКТИКИ

Медзмариашвили Э.В.

Институт сооружений специальных систем и инженерного обеспечения, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: Рассмотрен один из важнейших вопросов военной теории – концепция и конфигурация взаимосвязи военной стратегии, оперативного искусства и тактики. В этом аспекте предложен новый подход, дающий возможность в современных условиях удовлетворить все возможные варианты совмещения военной стратегии, оперативного искусства и тактики, включая непрямые действия и информационную войну.

Ключевые слова: вооруженное сражение; асимметричные войны; непрямые действия; информационные войны; теория катастроф; стратегия; оперативное искусство; тактика; военная деятельность.

შემოსევის თარიღი 16.07.2008
მიღებულია დასაბუღად 21.10.2008

შპ 358.22: 358.23: 358/24 48 მეტრი მაღის მძონე საიერიშო ხიდი

ე. მემარიაშვილი

ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ისტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, ქოჩავას 77

E-mail: medzmariashvili@ggsmea.ge

რეზიუმე: განხილულია საიერიშო ხიდების არსებული ვარიანტები, მათი ძირითადი სქემები, მუშაობის პრიციპები და ძირითადი ტაქტიკურ-ტექნიკური პარამეტრები. პირველად მსოფლიოში, შემოთავაზებულია საიერიშო გასაშლელი ხიდი 48 მეტრი მაღის, რომლის გაბარიტები და წონა იგივეა, რაც არსებული 24 - მეტრიანი გასაშლელი ხიდებისა.

საკვანძო სიტყვები: ტრანსფორმირებადი; ხიდგამდები; მაღის; ლიანდა; სარტყელი; ირიბანა; გაშლა; დაგვცვა.

1. შესავალი

სამხედრო ხელოვნებაში გამოყენებული ხიდები, რომლებიც სხვა ექსტრემალურ და ნომინალურ სიტუაციებშიც ფუნქციონირებს, სამ ძირითად ჯგუფად იყოფა [1 - 3]:

— ზურგის ხიდები, რომლებიც უშეალო საბრძოლო მოქმედებებიდან საგმოოდ დაშორებულია და მათი ფუნქციაა საკომუნიკაციო უზრუნველყოფა [4];

— გამყოლი ხიდები, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების სიახლოეს იგება და მათი ძირითადი დანიშნულებაა სამხედრო ქვედანაყოფების, დანაყოფების, დაჯგუფებებისა და გაერთიანებების გადაადგილების უზრუნველყოფა ძალიან მოკლე დროში. ამდენად, გამყოლი ხიდები, როგორც წესი, ინგენერულია, დასაწყობი. მაგალითად, 48 მ სიგრძის შემთხვევაში, მათი აგება 30–120 წუთის განმავლობაში ხორციელდება. აღნიშნული ხიდები შეიძლება იყოს ერთმალიანი ან მრავალმალიანი [5];

— საიერიშო ხიდები უპირატესად უშეალოდ საბრძოლო მოქმედებებში და სხვადასხვა ექსტრემალურ პირობებში გამოიყენება. მათი გადასალას წინააღმდეგობაზე გადება დროის უმცირეს შეალებული – 7-10 წუთში უნდა განხორციელდეს. ამასთან, მისი მონტაჟის დროს ცოცხალი ძალა არ გადმოდის ჯაგშან-მანქანიდან და პროცესი მექანიზებულად ხორციელდება [6 - 11].

უნდა აღინიშნოს, რომ ერთმალიანი ხიდები, რომლებიც გამოიყენება საიერიშო სისტემად, ვერ აქმაყოლებს 32–48 მეტრამდე მაღის გაზრდის მოთხოვნებს ან ვერ ხერხდება მათი სწრაფად აგება; ამასთან, რიგ შემთხვევაში საჭირო ხდება სამუშაოები ჩატარდეს მეორე ნა-

პირზეც; ასევე, გაზრდილი მაღის შემთხვევაში იზრდება სამონტაჟო და სატრანსპორტო საშუალებათა რიცხვი, რაც მიუღებელია საიერიშო სისტემებისთვის.

აქედან გამომდინარე, საჭირო და აუცილებელია შეიქმნას ერთმალიანი, დიდი ზომის; კერძოდ, 48 მეტრამდე მაღის მქონე გასაშლელი ხიდის კონსტრუქცია, რომლის სატრანსპორტო პაკეტის სიგრძე იქნება 12 მეტრზე ნაკლები და იგი განთავსდება ერთ სამონტაჟო-სატრანსპორტო საშუალებაზე; ხიდის მონტაჟი და დემონტაჟი განხორციელდება დროის უმცირეს შეალებული, მაქსიმუმ, 10 წუთის ინტერვალში, თანაც, მომსახურე პერსონალის სამონტაჟო-სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოსვლის გარეშე; ხიდის ტრანსპორტირება და გადასალას წინააღმდეგობაზე გადება, გარდა სატანკო ხიდგამდებინა, შესაძლებელი იქნება ავტომანქანიდან და ვერტმფრენიდანაც.


2. ძირითადი ნაწილი

ახალი ხიდის ტრანსფორმაციისა და კონსტრუქციის ძირითადი პრინციპები

ზემოაღნიშნული მოთხოვნების მიხედვით. საიერიშო 48 მეტრი მაღის მქონე ხიდების მრავალი სქემა დამუშავდა. მათი საფუძველია ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები, რომლებშიც გადმოცემულია გასაშლელი სისტემების ფორმათწარმოქმნის ლოგიკა, რაც საშუალებას გვაძლევს შეიქმნას გასაშლელი ხიდების ახალი, სრულიად განხსნავებული კონსტრუქციული სქემები [12] (პრიორიტეტი პატენტზე – საქართველო, № 9950/01, 27.04.2007; პრიორიტეტი პატენტზე – საქართველო, №10492/01, 29.01.2008).

სქემების მიხედვით ხიდისა და ხიდგამდების კონსტრუქციების ანალიზმა, სატრანსპორტო და სამონტაჟო პირობების განხილვაში და თვით სახიდე მაღის ნაშენის ტაქტიკურ-ტექნიკურმა პარამეტრებმა შექმნილი ვარიანტებიდან განსაზღვრა ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა.

გასაშლელი კომბინირებული ხიდი შედგება სავალი ნაწილის I ტიპის შეალებული კოჭებისაგან და II ტიპის განაპირო და შეაკოჭებისაგან, რომლებიც ორ ლიანდად, ჯგუფ-ჯგუფად, ერთმანეთის მონაცვლეობით გაერთიანებულია განივი მიმართულებით განთავსებული მთავარი ლილვებით (ნახ. 1).



ნახ. 1. გასაშლელი ხიდი 48 მეტრი მალით

გარდა აღნიშნულისა, გასაშლელი კომბინირებული ხიდის ბოლოებში ლიანდები შედგენილია I ტიპის შუალედი ნახევარკოჭებისაგან და II ტიპის განაპირო და შუა ნახევარკოჭებისაგან. ისინი ჯგუფ-ჯგუფად, ასევე მონაცელეობით გაერთიანებული არიან ორ ნაწილად გაყოფილი საყრდენი ლილვებით.

I ტიპის შუალედი კოჭები მთავარ ლილვებთან და I ტიპის შუალედი ნახევარკოჭები საყრდენ ლილვებთან ჩამაგრებულია ხისტი კვანძებით, ხოლო II ტიპის განაპირო და შუა კოჭები მთავარ ლილვებთან და II ტიპის განაპირო და შუა კოჭები საყრდენ ლილვებთან მიმაგრებულია მთავარი ცილინდრული კვანძებით.

მთლიანობაში გრძივი მიმართულებით, მეზობლად განლაგებული I ტიპის კოჭები კერდაზე უფრო დაშორებულ არეალში განლაგებული ცილინდრული კვანძებით ჩამაგრებულია ლიანდების მიხედვით განცალკევებულ ზედა და ქვედა ლილვებში.

ასეთი სქემა გასაშლელი კომბინირებული ხიდის დაკეცვა-გაშლის და გაშლილ მდგომარეობაში სავალ ნაწილად გამოყენების საშუალებას იძლევა (ნახ. 2).



ნახ. 2. ხიდის ტრანსფორმიციის პროცესი

საყრდენი ლილვები დამაგრებულია ფასონურებზე, რომლებიც მათთან დაკავშირებული სრიალა კვანძებით ეყრდნობა საყრდენ ფილას.

ასევე, ლიანდების მიხედვით ორ ნაწილად გაყოფილ საყრდენ ლილვზე ანკერების ცილინდრულ კვანძებს უაგშირდება ფიქსატორები, რომლებშიც მოქნილი სარტყლებია ჩამაგრებული.

გასაშლელ ხიდს აქვს აღმავალი და დაღმავალი ირიბნები, რომლებიც ლიანდების ორივე


მხარეს ერთი ბოლოოთი, ირიბნების ცილინდრული კვანძებით მთავარ ლილვებზეა ჩამაგრებული.

რაც შეეხება ირიბნების ქვედა ბოლოებს, ისინი ირიბნების ქვედა ცილინდრული კვანძებით უკავშირდება განივ ღეროებს, სადაც, ასევე, მოქნილი სარტყლების კვანძებია განთავსებული.

ამდენად, გასაშლელი კომბინირებული ხიდის ქვედა სარტყლის შესრულება მოქნილი ღეროებისაგან არ ეწინააღმდეგება მის გახსნადაკეცვას.


ხიდის კონსტრუქციის წონა, რომლის სავალი ნაწილი და ირიბნები ალუმინის ელემენტებია, ხოლო ქვედა სარტყელი - ფოლადის, ისეთივეა, როგორიც ცნობილი გადაწყვეტების - ამერიკული, რუსული, გერმანული და სხვა ხიდებისა, კერძოდ, 17-19 ტონაა, განსხვავება კი ის არის რომ ქართული ხიდის მალი 48 მეტრია, ხოლო სხვა გადაწყვეტებში - 24 მეტრი.

განსაკუთრებულია ისიც, რომ ხიდგამდები, რომელიც “აბრამსის”, “ლეოპარდის” ან სხვა მმიმე ტანკების ბაზაზე აწყობილი, ახორციელებს მონტაჟს კლასიკური სქემით - “ვარდნადი ისრის” მიხედვით. ხიდის ტრანსპორტირებისა და ხიდგადამგდები მონტაჟის სქემები წარმოდგენილია მე-3 ნახაზზე.



ნახ. 3. 48-მეტრიანი ტრანსფორმირებადი ხიდის მონტაჟის ეტაპები

მონტაჟის შემოთავაზებული ვარიანტი საშუალებას იძლევა ხიდზე განთავსებული კონდუქტორის გამოყენებით გადასალას წინააღმდეგობაზე მისი გადება განხორციელდეს ცენტრალური სქემით, რაც ხიდის ვერტიმულრენის საშუალებით მონტაჟის სქემის შესაბამისია (ნახ. 4 და 5).



ნახ. 4. ხიდის ტრანსპორტირება და მონტაჟი ვერტმფრენით

ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვერტმფრენი - M-26TM, რომლის ტვირთამშეობა გარე ღომქრატზე 18150 კგ-ია, ხოლო ფიუზელაჟის შიგნით 20000 კგ. აღნიშნული ვერტმფრენის „ნატოს“ კოდია „ალო“. ხიდის გადატანა და მონტაჟი, ასევე შესაძლებელია აშშ-ს ვერტმფრენით - CH-53E, რომლის მაქსიმალური ტვირთამშეობა 16 330 კგ-ია.

ხიდის კონსტრუქციის გაანგარიშება სამ ეტაპად ხდება.

I ეტაპზე ტარდება კონსტრუქციის ელემენტების მიახლოებითი საინჟინრო გაანგარიშება და მათი კვეთების წინასწარი დანიშვნა [13] [14], რაც აუცილებელი პირობაა კომპიუტერული გაანგარიშებისთვის.

II ეტაპი მოიცავს კონსტრუქციის კომპიუტერულ გაანგარიშებას სტანდარტული პროგრამებით - „Nastrani“, „Ansisi“, „Пира-2008“. როგორც შედეგებმა აჩვენა, აღნიშნული პროგრამით გაანგარიშებებში სხვაობა 2% - 5%-ია, რაც სრულიად დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, აღნიშნული სხვაობები მეტწილად განაირობებული იყო სხვადასხვა პროგრამებში სხვადასხვა სახით დაზუსტებული საანგარიშო სქემების შეყვანით. კონსტრუქციის თეორიული კალკულის დროს ძირითადი იყო მისი გეომეტრიული პარამეტრები, მუდმივი და დროებითი დატვირთვები და მათი კომბინაციები.

კონსტრუქციის ცალკეულ ელემენტებში განისაზღვრა N გრძივი მალა; M მდუნავი მომენტი დერქების მიხედვით; განივი ძალა და გადადგილებები x, y და z დერქების მიმართ.

მაქსიმალური გრძივი ძალა ზედა სარტყელში არის N კ. სარტყელში = 386 ტ;

მდუნავი მომენტის მაქსიმალური მნიშვნელობა ქვედა სარტყელში – M = 120 ტ·მ;

გამჭიმი ძალა ირიბანში – N განახლება = 27 ტ, ხოლო მკუმშავი – N აქცენტი = 15 ტ, გრძივი ძალა ქვედა მოქნილ სარტყელში – N = 438 ტ.

ამასთან, x დერქის მიმართ განაპირა საერდენი კვანძის მაქსიმალური გადაადგილება

$\Delta_x^{\max} = 8$ სმ, ხოლო მაქსიმალური გადაადგილება შეუძლია კვანძისა და დერქის მიმართ – $\Delta_z^{\max} = 47,5$ სმ.

აღნიშნული ძალური ფაქტორების მიხედვით შეირჩა ელემენტების კვეთები და შესაბამისად გაანგარიშდა მათი წონა, რომლის მიხედვითაც ზედა სარტყელის სავალი ნაწილის წონამ 10 870 კგ შეადგინა. იგი მზადდება მაღალი სიმტკიცის ალუმინის შენადნობისაგან; ქვედა, მოქნილი ტროსებისაგან შედგენილი სარტყელის საერთო წონაა 3 100 კგ და იგი შედგება 84 ტროსისაგან, რომელთა დიამეტრი 11 მმ-ია. ტროსები ფოლადისაა და მისი საანგარიშო წინაღობა

R = 10. 000 კგ/სმ²; ალუმინის მაღალი სიმტკიცის შენადნობისაგან დამზადებული ირიბის საერთო წონა 2 460 კგ-ს უდრის; ლითონის ლილვები, 100 მმ დიამეტრით, δ = 4 მმ სისქით და 40 მმ დიამეტრითა და δ = 10 მმ სისქით 612 კგ-ს იწონის, ხოლო ალუმინის მაღალი სიმტკიცის შენადნობისაგან დამზადებული საყრდენები – 714 კგ-ს. ამდენად, მთლიანი ხიდის წონამ 17 696 კგ შეადგინა.

3. დასკვნა

ტაქტიკურ-ტექნიკური პარამეტრების შედარებით ცხრილში შეკვენილია მსოფლიოში ყველა დიდი ზომის ხიდის ხიდგამდებები და ქართული ვარიანტები. მნიშვნელოვანია ის, რომ ქართული ხიდი 11,2 მ სატრანსპორტო პაკეტით გაცილებით იოლი სატრანსპორტო პაკეტით გაცილებით და მთლიანად მანევრულია გზებზე და წინააღმდეგობებთან მისასვლელად, ხოლო რაც შეეხება დასაძლევე წინააღმდეგობას, 48 მეტრს, იგი უმთავრესი სარეკორდო პარამეტრია, რომელიც მიიღწევა მხოლოდ ქართული ხიდების შექმნით.

ლიტერატურა

1. ENGINEERING OPERATIONS. FM 5-100, USA, 2005, (3-34), 295 pp.
2. მექანიკიაშვილი გ. საქართველოს სამსახურო-

- საინჟინორო დოქტორის საფუძვლები. თბილი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2006. - 1059 გვ.
3. RIVER – CROSSING OPERATIONS USA. FM 90 -13. 2003. 207 pp.
 4. Ильяевич С. А., Тарановский С. В., Нивин Н. А. Мосты и переправы. Москва. ВИА, 1961.- 420 с.
 5. Машины инженерного вооружения. Москва: Военное издательство, 1964. - 460 с.
 6. E. Medzmariashvili and others. 2008. New space reflex structures. Problems of Mechanics. N 1(30). 24 p.
 7. E. Medzmariashvili. Structure and kinematic analyses of arch transformed structure. "Problems of Mechanics". International scientific journal. 2008. N 1(30).- 53 p.
 8. Сердцев Н., Евтушенко Н. Танковый мостоукладчик AVLБ – 70 // Зарубежное военное образование. № 6,2000.
 9. Колибернов Е. С., Корнев В. И., Соснов А. А.
- Справочник офицера инженерных войск под редакцией маршала инженерных войск С. Х. Аганова. Москва: Военное издательство, 1989.- 375 с.
10. Машины инженерного вооружения. Москва: Воениздат, 1964 г.
 11. Волковский Н.Л. 1997. Энциклопедия современного оружия и боевой техники. Санкт-Петербург: Логикон – Аст. Т.2.
 12. Медзмариашвили Э.В. Трансформируемые системы в космосе и на земле. Германия – Грузия, «Vallemar», 1995.- 447 с.
 13. Металлические конструкции. Справочник проектировщика. Москва: Стройиздат, 1998.-1010 с.
 14. Справочник проектировщика расчетно-теоретический. Т. I. Под редакцией А. А. Уманского. Москва: Стройиздат. 1972.- 599 с.

UDC 358.22: 358.23: 358.24

48 METER SPAN ASSAULTING BRIDGE

E. Medzmariashvili

Institute of buildings special systems and engineering maintenance, Technical University of Georgia, 77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There are determined the existing variants of assaulting bridges, its general schemes, working principles and general tactical and technical parameters.

For the first time in the world in the paper is offered an assaulting, deployable bridge with 48 meter span that with its dimension and weigh is similar of an existing 24 meter deployable bridge.

Key words: transformable, bridgelayer; span; rut; belt; slanting; driving; deployment; shut.

УДК 358.22: 358.23: 358.24

ШТУРМОВОЙ МОСТ С ПРОЛЕТОМ 48 МЕТРОВ

Медзмариашвили Э.В.

Институт сооружений специальных систем и инженерного обеспечения, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме: Рассмотрены варианты штурмовых мостов, их основные схемы, принципы работы и основные тактико-технические параметры.

В работе, впервые в мире, предложен штурмовой развертываемый мост с пролетом 48 м, габариты и масса которого такая же, как у 24 - метрового развертываемого штурмового моста.

Ключевые слова: трансформированный мост; мостоукладчик; пролет; колея; ферма; верхний пояс; нижний пояс; привод; двигатель; развертывание; сворачивание.

შემოსელის თარიღი 16.07.2008
დოკუმენტის დასაბუჭიდვა 21.10.2008

ავტორთა საძიებელი

აბრალავა ა. 112	ვეგხვიაშვილი ნ. 41	წერეთელი თ. 81
აბრალავა ნ. 112	ქვიციანი ტ. 13	ხაბეიშვილი ა. 23
არაბიძე გ. 27	ლაგვილავა ი. 51	ხაჩიძე ნ. 81
ბიბილეიშვილი დ. 51	მაისურაძე გ. 58	ხომასურიძე გ. 63
ბჟალავა ნ. 27	მარტიაშვილი ც. 41	ხოშტარია თ. 58
ბურდულაძე ა. 81, 85	მაღრაძე გ. 81, 85	ხუციშვილი გ. 13
ბურკაძე ა. 32	მახარაშვილი გ. 67, 72	ჯიშკარიანი გ. 27
ბურკაძე ტ. 32	მახარაშვილი თ. 67, 72	ჯიშკარიანი თ. 27
გაბაშვილი ი. 76	მექმარიაშვილი ქ. 116, 120	ჯოლია გ. 103, 107
გაბუნია დ. 85	მილაშვილი გ. 76	ჯოლია ნ. 103, 107
გახოკიძე ნ. 58	ნანობაშვილი დ. 36	ჯოლია ქ. 103, 107
გედენიძე ზ. 13	ნანობაშვილი ვ. 36	Gotsiridze R. 89, 94
დათუაშვილი ა. 19	ფირცხალაიშვილი ი. 41	Kobiashvili A. 98
დათუგიშვილი გ. 63	ქუთათელაძე რ. 112	Kutateladze R. 98
დათუგიშვილი ლ. 51	ყაჭიური ბ. 85	Гветадзе Р. Г. 47
ელიზბარაშვილი ქ. 51	ჩანკაშვილი გ. 41	Исмаилов Н. Ш. 47

ავტორთა საყურადღებოდ!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული არის რეფერირებადი პერიოდული გამოცემა, რომელიც გამოიცემა წელიწადში ოთხჯერ (პირველი ნომერი მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 მარტამდე, მეორე ნომერი - 1 აპრილიდან 30 ივნისამდე, მესამე ნომერი - 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე და მეოთხე - 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე).

კრებულის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიულად გამოქვეყნება.

სტატიების მიღება შესაძლებელია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, რომლებიც ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

ავტორს შეუძლია გამოქვეყნებისათვის მხოლოდ ორი სტატიის მოწოდება.

სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5-ს.

კრებულში ქვეყნდება სტატიები მეცნიერული კვლევების ახალი შედეგების შესახებ შემდეგი თეორიული და გამოყენებითი დარგების მიხედვით:

- სამშენებლო
- ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია
- სამთო-გეოლოგია
- ქიმიური ტექნოლოგია, მეტალურგია
- არქიტექტურა, ურბანისტიკა, დიზაინი
- ინფორმატიკა, მართვის სისტემები
- სატრანსპორტო, მანქანათმშენებლობა
- ჰუმანიტარულ-სოციალური
- ნაგებობების, სპეციალური სიტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი.

გთავაზობთ სამეცნიერო სტატიის გაფორმების წესს:

- ნაშრომის მოცულობა განისაზღვრება A4 ფორმატის ქაღალდის 1,5 ინტერვალით ნაბეჭდი 5-7 გვერდით (მინდვრები 2 სმ) ნახაზების, გრაფიკების, ცხრილების და ლიტერატურის ჩამონათვალით;

- სტატია შესრულებული უნდა იყოს DOC ფაილის სახით (MSWord) ჩაწერილი ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ Acadnusx შრიფტი, ზომა 12;
- ინგლისური და რუსული ტექსტის შრიფტი - Times New Roman, ზომა 12;
- სტატიის თავი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - უაკ-ს;
 - ავტორის/ავტორების სახელს, მამის სახელს, გვარს;
 - ავტორის/ავტორების ელექტრონული ფოსტის მისამართს;
 - დეპარტამენტის დასახელებას;
 - საკვანძო სიტყვებს სამივე ენაზე.
- სტატიაში ქვესათაურებით გამოკვეთილი უნდა იყოს შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა;
- ნახაზების ან ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს TIF ფორმატში გარჩევადობით 150 dpi;
- სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე;
- სტატია შედგენილი უნდა იყოს წიგნიერად სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი/ავტორები პასუხს აგებს/აგებენ სტატიის შინაარსსა და ხარისხზე.

გთავაზობთ სტატიის წარმოდგენისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალს:

- ერთი რეცენზია;
- რეცენზენტის CV;
- რეცენზენტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის შესაბამის სპეციალობაში შესრულებული 2 ნაშრომის ქსეროასლი (მონოგრაფია - სატიტულო გვერდი, სარჩევი. სამეცნიერო სტატია - კრებულის სატიტულო გვერდი, სტატიის პირველი გვერდი, სარჩევი).

რედაქტორები: ე. გიორგაძე, დ. ქურიძე, მ. პრეობრაჟენსკაია
კომპიუტერული უზრუნველყოფა ე. ქარჩავასი

გადაეცა წარმოებას 05. 11. 2008. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 12. 2008. ბეჭდვა ოფსე-
ტური. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 7,5 ტირაჟი 100 ეგზ. შეკვეთა №

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



სტუ-ს სტამბა, თბილისი, კოსტავას 75